საჯარო ფინანსებისა და ქონების მართვის სახელმძღვანელო

თბილისი

2014

USAID
ამერიკელი ხალხისაგან
დემოკრატიული მმართველობა
საქართველოში (G3) პროგრამა

ავტორები: გიორგი ხოდელი, ზაზა ბროლაძე, შალვა ჯულაყიძე

რედაქტორი: დავით ზარდიაშვილი

დათქმა:
აღნიშნული ნაშრომის შექმნა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საშუალებით გაწეული დახმარებით. ნაშრომში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

სარჩევი

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტირების სახელმძღვანელო

წინასიტყვაობა 9

ტერმინთა განმარტებები 10

1. თვითმმართველობის საბიუჯეტო პროცესი 14
პროცესის აღწერა 14
პროცესის კალენდარი 15

2. საბიუჯეტო კლასიფიკაცია 18
შემოსავლების კლასიფიკაცია 18
ხარჯების კლასიფიკაცია 20
არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია 25

3. პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენა 28

4. ბიუჯეტის შედგენა 31
ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირება 31
ბიუჯეტის გადასახდელების ფორმირება 37
საბიუჯეტო განაცხადის მომზადება 38
პროგრამული ბიუჯეტირების პრინციპები და წესები 40
პროგრამული ბიუჯეტის ფორმები 47

5. ბიუჯეტის შესრულების კვარტალური განწერა და მიმდინარე წლის ასიგნებებში/ პროგრამებში ცვლილებები 50

6. ბიუჯეტის ანგარიშგება- ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა და წლიური ანგარიში 52

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სახელმწიფო შესყიდვების სახელმძღვანელო

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი 57
„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მოქმედების სფერო 57

კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები 62

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა და ანგარიშგება 68
გეგმა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 68

ელექტრონული ტენდერი და გამარტივებული ელექტრონული ტენდერი 74
სატენდერო კომისიის და აპარატის შექმნა, მისი ფუნქციები, მოვალეობები 74
ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების წესი და პირობები 76
შესყიდვის ობიექტის სპეციფიკის განსზაღვრა 77
სატენდერო დოკუმენტაციის, სატენდერო განცხადების შედგენა 78

ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მიმ-
დინარეობის სტატუსები 81
საკვალიფიკაციო მონაცემები 83
ცვლილებებისა და დამატებების შეტანა სატენდერო განცხადებაში და სატენდე-
რო დოკუმენტაციაში 84
კითხვა/პასუხის მოდული 84
სისტემის გაუმართაობის განსაკუთრებული შემთხვევა 85
ხელშეკრულების გაფორმება ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან 85
მომსახურების შესყიდვა პრეისკურანტის გამოყენებით 86
სატენდერო წინადადების წარდგენა 87
სატენდერო წინადადების შერჩევა/შეფასება 89

გამარტივებული შესყიდვა 93

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 97

**სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია და
საფასური 101**

ხელშეკრულების შესრულების გარანტია და დაზღვევა 104

წინასწარი ანგარიშსწორება 106
წინასწარი ანგარიშწორება საბანკო გარანტიის საფუძველზე 106
წინასწარი ანგარიშწორებაას გადასახდელი თანხის განკარგვა შემსყიდველი
ორგანიზაციის თანხობით....106
წინასწარ გადასახდელ თანხაზე გარანტიის წარდგენისაგან გათავისუფლება
ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გამო....106

კონკურსი 107

შავი სიის წარმოების წესი და პირობები 111

თეთრი სიის წარმოების წესი და პირობები 114

**ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ორეტაპიანი
ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები 116**
ორეტაპიანი ტენდერის გამოცხადება 116
სატენდერო წინადადების წარდგენა 116
ტექნიკური შესაბამისობის დადგენა 117

**სახელმძღვანელო მუნიციპალიტის ქონებისა და ვალდებულებების მართვის
შესახებ**

მოკლე შინაარსი....121

მუნიციპალური ქონების ცნება და კატეგორიები 122

**თვითმმართველი ერთულის ქონების მართვის მარეგულირებელი
საკანონმდებლო ბაზა 124**

მუნიციპალური ქონების მართვის და განკარგვის პრინციპები....127

პორტფელის მართვა....127
“სიცოცხლის ციკლის” მართვა....128
საჯარო-კერძო პარტნიორობა 132
მუნიციპალური ინვესტიციების განხორციელება და პროექტების თანამედროვე
შეფასების მეთოდები 132

მუნიციპალური ქონების აღრიცხვა და ინვენტარიზაცია 135
ინვენტარიზაციის მიზანი....135
ინვენტარიზაცის პერიოდულობა 135
ინვენტარიზაციის ჩატარების ვადები 135
ინვენტარიზაციის ჩატარების ზოგადი წესი....136
საინვენტარიზაციო კომისიის ვალდებულება 136
ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია....137
ინვენტარიზაციის შედეგები....139

ქონების ბალანსზე აყვანა და საბალანსო ღირებულების გამოთვლა....141
ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერა....146
ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონების (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი
ნაწილები და სხვ.) განკარგვა/განადგურება 147

მუნიციპალური ქონების შეფასება და რეგისტრაცია....148
მუნიციპალური ქონების შეფასება 148
შეფასების პროცესის ეტაპები 148
მუნიციპალური ქონების რეგისტრაცია....149
მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაცია 156

**მუნიციპალური ქონების პრივატიზების/სარგებლობის უფლებით გაცემის
ფორმები და წესი....158**

მუნიციპალური ქონების პრივატიზების ფორმები და წესი....161
მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების განმახორციელებელი ორგანო 161
მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილება 161
მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის უფლებამოსილება 162
მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების ფორმები....163

**მუნიციპალური საწარმოების და არასამეწარმეო იურიდიული პირების
დაფუძნება და მართვა 166**
მუნიციპალური საწარმოს დაფუძნება და რეგისტრაცია....169

ქონების გამოყენებასა და დაცვაზე ზედამხედველობა....177

**მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების
წესი 178**
დროებითი სამუშაო ჯგუფი....178
მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების ნუს-
ხის დამტკიცება....178
უძრავი ნივთის განაწილების წესი 178
მოძრავი ნივთის განაწილების წესი....179
ვალდებულებების განაწილების წესი 179

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართალმემკვიდრეობა 179
სამეწარმეო იურიდიული პირის წილები 180
სხვა ქონების განაწილების წესი.....180

დანართები 182

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტირების სახელმძღვანელო

წინასიტყვაობა

ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო ფინანსებმა ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. 2010 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საბიუჯეტო კოდექსი, რომელმაც გააუქმა „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი. 2011 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა განახლებული საგადასახადო კოდექსი; საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2010 წლის განმავლობაში დაამტკიცა ახალი საბიუჯეტო კლასიფიკაცია და სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების წესები. 2009 წელს დამტკიცდა ბიუჯეტის შესრულების და ანგარიშგების ფორმები. 2013 წლიდან თვითმმართველობებისთვის სავალდებულო გახდა პროგრამული ფორმატით ბიუჯეტის შედგენა. 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ძალაში შევიდა თვითმმართველობის ახალი კოდექსი.

ბოლო წლებში განხორციელებული ცვლილებების ფონზე აუცილებელია სისტემურად წარმოვიდგინოთ ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური მართვის სფეროში განხორციელებული ცვლილებები, რაც აღნიშნული სახელმძღვანელოს შექმნას დაედო საფუძვლად.

სახელმძღვანელოში აღწერილია თვითმმართველობის საბიუჯეტო პროცესი და მისი კავშირი სახელმწიფო ხელისუფლების საბიუჯეტო პროცესთან. ასევე, მოცემულია ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების კლასიფიკაცია. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ბიუჯეტის შემოსულობების და გადასახდელების ფორმირების პრინციპები, ბიუჯეტის განაცხადის შედგენა და პროგრამული ბიუჯეტირების ფორმები. დასკვნით ნაწილში მოცემულია ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების პრაქტიკა და მიზანი, ასევე კვარტალური და წლიური ანგარიშების შედგენის პრინციპები და ფორმები.

ტერმინთა განმარტებები

ა

ასიგნება - საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტით გათვალისწინებული მოცულობის ფარგლებში გადახდის განხორციელების უფლებამოსილება

ბ

ბიუჯეტი - ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) მიერ დამტკიცებული, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობა

ბიუჯეტის განწერა – ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ყოველთვიურად ან/და ყოველკვარტალურად განაწილება საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციისა) მიხედვით

ბიუჯეტის შემოსულობები - საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში მიღებული ფულადი სახსრების ერთობლიობა

გ

გადასახდელები - საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა

გათანაბრებითი ტრანსფერი –საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან საბიუჯეტო კოდექსით დადგენილი ფორმულის შესაბამისად გამოყოფილი თანხები, რომელთა გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.

გამგეობა/მერია - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოსადმი (გამგებლის/მერისადმი) დაქვემდებარებული დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს გამგებლის/მერის უფლებამოსილებათა განხორციელებას.

გრანტები - გრანტის გამცემის (დონორის) მიერ გრანტის მიმღებისათვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური, სასოფლო-სამეურნეო განვითარებისა და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის.

ი

ინდიკატორის გაზომვის ერთეული - გაზომვის ერთეული ასევე გულისხმობს იმას, თუ როგორ უნდა მოხდეს ცვლილების გაანგარიშება (მაგ. პროცენტებში თუ რაოდენობაში, ან ვალუტაში).

ინდიკატორის მონაცემთა წყარო - განსაზღვრავს, თუ სად არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია/მონაცემები თითოეული ინდიკატორისათვის. მონაცემთა წყარო შეიძლება იყოს ორგანიზაცია.

ინდიკატორის გაზომვის სიხშირე - მონაცემთა მოგროვების სიხშირე და დრო დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ხშირად არის საჭირო მონაცემები მართვისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის. როგორც წესი, რუტინული მონაცემების შეკრება ხდება კვარტალურად, წელიწადში ორჯერ ან ყოველწლიურად.

ინდიკატორის მოგროვებაზე პასუხისმგებელი - კონკრეტული სტრუქტურული ერთეული და თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მონაცემთა მოგროვებაზე, ანალიზსა და ანგარიშგებაზე

კ

მ

მიზნობრივი ტრანსფერი – დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარების სახით მიღებული სახსრები.

მოგროვების მეთოდი - აღწერა, თუ როგორ მოხდება მონაცემთა შეკრება და რა ინსტრუმენტები და მეთოდები იქნება გამოყენებული მონაცემთა შეკრების დროს.

მონიტორინგი - ორგანიზაციული მართვის ინსტრუმენტი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს პერიოდულად შევაფასოთ და/ან გავზომოთ, თუ რამდენად აღწევს ორგანიზაცია თავისი პროგრამებითა და ქვეპროგრამებით დასახულ მიზნებსა და შედეგებს.

პ

პრიორიტეტების დოკუმენტი - ადგილობრივი თვითთმართველი ერთეულის საშუალოვადიანი განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ.

პროგრამული ბიუჯეტი - მხარჯავი დაწესებულების მიერ, დასახული პრიორიტეტების მისაღწევად განსახორციელებელი პროგრამების, პროექტების, ღონისძიებებისა და მათი ბიუჯეტების მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორთა ერთობლიობა.პროგრამული ბიუჯეტი მოიცავს ინფორმაციას პროგრამების / ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ, ასევე ინფორმაციას კაპიტალური პროექტების შესახებ. პროგრამული ბიუჯეტის შედგენისათვის საჭირო მეთოდოლოგიას საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან შეთანხმებით ამტკიცებს საქართველოს ფინანსთა მინისტრი.

პროგრამა - ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად.

პროგრამის მიზანი - დაკავშირებულია პრიორიტეტის საშუალოვადიან მიზანთან და ამასთან ასაბუთებს, რატომ არის ეს პროგრამა ეფექტიანი პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზნის მისაღწევად.

პროგრამის აღწერა - ქვეპროგრამები, ღონისძიებები, რომელთა განხორციელება იგეგმება პროგრამის განხორციელების ეტაპზე, აგრეთვე პირთა წრე, რომლებიც წარმოადგენენ პროგრამის ბენეფიციარს.

პროგრამის საბოლოო შედეგი - მდგომარეობა, რომელიც დაგეგმილი პროგრამის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს, საბოლოო შედეგი გულისხმობს პრობლემის სრულად აღმოფხვრას, ახალი წესის დანერგვას, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შესასაბამის სფეროში.

ს

საბაზისო მონაცემი - არის ინდიკატორის საწყისი ღირებულება პროგრამის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაწყებამდე.

საბიუჯეტო კლასიფიკაცია - ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების თანამიმდევრული დაჯგუფება ეკონომიკური ხასიათის, ფუნქციონალური ღონისძიებების, ორგანიზაციული სტრუქტურისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით.

საბიუჯეტო პროცესი - ბიუჯეტის მომზადების, განხილვისა და დამტკიცების, აღსრულების, კონტროლის და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვისთვის დადგენილი პროცედურები.

საბოლოო შედეგის ინდიკატორები - საბოლოო შედეგის ინდიკატორი ზომავს პროგრამის ძირითადი მიზნის განხორციელებას და ხშირად მისი გაზომვა ერთწლიან პერიოდზე შეუძლებელია.

საკრებულო - ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო.

სამიზნე მაჩვენებელი - კონკრეტული შედეგის დაგეგმილი მოცემულობა, რომელიც უნდა მიიღწეს პროგრამის განხორციელებისას შემდგომი 4 წლის თავზე.

საფინანსო ორგანო – ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ბიუჯეტის პროექტის მომზადებისთვის და ბიუჯეტის შესრულებისთვის.

საშუალოვადიანი გეგმა - მოიცავს 4 წლიან პერიოდს და გულისხმობს ორგანიზაციის ან დაწესებულების მიერ თავისი საქმიანობის სტრატეგიული მიმართულებების გამოკვეთას და გადაწყვეტილებების მიღებას მისი ადამიანური, ფინანსური, მატერიალურ–ტექნიკური და სხვა სახის რესურსების გამოყენების შესახებ დასახული სტრატეგიული ამოცანების გადასაჭრელად.

საშუალოვადიანი პრიორიტეტები - დაკავშირებულია ორგანიზაციის მისიასთან და აკონკრეტებს მისიაში მოცემულ ზოგად პრიორიტეტს.

საორიენტაციო მაჩვენებლები - საბოლოო სამიზნე მაჩვენებლების განსაზღვრის შემდეგ უნდა დაზუსტდეს პროგრამების ყოველწლიური საორიენტაციო მაჩვენებლები, რაც თითოეულ წელს უნდა მიიღწეს შემდგომი 3 წლის განმავლობაში.

სპეციალური ტრანსფერი – გათანაბრებითი და მიზნობრივი ტრანსფერების გარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან/და ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან თვითმმართველობის ბიუჯეტისათვის ფინანსური დახმარების სახით გამოყოფილი სახსრები.

სპეციალური ტრანსფერი გამოიყოფა სტიქიური მოვლენების, ეკოლოგიური და სხვა სახის კატასტროფების, საომარი მოქმედებების, ეპიდემიებისა და სხვა საგანგებო სიტუაციების შედეგების (ზიანის) სალიკვიდაციოდ, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ სხვა ღონისძიებათა განსახორციელებლად.. სპეციალური ტრანსფერი გამოიყოფა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი არასაკმარისია.

ქ

ქვეპროგრამა - მხარჯავი დაწესებულების პროგრამის ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობა.

ქვეპროგრამის მიზანი - დაკავშირებულია იმ პროგრამის წარმატებით განხორციელებასთან, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის აღწერა - ღონისძიებები, რომელთა განხორციელება იგეგმება ქვეპროგრამის განხორციელების ეტაპზე, აგრეთვე პირთა წრე, რომლებიც წარმოადგენენ ქვეპროგრამის ბენეფიციარს.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგი - შუალედური შედეგი, საბოლოო შედეგისგან განსხვავებით თავისი შინაარსით წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ქვეპროგრამების/ ღონისძიებების გატარების შედეგად მიღებულ პროდუქტს (output).

შ

შუალედური შედეგის ინდიკატორები - კონკრეტულ და გაზომვად ერთეულებში მოცემული ინფორმაცია, როგორიცაა მიღებული პროდუქტების რაოდენობა, გაწეული მომსახურების ხარისხი.

ღ

ღონისძიება - ცალკეული ან რამდენიმე საქმიანობის ერთობლიობაა, რომლის განხორციელება დაკავშირებულია მოკლევადიანი შედეგის მიღწევასთან.

1. თვითმმართველობის საბიუჯეტო პროცესი

პროცესის აღწერა

ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების საბიუჯეტო პროცესი მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის და მომზადების პროცესთან.

თვითმმართველობის საბიუჯეტო პროცესი იწყება ყოველი წლის 1 მარტს, როდესაც მუნიციპალიტეტები იწყებენ მუშაობას პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებაზე.

პრიორიტეტების ჩამოყალიბების შემდგომ ხდება დასაგეგმი პერიოდისათვის საკუთარი ფინანსური რესურსის განსაზღვრა. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი შემოსულობების დიდ ნაწილს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გათანაბრებითი ტრანსფერი, მაინც მნიშვნელოვანია საკუთარი შემოსავლების სხვა წყაროების (საგადასახადო შემოსავლები, სხვა შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება) რეალისტურად დაგეგმვა.

თვითმმართველობის ბიუჯეტზე მუშაობა იწყება არაუგვიანეს 15 ივლისისა, როდესაც საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცნობებს მუნიციპალიტეტებს ძირითად საბიუჯეტო მაჩვენებლებს. ეს მოიცავს ყველა მაკროეკონომიკურ, ფისკალურ თუ სხვა მონაცემს რაც ამ პერიოდისათვის ფინანსთა სამინისტროს აქვს შემუშვებული:

1. ქვეყნის ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი (რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის მშპ-ს ზრდა)
2. ნომინალური მშპ–ს საპროგნოზო მაჩვენებელი
3. ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი
4. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების (მათ შორის საგადასახადო შემოსავლების) საპროგნოზო მაჩვენებელი
5. არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაციის) საპროგნოზო მაჩვენებელი, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტისათვის, ასევე ქვეყნის მასშტაბით
6. გამოთანაბრებითი ტრანსფერის სავარაუდო ჯამური მაჩვენებელი
7. სხვა ძირითადი საბიუჯეტო პარამეტრები (სახელმწიფო ვალების მომსახურება და დაფარვა)

მაჩვენებლები თვითმმართველ ერთეულებს მიეწოდებათ როგორც დასაგეგმი წლისათვის, ასევე გასული, მიმდინარე და დასაგეგმის შემდგომი სამი წლისათვის.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტის საქართველოს პარლამენტში წარდგენის შემდგომ 5 დღის ვადაში (5 ოქტომბერი) თვითმმართველობებს აცნობებს მათთვის სახელმწიფო ბიუჯეტში განსაზღვრული ფინანსური დახმარების შესახებ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან ინფორმაციის მიღების შემდგომ იწყებენ პრიორიტეტების დოკუმენტთან შესაბამისობაში მყოფი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას, რომელიც წარედგინება საკრებულოს 15 ნოემბრამდე.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი საჯაროდ განიხილება წარმომადგენლობით ორგანოში და შენიშვნების არსებობის შემთხვევაში უბრუნდება აღმასრულებელ ორგანოს 25 ნოემბრამდე.

ბიუჯეტის შესწორებული ვარიანტი საკრებულოს წარედგინება 10 დეკემბრამდე. ბიუჯეტი მტკიცდება არაუგვიანეს 31 დეკემბრისა.

პროცესის კალენდარი

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამული ბიუჯეტის (შემდგომში ბიუჯეტი) პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესს კოორდინაციას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის საფინანსო ორგანო. ბიუჯეტის პროექტს საკრებულოში წარადგენს გამგებელი/მერი. ხოლო ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და დამტკიცებაზე და ბიუჯეტის კონტროლზე უფლებამოსილია შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო **(შემდგომში საკრებულო)**. მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროცესის კალენდარი შემდგენაირად გამოიყურება:

10 იანვარი	**-იანვარი**	**20 იანვარი**	
ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში თვითმმართველობის საფინანსო ორგანო ამზადებს ანგარიშს თვითმმართველობის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლიელების და მთლიანი სალდოს ჩვენებით. საბიუჯეტო კოდექსის 84-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.	თვითმმართველობის საფინანსო ორგანო ბიუჯეტის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 15 დღისა ამზადებს ბიუჯეტის კვარტალურ ან/და ყოველთვიურ განწერას. კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.	თვითმმართველობის საფინანსო ორგანო ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან არაუგვიანეს 20 დღისა ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტს. კოდექსის 78-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე.	
10 თებერვალი	**28/29 თებერვალი**	**1 მარტი**	**10 მარტი**
ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში თვითმმართველობის საფინანსო ორგანო ამზადებს ანგარიშს თვითმმართველობის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლიელების და მთლიანი სალდოს ჩვენებით. კოდექსის 84-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.	თვითმმართველობის საფინანსო ორგანო საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 თვისა ამზადებს წინა წლის ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს და წარუდგენს შესაბამის წარმომადგელობით ორგანოს. კოდექსის 86-ე მუხლის საფუძველზე.	გამგებელი/მერი არა უგვიანეს 1 მარტისა გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებლივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები კოდექსის 76-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე.	ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში თვითმმართველობის საფინანსო ორგანო ამზადებს ანგარიშს თვითმმართველობის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილების და მთლიანი სალდოს ჩვენებით. კოდექსის 84-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.
10 აპრილი	**30 აპრილი**	**1 მაისი**	**10 მაისი**
ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში თვითმმართველობის საფინანსო ორგანო ამზადებს ანგარიშს თვითმმართველობის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილების და მთლიანი სალდოს ჩვენებით. კოდექსის 84-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.	თვითმმართველობის საფინანსო ორგანო ყოველი კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე.	ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო არაუგვიანეს 1 მაისისა იხილავს გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებს და იღებს გადაწყვეტილებას წლიური ანგარიშების დამტკიცების ან დაუმტკიცებლობის შესახებ. კოდექსის 88-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.	ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში თვითმმართველობის საფინანსო ორგანო ამზადებს ანგარიშს თვითმმართველობის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილების და მთლიანი სალდოს ჩვენებით. კოდექსის 84-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.

10 ივნისი	10 ივლისი	15 ივლისი	31 ივლისი
ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში თვითმმართველობის საფინანსო ორგანო ამზადებს ანგარიშს თვითმმართველობის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილების და მთლიანი სალდოს ჩვენებით. კოდექსის 84-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.	ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში თვითმმართველობის საფინანსო ორგანო ამზადებს ანგარიშს თვითმმართველობის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლიელების და მთლიანი სალდოს ჩვენებით. კოდექსის 84-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო 15 ივლისამდე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს. კოდექსის 77-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.	თვითმმართველობის საფინანსო ორგანო ყოველი კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე.
10 აგვისტო	**10 სექტემბერი**	**5 ოქტომბერი**	**10 ოქტომბერი**
ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში თვითმმართველობის საფინანსო ორგანო ამზადებს ანგარიშს თვითმმართველობის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილების და მთლიანი სალდოს ჩვენებით. კოდექსის 84-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.	ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში თვითმმართველობის საფინანსო ორგანო ამზადებს ანგარიშს თვითმმართველობის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილების და მთლიანი სალდოს ჩვენებით. კოდექსის 84-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.	1. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა აცნობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს. კოდექსის 77-ე მუხლის მე-7 ნაწილის საფუძველზე. 2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო მაჩვენებლებს. კოდექსის 79-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.	ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში თვითმმართველობის საფინანსო ორგანო ამზადებს ანგარიშს თვითმმართველობის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილების და მთლიანი სალდოს ჩვენებით. კოდექსის 84-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.
15 ოქტომბერი	**31 ოქტომბერი**	**10 ნოემბერი**	**15 ნოემბერი**
ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელმა ორგანოებმა ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულებთან - გუბერნატორებთან შეთანხმებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენენ ინფორმაციას პრიორიტეტების დოკუმენტის შესახებ. საქართველოს მთავრობის N:206 დადგენილების მე-6 მუხლის შესახებ(04.03.2014)	თვითმმართველობის საფინანსო ორგანო ყოველი კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში შესაბამის თვითმმართელობის წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით, რომელიც მოიცავს შემოსულობების, გადასახდელების ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს ფაქტობრივი მოცულობების შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე.	ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში თვითმმართველობის საფინანსო ორგანო ამზადებს ანგარიშს თვითმმართველობის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილების და მთლიანი სალდოს ჩვენებით. კოდექსის 84-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.	1.ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო არაუგვიანეს 15 ნოემბრისა პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. კოდექსის 76-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე. 2.ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო არაუგვიანეს 15 ნოემბრისა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარუდგენს ინფორმაციას საშუალოვადიან სამოქმედო გეგმის შესახებ და პრიორიტეტების საშუალოვადიან ბიუჯეტს, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში სახელმწიფო რწმუნებულთან-გუბერნატორთან შეთანხმებით. საქართველოს მთავრობის N:206 დადგენილების მე-6 მუხლის შესახებ(04.03.2014). 3. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამგებელი არაუგვიანეს 15 ნოემბრისა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად წარუდგენს ნარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარეს. კოდექსის 77-ე მუხლის მე-8 და მე-9 ნაწილის საფუძველზე. ასევე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პარამეტრების საფუძველზე მომზადებულ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში დელეგირებული უფლებამოსილებების პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების გაანგარიშებას, მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობას. კოდექსის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.

20 ნოემბერი	25 ნოემბერი	10 დეკემბერი	31 დეკემბერი
წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენიდან 5 დღის ვადაში ბიუჯეტის პროექტი უნდა გამოქვეყნდეს საჯარო განხილვისათვის. კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.	ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე შენიშვნების არსებობის შემთხვევაში არაუგვიანეს 25 ნოემბრისა, ბიუჯეტის პროექტს უბრუნებს გამგებელს. კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე.	1. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამგებელი არაუგვიანეს 10 დეკემბრისა ბიუჯეტის პროექტს იმავე ან შესწორებულ ვარიანტს წარუდგენს წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარეს. კოდექსის 78-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე. 2. ყოველი თვის დასრულებიდან 10 დღის ვადაში თვითმმართველობის საფინანსო ორგანო ამზადებს ანგარიშს თვითმმართველობის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლიელების და მთლიანი სალდოს ჩვენებით. კოდექსის 84-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე.	საბიუჯეტო წლის დაწყებამდე, (როგორც წესი) ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ორგანო საჯაროდ იხილავს და იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების თაობაზე. კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე.ბიუჯეტის მიღების ზღვრული ვადა არის არა უგვიანეს 3 თვე საბიუჯეტო წლის დაწყებისდან, ე.ი. 1 აპრილი.

2. საბიუჯეტო კლასიფიკაცია

საბიუჯეტო კლასიფიკაცია მოიცავს შემოსავლების, ხარჯების ეკონომიკურ, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალურ, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციებს, აგრეთვე ორგანიზაციულ კლასიფიკაციას. იგი, თავის მხრივ, მოიცავს გადასახდელებს ორგანიზაციების, პროგრამებისა და ღონისძიებების მიხედვით და განისაზღვრება ბიუჯეტით.

კლასიფიკაციის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ქონების გადასახადის, გრანტებისა და მოსაკრებლების (შემოსავლების ნაწილში) და შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების დაჯგუფება (ხარჯების ნაწილში) ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტისათვის.

შემოსავლების კლასიფიკაცია

დამტკიცებული კლასიფიკაციის მიხედვით, შემოსავლები იყოფა 4 ძირითად ჯგუფად: გადასახადები, სოციალური შენატანები, გრანტები და სხვა შემოსავლები. შემოსავლების კლასიფიკაცია იწყება ციფრით – „1“. შემდეგი ციფრები უჩვენებს ჯგუფებს, ქვეჯგუფებს, სახეობებს, ქვესახეობებს და ა.შ.

შემოსავლები (1). შემოსავლებში კლასიფიცირდება გადასახადები ქონებაზე, რომელიც თავის მხრივ ქვესახეობებად კლასიფიცირდება:

გადასახადები ქონებაზე (113). ეს მუხლი მოიცავს გადასახადებს, რომლითაც იბეგრება ქონების გამოყენება, საკუთრება (ფლობა) ან გადაცემა. ქონება შესაძლოა იბეგრებოდეს გარკვეული ინტერვალებით, ერთჯერადად ან საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში.

გადასახადები უძრავ ქონებაზე (1131). ამ ტიპის გადასახადებით, დროის გარკვეული ინტერვალებით იბეგრება უძრავი ქონების (მათ შორის: მიწა, შენობა ან სხვა სახის ნაგებობა) საკუთრება ან გამოყენება. გადასახადით შეიძლება დაიბეგროს მესაკუთრე, დამქირავებელი ან ორივე ერთად. გადასახადი გაიანგარიშება პროცენტულად ქონების შეფასებული ღირებულებიდან, რომლის განსაზღვრაც ხდება პირობითი საიჯარო ქირის, გასაყიდი ფასის, კაპიტალიზებული შემოსავლის ან სხვა მახასიათებლის მიხედვით, ისეთი როგორიცაა ზომა ან ადგილმდებარეობა.

ქონების გადასახადი (11311). ამ მუხლით აღირიცხება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ქონების გადასახადი, რომელიც იყოფა შემდეგ ქვეჯგუფებად:

საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი (113111);

უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი (113112);

ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გადასახადი (113113). იგი მოიცავს გადასახადებს:

– ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე (1131131);
– არაეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე (1131132);
– საქართველოში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილებზე (1131133);
– საქართველოში რეგისტრირებულ იახტებზე (კატარღებზე) (1131134);
– საქართველოში რეგისტრირებულ თვითმფრინავებზე (1131135);
– საქართველოში რეგისტრირებულ შვეულმფრენებზე (1131136);

ქონების გადასახადი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე (113114), რომელიც მოიცავს შემოსავალს:

– ფიზიკური პირებისგან (1131141);
– იურიდიული პირებისგან (1131142);

ქონების გადასახადი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე (113115), რომელიც მოიცავს შემოსავალს:

– ფიზიკური პირებისგან (1131151);
– იურიდიული პირებისგან (1131152).

გრანტი (13) არის არასავალდებულო ტრანსფერი, რასაც იღებს მთავრობა სხვა სამთავრობო ეკონომიკური ერთეულისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან. ნაერთი სტატისტიკის შედგენის დროს, მთელი სამთავრობო სექტორისთვის, ხელისუფლების სხვა დონის ორგანოებიდან მიღებული გრანტები ექვემდებარება კონსოლიდაციას, რის გამოც ნაერთ ანგარიშში დარჩება მხოლოდ სხვა ქვეყნის მთავრობებისგან და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებული გრანტები. გრანტების შემდგომი კლასიფიცირება ხდება კაპიტალურ და მიმდინარე გრანტებად და შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც ფულადი, ისე ნატურალური ფორმით.

გრანტები იყოფა: **საერთაშორისო ორგანიზაციებისგან (131)**, **უცხო სახელმწიფოთა მთავრობებისგან (132)** და **სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებისგან მიღებულ გრანტებად (133)**. ბოლო კატეგორია, გრანტები სხვა სახელმწიფო ერთეულებისგან, საჭიროა მხოლოდ მაშინ, როდესაც ანგარიში დგება მთავრობის ქვესექტორისათვის, მთავრობის ნაერთი ანგარიშის შედგენისას ეს მუხლი ექვემდებარება კონსოლიდაციას და ამიტომ უნდა გაბათილდეს.

მიმდინარე გრანტები განკუთვნილია მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად და არა აქტივების შესაძენად. კაპიტალური გრანტები არის ისეთი გრანტები, რომლებიც გრანტის პირობის თანახმად, მიმღებმა უნდა გამოიყენოს აქტივების შესაძენად (საბრუნავი საშუალებების გარდა). კაპიტალურ გრანტებს წარმოადგენს აქტივების გადაცემა (ფულისა და საბრუნავი საშუალებების გარდა) და ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე დებიტორსა და კრედიტორს შორის ვალდებულებების გაუქმება (ჩამოწერა). როდესაც ვერ ხერხდება გრანტის ხასიათის დადგენა, მაშინ იგი უნდა აღირიცხოს მიმდინარე გრანტების მუხლში.

ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები (1422)

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი (142213):

– კაზინოების (სამორინეების) სათამაშო მაგიდიდან (1422131);
– სათამაშო აპარატებიდან (1422132);
– ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროებიდან (1422133);
– წამახალისებელი გათამაშებიდან (1422134);
– სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობიდან (1422135);
– ლატარიების მოსაწყობად (1422136);

– სხვა არაკლასიფიცირებული სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი (1422139);
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის (142214);
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტუ-რის მოსაკრებელი (142215);
მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის (142216).

სანებართვო მოსაკრებლები (14223)

მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე (1422312).

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი (14229)

სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი (142212)

შემოსავლები მომსახურების გაწევიდან (14232):

– შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან (142321);
– შემოსავალი მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან (142322);
– შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სახელმწიფო ქონების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან (142323);

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო (1431)

– საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო (143171);
– საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის პირობების დარღვევის გამო (143174)
– დასუფთავების წესების დარღვევის გამო (1431111);
– თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობის წესების დარღვევის გამო (1431112);
– თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯების გამო (1431113);

ხარჯების კლასიფიკაცია

ხარჯების კლასიფიკაცია, დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, იყოფა ეკონომიკურ, ფუნქციონალურ და ორგანიზაციულ კლასიფიკაციად. კლასიფიკაციაში ხარჯები იწყება ციფრით – „2”. შემდეგი ციფრები უჩვენებს ჯგუფებს, ქვეჯგუფებს, სახეობებს, ქვესახეობებს და ა.შ.

ხარჯები (2)

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია წარმოადგენს ბიუჯეტის ხარჯების ფინანსური ოპერაციების დაჯგუფებას ეკონომიკური შინაარსის მიხედვით. ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ხარჯები იყოფა 8 ძირითად ჯგუფად: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, ძირითადი კაპიტალის მოხმარება, პროცენტი, სუბსიდიები, გრანტები, სოციალური უზრუნველყოფა და სხვ.

შრომის ანაზღაურება (21) გულისხმობს დამქირავებლის მიერ დაქირავებულისათვის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს ღირებულების ასანაზღაურებლად ფულადი ან სასაქონლო ფორმით გაცემულ კომპენსაციებს. შრომის ანაზღაურება **მოიცავს ხელფასებს (როგორც ფულადი, ისე სასაქონლო ფორმით) (211)** და **სოციალურ შენატანებს (212).**

შრომის ანაზღაურება (21) არ ითვალისწინებს კონტრაქტორების, თვითდასაქმებული პირებისა, თუ სხვა სახის მომუშავეთათვის გადახდილ თანხებს, რომლებიც სახელმწიფო ერთეულის საშტატო რაოდენობაში არ შედის. ნებისმიერი ამგვარი გადახდა აისახება როგორც საქონელი და მომსახურება (22).

ხელფასები (211) გულისხმობს შესრულებული სამუშაოს საზღაურს ფულადი ან სასაქონლო ფორმით, აგრეთვე კუთვნილი შვებულების საზღაურს.

ხელფასი ფულადი ფორმით (2111) მოიცავს შესრულებული სამუშაოსა და კუთვნილი შვებულების ფულად ანაზღაურებას.

თანამდებობრივი სარგო (21111) მოიცავს ნომინალური თვიური ხელფასის ოდენობას (რაც დადგენილია მუშაკისათვის დაკავებული თანამდებობის შესაბამისად) და კუთვნილი შვებულების საზღაურს. სარგო დგინდება საშტატო განრიგის და თანამდებობრივი კატეგორიის შესაბამისად.

წოდებრივი სარგო (21112) მოიცავს მინიჭებული წოდებისათვის დადგენილ სარგოს.

პრემია (21113) მოიცავს ყველა სახის ფულად წახალისებას, გარდა „სხვა ხარჯებში“ ასახულ სახელმწიფო ჯილდოებსა და შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სხვა სახის ჯილდოებზე დაწესებული ფულადი პრემიებისა.

დანამატი (21114) მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს.

ჰონორარი (21115) მოიცავს ფულად ანაზღაურებას, რომელსაც უხდიან ლიტერატურული და მუსიკალური ნაწარმოებების, მეცნიერული ნაშრომებისა და გამოგონებების ავტორებს ნაწარმოებების პუბლიკაციისა და გამოყენებისათვის, გარდა „სხვა ხარჯებში“ და „სოციალურ უზრუნველყოფაში“ ასახული კომპენსაციებისა.

კომპენსაცია (21116). აღნიშნული კატეგორია მოიცავს დაქირავებულისათვის ნორმატიული აქტით განსაზღვრულ ყველა სახის ფულად კომპენსაციას, გარდა „სოციალური უზრუნველყოფის“ (27) და „სხვა ხარჯების“ (28) მუხლებით გათვალისწინებული კომპენსაციებისა.

საქონელი და მომსახურება (22)

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება (221)

აღნიშნული კატეგორია მოიცავს ხელშეკრულებით დაქირავებულ შტატგარეშე მომუშავეთათვის ფულადი ან სასაქონლო ფორმით გაცემულ კომპენსაციას.

მივლინება (222) - აღნიშნული კატეგორია მოიცავს ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მივლინების დროს მგზავრობის, საცხოვრებელი ადგილის, დღიური ნორმის და მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის ხარჯებს;

ოფისის ხარჯები (223) - მოიცავს დანახარჯებს მცირეფასიან და ხანგრძლივი მოხმარების საგნებზე, რომელთაც გააჩნიათ რეგულარული გამოყენების ხასიათი; ძირითადი აქტივების სამუშაო მდგომარეობაში შენახვისა და დაზიანების შემთხვევაში შეკეთების მიზნით გაწეულ ხარჯებს, რომელიც არ ზრდის მათ ღირებულებას. აგრეთვე მოიცავს სამსახურებრივ მოვალეობასთან დაკავშირებული ბინით სარგებლობის კომუნალურ ხარჯებს, კავშირგაბმულობის ხარჯებს, საფოსტო მომსახურების ხარჯებს.

წარმომადგენლობითი ხარჯები (224) - გულისხმობს როგორც საქართველოს მოქალაქეებზე გაწეულ წარმომადგენლობით ხარჯებს, აგრეთვე, იმავე ღონისძიებების ფარგლებში უცხოელ სტუმრებზე გაწეულ ხარჯებსაც.

კვების ხარჯები (225) - აღნიშნული კატეგორია მოიცავს ბაგა-ბაღებში, საბავშო სახლებში, საგანმანათლებლო და სხვა დაწესებულებებში კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს; სამხედრო მოსამსახურეთა და პოლიციელთა კვებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

სამედიცინო ხარჯები (226) - აღნიშნული კატეგორია მოიცავს მედიკამენტების, აგრეთვე სამედიცინო დანიშნულების სამკურნალო მინერალური წყლების, ვიტამინების, ვაქცინების, შრატების, ჟანგბადის, სამედიცინო სადეზინფექციო საშუალებების და ანალოგიური სახის საქონლის შეძენის ხარჯებს;

რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები (227) - აღნიშნული კატეგორია მოიცავს ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, პირადი ჰიგიენის თეთრეულის შეძენის და შენახვის ხარჯებს; პირად ჰიგიენასთან დაკავშირებულ ხარჯებს;

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - მოიცავს ტრანსპორტის მოვლა-შენახვისთვის გათვალისწინებულ ხარჯებს.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - მოიცავს ყველა იმ ხარჯს, რომელიც არ არის კლასიფიცირებული საქონლისა და მომსახურების სხვა მუხლებში.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება (23) * - ძირითადი კაპიტალის მოხმარება წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, ფიზიკური ცვეთის, მორალური ცვეთისა და ჩვეულებრივი შემთხვევითი დაზიანების შედეგად, სახელმწიფო ერთეულის მფლობელობაში არსებული და მის მიერ გამოყენებული ძირითადი აქტივების ღირებულების შემცირებას.

პროცენტი (24) - პროცენტი წარმოადგენს გადასახდელს, რომელიც გამომდინარეობს ფინანსური მოთხოვნების გარკვეული სახეებიდან, კერძოდ, დეპოზიტებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან (გარდა აქციებისა), სესხებიდან და კრედიტორული დავალიანებიდან. სასესხო ვალდებულებები წარმოიქმნება მაშინ, როდესაც ერთი ერთეული (დებიტორი) სესხს იღებს მეორე ერთეულისაგან (კრედიტორისაგან). პროცენტი წარმოადგენს გადასახდელს, რომელსაც უხდის დებიტორი კრედიტორს, კრედიტორის მიერ უზრუნველყოფილი ეკონომიკური ღირებულების გამოყენებისათვის.

სუბსიდიები (25) - სუბსიდიები წარმოადგენს საწარმოებსა და ორგანიზაციებზე სახელმწიფო ერთეულის მიერ მიმდინარე მიზნებისათვის უსასყიდლოდ, დაუბრუნებლად გაცემულ ტრანსფერს. ამ მუხლში არ აღირიცხება იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის გადასაცემი თანხები, რომელიც შემდგომ გამოიყენება მოსწავლეთა ვაუჩერული სისტემის დასაფინანსებლად, სტუდენტთა გრანტებისა და სტიპენდიების გასაცემად.

გრანტები (26) * - გრანტები წარმოადგენს მიმდინარე ან კაპიტალური დანიშნულების ტრანსფერებს ერთი სახელმწიფო ერთეულიდან სხვა სახელმწიფო ერთეულზე, საერთაშორისო ორგანიზაციაზე ან სხვა ქვეყნის მთავრობაზე.

სოციალური უზრუნველყოფა (27) - სოციალური უზრუნველყოფა არის ტრანსფერი ფულადი ან სასაქონლო ფორმით, რომელიც ხორციელდება მთელი მოსახლეობის ან მისი გარკვეული ნაწილის სოციალური რისკებისგან დაცვის მიზნით.

სოციალური დახმარება (272) - მოიცავს: სახელმწიფო პენსიებს, სახელმწიფო კომპენსაციებსა და სახელმწიფო აკადემიურ სტიპენდიებს; ინვალიდთა პენსიებს, დახმარებას უმუშევრობის დროს; ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებს; ძალადობის მსხვერპლთა და დაზარალებულთა კომპენსაციას; უმწეო მდგომარეობაში მყოფი საოჯახო მეურნეობების სოციალურ დახმარებებს; სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის დახმარებებს; მონეტიზაციის პროგრამით გათვალისწინებულ დახმარებებს; დახმარებას ორსულობაზე, მშობიარობაზე და ბავშვის მოვლაზე, ასევე ახალშობილის შვილად აყვანაზე; ჯანმრთელობის დაცვაზე გაწეულ ხარჯებს (გარდა სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციაზე გაწეული და „საქონლისა და მომსახურების“ *(22)* მუხლით გათვალისწინებული სამედიცინო ხარჯებისა) და სხვა.

დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება (273) მოიცავს: სამსახურიდან დათხოვნის კომპენსაციებს; სრული ან ნაწილობრივი ოდენობის ხელფასს, რაც გადახდილი იყო მოსამსახურის ავადმყოფობისა და შემთხვევითი დაზიანების გამო სამსახურში არყოფნის დროს; აგრეთვე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მოსამსახურის დაღუპვის ან დასახიჩრების შემთხვევაში გასაცემ თანხებს; ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო სახელმწიფოს მიერ გაცემული სოციალური დახმარების ზევით გაცემულ სოციალურ დახმარებას (კომპენსაცია) და სხვა.

ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა (281) - ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები იყოფა 4 ძირითად ჯგუფად: დივიდენდები; კვაზიკორპორაციების შემოსავლიდან ამოღებული თანხები; ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, რომლებიც სადაზღვევო პოლისის მფლობელებზე ვრცელდება; რენტა.

ქონებასთან დაკავშირებული ხარჯი წარმოადგენს სახელმწიფო ერთეულის მიერ არაწარმოებული აქტივის გამოყენებისათვის აქტივების მფლობელისათვის გადასახდელ თანხას.

სხვადასხვა ხარჯები მოიცავს 282 კოდით გათვალისწინებულ სხვადასხვა მიზნით განხორციელებული ტრანსფერების რამდენიმე სახეს და აგრეთვე იმ ხარჯვით ოპერაციებს, რომლებიც სხვაგან არსად არ არის კლასიფიცირებული.

სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები (2821)

აღნიშნული მოიცავს:

- კანონმდებლობით დადგენილი ყველა სახის გადასახადებს, საურავებს, ჯარიმებს, მოსაკრებლებს, საკომისიოებსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახდელებს, გარდა საშემოსავლო გადასახადის და საქონლის ღირებულებაში აღრიცხული დამატებული ღირებულების გადასახადისა და საბაჟო მოსაკრებლისა;

- სასამართლოებისა და სხვა კვაზი-სასამართლო (არბიტრაჟი და სხვა) ორგანოების გადაწყვეტილებებით დაკისრებულ თანხებს, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლა და აღნიშნული თანხების დაფარვა ხორციელდება მიმდინარე პერიოდში (ერთი და იმავე საანგარიშო წელს), ხოლო აღნიშნული გადასახდელები აღირიცხება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში, თუ სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლა და მისი აღსრულება ხდება სხვადასხვა წლებში. იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება ეხება იმ გადასახდელებს, რომლებიც ორგანიზაციის მიერ აღრიცხულია ბალანსში, მათი დაფარვა აღირიცხება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში;
- სახელმწიფო ერთეულების მიზეზით ფიზიკური პირების ტრავმირებისა თუ ქონებრივი ზარალის ასანაზღაურებლად, აგრეთვე დაღუპვის შემთხვევაში გადახდილ კომპენსაციებს. ასეთი გადახდები შეიძლება იყოს სავალდებულო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან ნებაყოფილობითი სასამართლოს გარეთ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე;
- სხვადასხვა სახის მოვლენებისა და უბედური შემთხვევების დროს დასაფარი ხარჯების ასანაზღაურებლად გადასახდელ სადაზღვევო პრემიებს, სადაზღვევო შენატანებს, აგრეთვე შენობების, დანადგარებისა და სხვა დაზღვევის ხარჯებს; ამგვარი გადახდები ყოველთვის განიხილება, როგორც მიმდინარე ტრანსფერები;
- მოსწავლეთა ვაუჩერებს, სახელმწიფო სასწავლო გრანტებს და სტიპენდიებს, პრეზიდენტის ან სხვა სახელობის გრანტებსა და სტიპენდიებს და სამეცნიერო გრანტებს. აგრეთვე, ობოლ და მშობელთა მზრუნველობამოკლებულ მოსწავლეთა/სტუდენტთა სწავლის საფასურს;
- სტიქიური უბედურებების შედეგად მიყენებული ზიანის ან მიღებული ტრავმების კომპენსირების მიზნით განხორციელებულ გადახდებს;
- საბაზრო წესით მწარმოებლებიდან საქონლისა და მომსახურების შესყიდვას, რომელიც პირდაპირ საოჯახო მეურნეობებზე გადანაწილდება საბოლოო მოხმარებისათვის, გარდა სოციალური დახმარებებისა;
  სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებულ ფულად პრემიებს და შესაბამისი სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სხვა სახის ჯილდოებზე დაწესებულ ფულად პრემიებს;
- უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების ფარგლებში მიმდინარე დანიშნულებით გასაცემ სახსრებს იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განმახორციელებელი არ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი.
- სხვა არაკლასიფიცირებულ ხარჯებს.

სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები (2822)

აღნიშნული მოიცავს:

- საოჯახო მეურნეობებზე ან მათი მომსახურე საბაზრო საწარმოებისათვის და არამომგებიანი დაწესებულებებისათვის გაცემულ ფულად ან სასაქონლო ფორმის კაპიტალურ ტრანსფერებს;
- საწარმოების მიერ კაპიტალის ფორმირების მიზნით სახელმწიფო ერთეულის მიერ განხორციელებულ გადახდებს, გარდა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციაში აღრიცხული მსგავსი გადასახდელებისა;
- საწარმოებისა და ორგანიზაციების არაფინანსური აქტივების დაზიანების კომპენსაციას;
- უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების ფარგლებში კაპიტალური მიზნით გასაცემ სახსრებს, რომლებიც გამოიყენება კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და საოჯახო მეურნეობებისათვის არაფინანსური აქტივების შესაძენად;
- სხვა არაკლასიფიცირებულ ხარჯებს

ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტი ასევე უნდა შედგეს **ფუნქციონალური კლასიფიკაციის** მიხედვით. **ეკონომიკური კლასიფიკაციის** მუხლების მიხედვით შედგენის საკითხს ადგილობრივი თვითმმართველობა თავად წყვეტს, რაც სავალდებულო არ არის.

არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია

არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია წარმოადგენს არაფინანსური აქტივების შეძენისა და გასავლის ოპერაციებისა და არაფინანსური აქტივების დაჯგუფებას სახეების მიხედვით. არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია იყოფა 4 ძირითად ჯგუფად:

ძირითადი აქტივები (311);
მატერიალური მარაგები (312);
ფასეულობები (313);
არაწარმოებული აქტივები (314).

აქტივებზე ოპერაციების კოდი					აქტივების კოდი					**დასახელება**
31					61					არაფინანსური აქტივები
31	1				61	1				ძირითადი აქტივები
31	1	1			61	1	1			შენობა ნაგებობები
31	1	1	1		61	1	1	1		საცხოვრებელი შენობები
31	1	1	2		61	1	1	2		არასაცხოვრებელი შენობები
31	1	1	3		61	1	1	3		საგზაო მაგისტრალები
31	1	1	4		61	1	1	4		ქუჩები
31	1	1	5		61	1	1	5		გზები
31	1	1	6		61	1	1	6		ხიდები
31	1	1	7		61	1	1	7		გვირაბები

31	1	1	8		61	1	1	8		საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები
31	1	1	9		61	1	1	9		ელექტრო გადამცემი ხაზები
31	1	1	10		61	1	1	10		მილსადენები
31	1	1	11		61	1	1	11		სხვა შენობა-ნაგებობები
31	1	2			61	1	2			მანქანა დანადგარები და ინვენტარი
31	1	2	1		61	1	2	1		სატრანსპორტო საშუალებები
31	1	2	1	1	61	1	2	1	1	სატვირთო ავტომობილი
31	1	2	1	2	61	1	2	1	2	მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილი
31	1	2	1	3	61	1	2	1	3	მსუბუქი ავტომობილი
31	1	2	1	4	61	1	2	1	4	ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა
31	1	2	1	5	61	1	2	1	5	ბულდოზერები და სხვა დანარჩენი სპეციალური ტექნიკა
31	1	2	1	6	61	1	2	1	6	სხვა სატრანსპორტო საშუალებები
31	1	2	2		61	1	2	2		სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი
31	1	3			61	1	3			სხვა ძირითადი აქტივები
31	1	3	1		61	1	3	1		კულტივირებული აქტივები
31	1	3	2		61	1	3	2		არამატერიალური ძირითადი აქტივები
31	1	3	2	1	61	1	3	2	1	ლიცენზიები
31	1	3	2	2	61	1	3	2	2	სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები
31	2				61	2				მატერიალური მარაგები
31	2	1			61	2	1			სტრატეგიული მარაგები
31	2	2			61	2	2			სხვა მატერიალური მარაგები
31	2	2	1		61	2	2	1		ნედლეული და მასალები
31	2	2	2		61	2	2	2		დაუმთავრებელი წარმოება
31	2	2	3		61	2	2	3		მზა პროდუქცია
31	2	2	4		61	2	2	4		შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი
31	3				61	3				ფასეულობები
31	4				61	4				არაწარმოებული აქტივები
31	4	1			61	4	1			მიწა
31	4	2			61	4	2			წიაღისეული
31	4	3			61	4	3			სხვა ბუნებრივი აქტივები
31	4	3	1		61	4	3	1		რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზია
31	4	3	2		61	4	3	2		სხვა დანარჩენი ბუნებრივი აქტივები
31	4	4			61	4	4			არაწარმოებული არამატერიალური აქტივები

ბიუჯეტი უნდა დაბალანსდეს საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად. ბიუჯეტის ბალანსის გაანგარიშებისას მთლიანი სალდოს მაჩვენებელს აკლდება ფინანსური აქტივების ცვლილების მაჩვენებელი და ემატება ვალდებულებების ცვლილების მაჩვენებელი. ბალანსი, მისი პრინციპიდან გამომდინარე, აუცილებელია იყოს ნულის ტოლი.

საოპერაციო სალდო შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობაა. იგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი სიდიდე. შესაბამისად, დადებითი მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომ საანგარიშო პერიოდში უფრო მეტი მიმდინარე შემოსავალია ვიდრე მიმდინარე დანიშნულების ხარჯები. უარყოფითი მაჩვენებელი კი პირიქით გვიჩვენებს, საანგარიშო პერიოდის მიმდინარე შემოსავალი ნაკლებია მიმდინარე დანიშნულების ხარჯებზე და შესაბამისად, მიმდინარე დანაზოგი ვერ გროვდება.

3. პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენა

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის მომზადების პირველი ეტაპი იწყება პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებით. პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული/ ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ.

პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მომზადება ხდება ყოველი წლის **მარტის თვიდან ივლისის თვის** ჩათვლით. თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ყოველი წლის 1 მარტიდან იწყებს პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაზე მუშაობას, გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები.

დოკუმენტის შედგენის პროცესში ხდება კონსულტაცია და ინფორმაციის მოგროვება ყველა იმ ორგანიზაციასთან რომელნიც მონაწილეობენ ამა თუ იმ პრიორიტეტული მიმართულების განხორციელებაში (მაგალითად საბავშვო ბაღები და სხვადასხვა აიპ–ები). ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის (საბიუჯეტო პარამეტრები) საფუძველზე მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა ჩამოაყალიბოს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი **ივლისის თვეში** და დაიწყოს კონსულტაციები რწმუნებულ–გუბერნატორთან, როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით.

რწმუნებულ–გუბერნატორთან კონსულტაციას მნიშვნელოვანი როლი უჭირავს ვინაიდან გუბერნატორის ადმინისტრაციაში იყრის თავს ინფორმაცია მთლიანად რეგიონში მიმდინარე პროცესების შესახებ. გუბერნატორის შუამდგომლობით ხდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად თანხების გამოყოფა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის.

პრიორიტეტების დოკუმენტის საბოლოო, გადამუშავებული ვარიანტის მომზადება ხდება **დეკემბრის თვეში,** მას შემდეგ, რაც განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საბოლოო პარამეტრები და საკრებულოს წარედგინება გადამუშვებული ბიუჯეტი მათ მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალიწინებით.

პრიორიტეტის დოკუმენტის მომზადებისას ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა უპასუხოს შემდეგ შეკითხვებს:

- რა არის თვითმმართველობის პრიორიტეტი? პრიორიტეტები რა თქმა უნდა უკავშირდება მუნიციპალიტეტის მანდატს და კომპეტენციას;
- რისი მიღწევა გვსურს საშუალო ვადაში? საშუალო ვადაში იგულისხმება 4 წელი, რა პერიოდზეც ხდება ბიუჯეტის ფინანსური პარამეტრების განსაზღვრა. თვითმმართველობებმა ასევე უნდა გაითვალისწინონ, რომ რესურსები შეზღუდულია ხოლო მოსახლეობის საჭიროებები მზარდი, შესაბამისად მიზნები და განხორციელების გზები უნდა იყოს რეალისტური და მიღწევადი;
- რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს საშულოვადიანი მიზნების მისაღწევად. ღონისძიებების გეგმა წარმოადგენს პრიორიტეტების დოკუმენტში, შემდგომში ბიუჯეტში მოცემული პროგრამების და ქვეპროგრამების, ასევე მათი შემადგენელი ღონისძიებების ერთობლიობას.

საშუალოვადიანი პრიორიტეტი	(დასახელება):
“დასაბუთება”	ინფორმაცია, რატომ წარმოადგენს პრიორიტეტს. მაგ: განსაზღვრულია კანონმდებლობით, მოცემულია სოციალ–ეკონომიკური განვითარების გეგმაში, მოსახლეობის გამოკითხვის შედეგია, და ა.შ.
საშუალოვადიანი მიზანი:	რისი მიღწევა სურს ორგანიზაციას საშუალოვადიან პერიოდში
ძირითადი სამოქმედო გეგმა	მოკლე ინფორმაცია, რა იგეგმება დასახული მიზნის მისაღწევად - ეს ინფორმაცია პირდაპირ უკავშირდება იმ პროგრამებს, რომლის განხორციელება იგეგმება პრიორიტეტის ფარგლებში.

პრიორიტეტების სამოქმედო გეგმის შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამისი საშუალოვადიანი პროგრამები:

პროგრამების ჩამოყალიბებისას შემდეგ კითხვებს უნდა გაეცეს პასუხი:

- რა აქვთ საერთო პრიორიტეტის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ ღონისძიებებს – პროგრამის დასახელება
- რა მიზანს ისახავს პროგრამა და როგორ უკავშირდება იგი პრიორიტეტის მიზანს?
- რა ღონისძიებებს ვაერთიანებთ პროგრამაში
- რა შედეგების მიღებას ვგეგმავთ საშუალო ვადაში
- რა არის პროგრამის ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო? პროგრამები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების შედარებით სტაბილური წყაროებით, როგორიცაა საკუთარი შემოსავლები, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი.

პრიორიტეტი	პრიორიტეტის დასახელება, რომლის ფარგლებში ხორციელდება პროგრამა
პროგრამა	პროგრამის დასახელება
განხორციელების ვადები	როგორც წესი 4 წელი /?
პროგრამის მიზანი	უკავშირდება პრიორიტეტის საშუალოვადიან მიზანს და ამასთან ასაბუთებს რატომ არის ეს პროგრამა ეფექტიანი პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზნის მისაღწევად
პროგრამის აღწერა	სავარაუდო ქვეპროგრამები, ღონისძიებები, აქტივობები, რომელთა განხორციელება იგეგმება პროგრამის განხორციელების ეტაპზე
პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო შედეგი)	მდგომარეობა, რომელიც დაგეგმილი პროგრამის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს
პროგრამის ბიუჯეტი	მათ შორის: თვითმმართველობის საკუთარი შემოსულობები; ტრანსფერი სახელმწიფო (ავტონომიური რესპუბლიკის) ბიუჯეტიდან

პრიორიტეტების და მისი განსახორციელებელი პროგრამების განსაზღვრის შემდგომ მზადდება პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი რომელიც შემდეგ ნაწილებს მოიცავს:

- პირველი ნაწილი: გასული და მიმდინარე წლის მოკლე მიმოხილვა, მათ შორის ინფორმაცია მიღებული და დაგეგმილი შემოსულობების და განხორციელებული და დაგეგმილი ძირითადი ღონისძიებების შესახებ.
- მეორე ნაწილი: გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემოდგომი 3 საბიუჯეტო წლისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით
- მესამე ნაწილი: თვითმმართველობის პრიორიტეების, ასევე წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების მოცულობები გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემოდგომი 3 საბიუჯეტო წლისათვის
- მეოთხე ნაწილი: თითოეული პრიორიტეტის აღწერა (ზემოთ მოცემული სტრუქტურის შესაბამისად) და მის ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების[1] დაფინანსების მოცულობა დასაგეგმი და დასაგეგმის შემოდგომი 3 საბიუჯეტო წლისათვის.

1 ქვეპროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მოცემულია ქვემოთ, პროგრამული ბიუჯეტირების ნაწილში

4. ბიუჯეტის შედგენა

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირება

ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის შედგენისათვის უპირველესი ამოცანაა მისი პოტენციური (რომლის მიღებაც არის შესაძლებელი) **შემოსულობების სახეობების განსაზღვრა.** ამისათვის, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ საკუთარი შემოსავლის ყველა სახეობა და მასთან ერთად, ის სახეობები, რაც საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით დამატებით არის განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობისათვის.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო შემოსულობებია:

შემოსავლები, მათ შორის:

გადასახადები;

გრანტები;

სხვა შემოსავლები;

არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღე-ბული სახსრები);

ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებიდან მიღებული სახსრები, ნაშთის გამოყენების გარდა);

ვალდებულებები (ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრები).

შემოსულობები, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის დანართის შესაბამისად, ნაწილდება სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის ადგილობრივი გადასახადები და მოსაკრებლები სრულად ირიცხება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში.

ადგილობრივი ბიუჯეტის ძირითადი შემოსავლებია:

შემოსავლის სახეობა	სახელმწიფო ბიუჯეტი	ადგილობრივი ბიუჯეტი
ადგილობრივი გადასახადები		
ქონების გადასახადი		100%
ადგილობრივი მოსაკრებლები		
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის		100%
მშენებლობის დაწყების მოსაკრებელი		100%
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი		100%
მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის		100%
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი		100%

მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სა ნებართვო პირობების შესრულების დადასტურების (ექსპლუატაციაში მიღების) თაობაზე აქტის გამოცემის (მასში ცვლილების შეტანის) დაჩქარებული მომსახურების მოსაკრებელი		100%
სხვა შემოსავლები		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი		100%
შემოსავლები სახელმწიფო ქონების გაყიდვიდან		35%
შემოსავლები ადგილობრივი ქონების გაყიდვიდან		100%
დივიდენდები ადგილობრივი ხელისუფლების წილობრივი მონაწილეობით მოქმედი კერძო საწარმოს მოგებიდან		100%
შემოსავალი სახელმწიფო მიწის იჯარაში და მართვაში გადაცემიდან რომელიც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სარგებლობაშია		100%
შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების მართვაში გადაცემიდან		100%
ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებელი		100%
ადგილობრივი სახელმწიფო ბაჟი		100%
ადგილობრივი საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი		100%
გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მოსაკრებელი		100%
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	90%	10%
საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის ჯარიმა	40%	60%

შემოსულობის სახეობების განსაზღვრის შემდეგ, მნიშვნელოვანია **შემოსავლების პროგნოზირება,** რაც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შედგენის უმთავრესი საფუძველია. შემოსავლების პროგნოზირებასთან არის დაკავშირებული რამდენიმე მნიშნელოვანი მომენტი:

– პროგნოზირების გზით ხდება ბიუჯეტის შემოსავლების ოპტიმალური მოცულობის დადგენა; ოპტიმალური შემოსავლების მოცულობიდან გამომდინარე, თვითმმართველობას შეუძლია რაციონალურად გაანაწილოს შემოსავლები სხვადასხვა სახის ხარჯზე;
– თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს შეუძლია აკონტროლოს (განახორციელოს მონიტორინგი) აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობის ქმედითობაზე.

შემოსავლების პროგნოზირებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქონების გადასახადისა და ადგილობრივი მოსაკრებლების პროგნოზირებას.

ქონების გადასახადების პროგნოზირება

მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვით მმართველობის ბიუჯეტში მხოლოდ **ქონების გადასახადი** ირიცხება. ამიტომ, მთელი ძალისხმევა ამ გადასახადის პროგნოზირებასა და ამოღებაზე უნდა იქნეს მიმართული.

ქონების გადასახადის პროგნოზირებისათვის აუცილებელია ქონების გადასახადი დაიყოს ქვესახეობებად:

– საწარმოთა/ორგანიზაციათა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა);
– ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა);
– სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი;
– არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ქონების გადასახადი.

საწარმოთა/ორგანიზაციათა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის პროგ-ნოზირება

საწარმოთა/ორგანიზაციათა ქონების გადასახადით დასაბეგრი ქონების ღირებულება არის საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება (გამოიანგარიშება კალენდარული წლის დასაწყისისა და ბოლოსთვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით), რომელიც ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებში უნდა გაიზარდოს:

- 2000 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 3-ჯერ;
- 2000 წლიდან 2004 წლამდე მიღებულ აქტივებზე – 2-ჯერ;
- 2004 წელს მიღებულ აქტივებზე – 1.5-ჯერ;
- იმ აქტივებზე, რომელთა მიღების შესახებ ინფორმაცია არ არსებობს – 3-ჯერ.

ამდენად, საწარმოთა/ორგანიზაციათა ქონების გადასახადის გამოსაანგარიშებლად აუცილებელია ვიცოდეთ რამდენიმე კომპონენტი:

- საკრებულოს მიერ დადგენილი განაკვეთი (1% ან მასზე ნაკლები);
- ქონების საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულება (საგადასახადო ინსპექციაში ჩაბარებული დეკლარაციების მიხედვით);
- ქონების ფლობის ასაკი ზემოთ მოცემული ბადეების შესაბამისად (მიღებული საჯარო რეესტრიდან).

იქიდან გამომდინარე, რომ ბიუჯეტის პროგნოზირება ხდება მომდევნო წლისათვის და ამ დროს ფიზიკურ პირებს დეკლარაციები ჯერ კიდევ არა აქვთ წარდგენილი საგადასახადო ინსპექციაში, დასაბეგრ ქონებად უნდა ავიღოთ წინა წლის მაჩვენებელი.

ფიზიკურ პირთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის პროგნოზირება. ფიზიკური პირის დასაბეგრ ქონებაზე გადასახადის წლიური განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

- 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლო სათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.05 პროცენტისა და არა უმეტეს 0.2 პროცენტისა;
- 100 000 ლარის ან მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – საგადასახადო პერიოდის ბოლოსათვის დასაბეგრი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0.8 პროცენტისა და არა უმეტეს 1 პროცენტისა.

ფიზიკურ პირთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის დასაანგარიშებლად აუცილებელია ვიცოდეთ:

- საკრებულოს მიერ დადგენილი განაკვეთი (ორივე კატეგორიისათვის);
- ფიზიკურ პირთა ქონების ღირებულება (საგადასახადო ინსპექციის დეკლარირებული მონაცემების შესაბამისად).

იქიდან გამომდინარე, რომ ბიუჯეტის პროგნოზირება ხდება მომდევნო წლისათვის და ამ დროს ფიზიკურ პირებს დეკლარაციები ჯერ კიდევ არა აქვთ წარდგენილი საგადასახადო ინსპექციაში, მსგავსად წინა შემთხვევაში გამოყენებული მაგალითისა, დასაბეგრ ქონებად უნდა ავიღოთ წინა წლის მაჩვენებელი.

სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის პროგნოზირება. არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის პროგნოზირება შედარებით ადვილია, ვინაიდან მიწა ფიქსირებული აქტივია. აქ მთავარია დადგინდეს, თუ ზოგადად ვინ იხდის მიწის გადასახადს. მიწაზე ქონების გადასახადის გადამხდელია პირი საგადასახადო წლის 1 აპრილის მდგომარეობით:

- მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე;
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე, რომლითაც სარგებლობს ან, რომელსაც ფლობს იგი;
- მის მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებულ, გარდაცვლილი პირის სახელზე რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მიწის ნაკვეთით სარგებლობა ხორციელდება იჯარის, ქირის, უზუფრუქტის ან სხვა ამგვარი სახის ხელშეკრულების საფუძველზე.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთი გაიანგარიშება შემდეგი წესით:

- წლიურ საბაზისო განაკვეთს ლარებში ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით ადგენს საქართველოს მთავრობა:
- სათიბებისა და საძოვრებისათვის – ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის სახეობების მიხედვით, 1.5 ლარიდან 20 ლარამდე ზღვრული ოდენობის ფარგლებში;
- სხვა მიწებისათვის – ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის ხარისხის მიხედვით, 50 ლარიდან 100 ლარამდე ზღვრული ოდენობის ფარგლებში;

საკრებულოს გადაწყვეტილებით განისაზღვრება გადასახადის განაკვეთი, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წლიური საბაზისო განაკვეთის 150 პროცენტს.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის გამოსაანგარიშებლად აუცილებელია ვიცოდეთ შემდეგი მაჩვენებლები:

- მიწის საერთო ფართობი იმ კატეგორიების მიხედვით, რომლებსაც გააჩნია სასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადის გადახდის ვალდებულება;
- საკრებულოს მიერ დადგენილი განაკვეთები მიწების კატეგორიების მიხედვით.

არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადის პროგნოზირება

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის განაკვეთები კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის, მისი ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გაიანგარიშება შემდეგი წესით:

- გადასახადის საბაზისო განაკვეთი დგინდება წელიწადში მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე 0.24 ლარის ოდენობით;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს (საკრებულოს) გადაწყვეტილებით, შესაბამისი საბაზისო განაკვეთი მრავლდება ტერიტორიულ კოეფიციენტზე. ამასთანავე, ტერიტორიული კოეფიციენტი არ შეიძლება იყოს 1,5-ზე მეტი.

ქონების გადასახადის პროგნოზირებისას აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ქონების **გადასახადისაგან განთავისუფლებული კატეგორიები.** ამგვარი კატეგორიების სახით მისაღები შემოსავლები აკლდება მთლიან საგადასახადო ბაზას და შემოსავლების პროგნოზირებისას არ გაითვალისწინება.

ვინაიდან უძრავი ქონების გადასახადი (საწარმოებსა და ფიზიკურ პირებზე) დეკლარირდება და გადაიხდება მომდევნო წლისათვის, თვითმმართველობამ პროგნოზირებისას უნდა გამოიყენოს წინა წლის მაჩვენებლები.

ადგილობრივი მოსაკრებლების პროგნოზირება

მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვისათვის. მშენებლობის ნებართვისათვის მოსაკრებელს იხდის მშენებარე ობიექტის მესაკუთრე (მშენებლობის დაწყებამდე, რათა მიიღოს მშენებლობის ნებართვა). მოსაკრებლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს განაშენიანების ფართის თითოეულ კვადრატულ მეტრზე – 1 ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტების მშენებლობაზე – 5 ლარს. შეღავათი ან მოსაკრებლის გადახდისაგან განთავისუფლება შეიძლება მხოლოდ სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული ობიექტის მშენებლობის შემთხვევაში, რაზეც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საკრებულომ. ასევე, საკრებულოს გააჩნია მოსაკრებლის შემოღების, გაუქმებისა და მასზე შეღავათის დაწესების უფლება.

რთულია მშენებლობის ნებართვისათვის მოსაკრებლის პროგნოზირება, ვინაიდან შეუძლებელია თვითმმართველობამ წინასწარ დაადგინოს, თუ რამდენმა პირმა და რა მოცულობის მშენებლობაზე შეიძლება მიმართოს მომდევნო წელს. თუმცა, ტერიტორიული რწმუნებულების მეშვეობით, შესაძლებელია იმის დადგენა, აპრებს თუ არა კონკრეტული პირი მშენებლობის დაწყებას მომდევნო წლისათვის და დასჭირდება თუ არა მას ნებართვის მიღება.

მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის. დასახლებული ტერიტორიის დასუფთავება გულისხმობს ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებას და ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებას, ტრანსპორტირებას, გაუვნებელყოფას და ნარჩენების განთავსების საბოლოო ადგილების მოვლა-პატრონობას.

მოსაკრებელს დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის იხდიან პირები (ფიზიკური ან იურიდიული), რომლებიც თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე წარმოშობენ ნარჩენებს. მისი განაკვეთი განისაზღვრება არა უმეტეს 3 ლარისა ერთ სულ მოსახლეზე, ხოლო იურიდიულ პირებზე, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე – არა უმეტეს 25 ლარისა ერთ კუბ-მეტრ ნარჩენზე.

მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება სხვადასხვა ფაქტორით, კერძოდ: მოსაკრებლის ოდენობა შეიძლება დიფერენცირებული იყოს ნარჩენების წარმომშობი პირის მიერ, დაგროვებული ნარჩენების წონის, მოცულობის ან/და მისი ნორმისა და სახეობის მიხედვით, აგრეთვე შემოსავლის, ქონების, დაკავებული ფართობის, დასაქმებული პერსონალის რაოდენობის, საქონლის (მომსახურების) მომხმარებელთა რაოდენობის, მიღებული სხვა საბინაო-კომუნალური მომსახურების მოცულობის (ღირებულების) და ა.შ. მიხედვით. ამდენად, კონკრეტული განაკვეთის დადგენა ადგილობრივი თვითმმართველობის პრეროგატივაა. მისი ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მომსახურების ორგანიზებისა და ადმინისტრირების ხარჯებს. ანუ, ამ

მოსაკრებლის ამოსაღებად გაწეული ხარჯები არ უნდა აჭარბებდეს მის ამოღებაზე გაწეული თანხების ოდენობას.

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის პროგნოზირებისათვის, აუცილებელია შემდეგი მონაცემები:

- საკრებულოს მიერ დადგენილი განაკვეთები ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების/ორგანიზაციების რაოდენობა;
- დადგენილი კონკრეტული კოეფიციენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის. მოსაკრებლის გადამხდელია ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის ზღვრული მაჩვენებლის შეცვლის მიზნით, მიიღო სპეციალური (ზონალური) შეთანხმება, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს კანონი "სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ". მოსაკრებლის ოდენობის გაანგარიშება ხორციელდება შემდეგი ფორმულით:

$F= L — (K_2^1 – K_2)*S$, სადაც:

F არის მოსაკრებლის ოდენობა;

L არის 1 კვ.მ. მიწის ნორმატიული ფასი;

K_2^1 არის მიწის ნაკვეთისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების საფუძველზე მისანიჭებელი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;

K_2 არის მიწის ნაკვეთისათვის დადგენილი განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი;

S არის სამშენებლო მიწის ნაკვეთის ფართობი.

მოსაკრებლის ოდენობა ნამატი სამშენებლო ფართობის ერთ კვადრატულ მეტრზე არ უნდა აღემატებოდეს 400 ლარს. თავად მოსაკრებლის გადახდა ხდება მშენებლობის ნებართვის გაცემისას.

გათანაბრებითი ტრანსფერის გამოთვლის წესი

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით, ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გადასაცემად გათვალისწინებულია **გათანაბრებითი ტრანსფერი,** რომელიც გადაეცემათ ფინანსურად სუსტ ადგილობრივ თვითმმართველობებს.

გათანაბრებითი ტრანსფერი არის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპეციალური ფორმულით გადაცემული სახსრები. მისი გამოყენების მიმართულებებს დამოუკიდებლად განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო.

გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშება ხდება ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისთვის. გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობის გამოანგარიშების ფორმულის გამოყენების მიზნით, პირველ ეტაპზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობა. აღნიშნული პარამეტრი არ უნდა იყოს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის საპროგნოზო მოცულობის 4%-ზე ნაკლები. მეორე ეტაპზე, გაიანგარიშება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამის მოცულობა თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის. შემდგომ ეტაპზე, გაიანგარიშება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა). იმ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს, რომლის ბიუჯეტის შემოსავლები (გრანტების გარდა) აღემატება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამს, გათანაბრებითი ტრანსფერი არ გამოეყოფა. მომდევნო ეტაპზე გამოიანგარიშება თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა, რომელიც მიიღება ქვემოთ მოცემული ფორმულის შესაბამისად:

T=E-R, სადაც:

T – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გამოსაყოფი გათანაბრებითი ტრანსფერია;

E – დგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ჯამია. იგი გაიანგარიშება სტატისტიკური მონაცემებისა (მოსახლეობის რაოდენობა, 6 წლამდე ბავშვების რაოდენობა, 6-დან 18 წლამდე მოზარდთა რაოდენობა, იმ მოსახლეობის რაოდენობა, რომლის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი (სარეიტინგო ქულა) ნაკლებია საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ფართობი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე) და გათანაბრებითი კოეფიციენტების საფუძველზე, თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების გამიჯვნით;

R – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსავლებია (გრანტების გარდა), რომელიც თითოეული ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტისათვის გაიანგარიშება მიმდინარე წლის პროგნოზისა და გასული 3 წლის ფაქტობრივი მაჩვენებლების ტენდენციის მიხედვით.

ბიუჯეტის გადასახდელების ფორმირება

ადგილობრივ თვითმმართველობას გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები, რომელთა შესაბამისადაც, იგი ვალდებულია ბიუჯეტიდან ხარჯოს ფინანსური სახსრები. ზოგადად, **ბიუჯეტის გადასახდელებია** საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების ერთობლიობა, რომელიც ერთიანდება შემდეგ კატეგორიებში:

- ხარჯები, მათ შორის:
  - შრომის ანაზღაურება;
  - საქონელი და მომსახურება;
  - სუბსიდიები;
  - პროცენტი;
  - გრანტები;
  - სოციალური უზრუნველყოფა;
  - სხვა ხარჯები;
- არაფინანსური აქტივები (არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები);

- ფინანსური აქტივები (ფინანსური აქტივებით ოპერაციებისათვის მიმართული სახსრები, ნაშთის დაგროვების გარდა);
- ვალდებულებები (ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვისათვის მიმართუ ლი სახსრები).

ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებები ისეთი უფლებამოსილებებია, რომელთა განხორციელებაზე ხარჯების გაწევა მათ შეუძლიათ ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად. თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებანი განსაზღვრულია თვითმმართველობის კოდექსით.

დელეგირებული უფლებამოსილება არის სახელმწიფო მმართველობის ორგანოს უფლებამოსილება, რომელიც კანონის თანახმად ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, განსახორციელებლად გადაეცემა თვითმმართველ ერთეულს. შესაბამისად, დელეგირებული უფლებამოსილებების დაფინანსება ხორციელდება ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით, ქვემოთ მოცემული წესების თანახმად:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ახალი საბიუჯეტო წლის წინა წლის ? 5 ოქტომბრამდე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს აცნობებს მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო პარამეტრებს. საქართველოს საკანონმდელო აქტების ან/და ხელშეკრულების საფუძველზე ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი პარამეტრების საფუძველზე ამზადებს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში დელეგირებული უფლებამოსილებების პროგრამებისა და ღონისძიებების დაფინანსების გაანგარიშებებს, მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობას და ბიუჯეტის პროექტთან ერთად წარუდგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს. საკრებულოში განხილვების შედეგად, თუ აღმოჩნდა, რომ დელეგირებული უფლებამოსილებების დასაფინასებლად საჭირო სახელმწიფოსა და თვითმმართველ ერთეულს შორის ხელშეკრულების დადება, პროექტს ამზადებს თვითმმარტველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო საკრებულოს თანხმობით. ფინანსტა სამინისტროს მიერ აღნიშნული პროექტის გათვალისწინებით ზუსტდაბა მბა სახელმწიფო ბიუჯეტში. დელეგირებული უფლებამოსილებების შესახებ დაფინანსებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება სახელმწიფოსა და თვითმმართველ ერთეულს შორის ფორმდება სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

როგორც წესი, ბოლო წლებში დელეგირებული უფლებამოსილებებია „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“, „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ”, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებების ღონისძიებების დაფინანსება.

საბიუჯეტო განაცხადის მომზადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიმდინარე წლის 15 ივლისამდე აცნობებს დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით, თვითმმართველობის საფინანსო ორგანო დაიანგარიშებს შემოსულობებისა და გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებლებს და იწყებს შესაბამის პროცედურებს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად. ამ მიზნით იგი საბიუჯეტო დაწესებულებებს (მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი და მისი ბიუჯეტიდან დაფინანსებული ა(ა)იპი-ები, რომლებიც ახორციელებენ საჯარო ფუნქციებს (სააღმზრდელო, კულტურული, ჯანდაცვი, სპორტის და სხვ. ორგანიზაციები), საკრებულოს აპარატს (რომელიც წარმოადგენს ცალკე საბიუჯეტო დაწესებულებას, რადგან არ შედის გამგეობის/მერიის სტრუქტურაში), აგრეთვე უზრუნველყოფს გამგეობის (ადგილობრივი სამსახურების - სტრუქტურული ერთეულების შესაბამისად) საბიუჯეტო განაცხადის მომზადებას. საბიუჯეტო განაცხადი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:

ა) გასული , მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის:
   ა.ა) პროგრამებისათვის/ქვეპროგრამებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების გაანგარიშებას საბიუჯეტო კლასიფიკაციის (გარდა პროგრამული კლასიფიკაციისა) ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით;
   ა.ბ) ასიგნებების გაანგარიშებას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;
   ა.გ) საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის საპროგნოზო დასაქმებულთა რიცხოვნობას;
   ა.დ) ინფორმაციას დონორების მიერ დაფინანსებული პროექტებისა და ამ პროექტების თანადაფინანსებისა და თანამონაწილეობისათვის გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ბ) დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმისშემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებულიასიგნებებიდან განსახორციელებელ პროგრამებს /ქვეპროგრამებს, მათ დაფინანსებას, აღწერას და მიზნებს;
გ) ინფორმაციას კაპიტალური პროექტების შესახებ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, არა უგვიანეს 5 ოქტომბრისა, აცნობებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით შესაბამისი ბიუჯეტისათვის გადასაცემი ფინანსური დახმარებისა (ტრანსფერები) და გადასახადებიდან (ქონების გადასახადი) მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის გამგებელი (მერი), არა უგვიანეს 15 ნოემბრისა, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს, თანდართულ მასალებთან ერთად, წარუდგენს წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარეს, რომელიც ბიუჯეტის პროექტს განსახილველად გადასცემს წარმომადგენლობით ორგანოს. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს, ბიუჯეტის პროექტთან ერთად, წარედგინება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტი.

- ბიუჯეტის პროექტი უნდა შეიცავდეს არანაკლებ შემდეგ ინფორმაციას:
- ა) ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით;
- ბ) ბიუჯეტის შემოსულობებს, ნაშთის ცვლილებას და თითოეული პროგრამისათვის /ქვეპროგრამისათვის გათვალისწინებულიასიგნებების მოცულობას საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემდეგი მუხლების მიხედვით:
- ბ.ა) ხარჯები, მათ შორის, შრომის ანაზღაურების მიზნით გამოყოფილი ასიგნებები;
- ბ.ბ) არაფინანსური აქტივების ზრდა;
- ბ.გ) ფინანსური აქტივების ზრდა;
- ბ.დ) ვალდებულებების კლება;
- გ) ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობას ხარჯების და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალურიკლასიფიკაციის მიხედვით;
- დ) ბიუჯეტის პროფიციტის ან დეფიციტის მოცულობას;
- ე) ბიუჯეტის ასიგნებების მოცულობას პროგრამული კლასიფიკაციის მიხედვით;
- ვ) სარეზერვო ფონდის მოცულობას;
- ზ) დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი კრედიტებითა და გრანტებით დაფინანსებულ პროექტებს;
- თ) პრიორიტეტებს, რომელთა ფარგლებშიც საბიუჯეტო ორგანიზაციები ბიუჯეტის დაფინანსებით ახორციელებენ პროგრამებს/ქვეპროგრამებს, მათ აღწერას და მიზნებს.

აუცილებელია ბიუჯეტის პროექტს დაერთოს შემდეგი მასალები: ბიუჯეტის პროექტის განმარტებითი ბარათი; მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მოკლე მიმოხილვა.

პროგრამული ბიუჯეტირების პრინციპები და წესები

პროგრამული ბიუჯეტის მთავარი კომპონენტია პროგრამა, რომელიც თავის მხრივ შეიძლება ჩაიშალოს ქვეპროგრამებად და/ან ღონისძიებებად.

პროგრამა:

წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების მიზნების მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც დაჯგუფებულია მსგავსი შინაარსის მიხედვით და ხორციელდება გრძელვადიან პერიოდში, ერთი საბოლოო შედეგის მისაღწევად.

პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ განსაზღვრულ რომელიმე პრიორიტეტს. თუმცა, ბიუჯეტში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს რამდენიმე პროგრამა, რომელიც არ ემსახურება კონკრეტულ პრიორიტეტულ მიმართულებას, რისი მაგალითიცაა დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული პროგრამები.

ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამისათვის აუცილებელია გამოყოფილი იყოს ასიგნებები და ჰქონდეს შესაბამისი პროგრამული კოდი. თუ ძირითადი ფუნქციისა და ადმინისტრირების ხარჯების გამიჯვნა ან გამოყოფა თითოეული პროგრამის მიხედვით შეუძლებელია, ადმინსიტრირების ხარჯებიც უნდა გაერთიანდეს რომელიმე ძირითად პროგრამასთან.

პროგრამები ხანგრძლივობის მიხედვით შეიძლება იყოს:

- **მიმდინარე (მუდმივი)** - მოიცავს ისეთ საკითხებს, რაც თვითმმართველობის კანონმდებლობით განსაზღვრული ძირითადი ფუნქციაა და მუდმივად ხორციელდება
- **მრავალწლიანი** - ემსახურება რომელიმე პრობლემის გადაწყვეტას, ახალი პოლიტიკის შემუშავებას, ახალი სისტემის ან მომსახურების დანერგვას.
- **ერთწლიანი (მოკლევადიანი)** - იშვიათ, სპეციფიკურ შემთხვევაში, როდესაც პროგრამის საბოლოო მიზნის მიღწევა შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში. მოკლევადიანი პროგრამის დასრულების შედეგად შედეგი რომელიც საბოლოო და თავის მხრივ არ წარმოადგენს სხვა პროცესის შემადგენელ ნაწილს.

შინაარსობრივად პროგრამები შეიძლება იყოს:

მართვის და რეგულირების - რაც მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, ან/და დაკავშირებულია შესაბამის სფეროში ზოგადი პოლიტიკის შემუშავებასთან.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მართვისა და რეგულირების ტიპის პროგრამას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელ ორგანოების დაფინანსება და აღნიშნული პროგრამის აღწერა სავალდებულო არ არის, ვინაიდან მასში უმეტეს შემთხვევებში ერთიანდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფუნქციონირების ხარჯები, სარეზერვო ფონდი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა, ასევე მსგავსი შინაარსის სხვა ღონისძიებები. მიუხედავად ამისა, სასურველია დანართში წარმოდგენილი იყოს ინფორმაცია, ვის მიმართ არსებული ვალდებულებების მომსახურებისა და დაფარვისთვისაა გათვალისწინებული თანხები, რა ღონისძიებების დასაფინანსებლად იქნა აღებული სესხი, რომლის ფარგლებშიც წარმოქმნილია ვალდებულებები და სხვა;

მომსახურების მიწოდების პროგრამები - ორიენტირებულია კონკრეტულ, გრძელვადიან შედეგებზე და ემსახურება მუდმივ მიზანს, მომსახურებას უწევს ბენეფიციარს და არ ახდენს სუბდირებას. მისი ქვეპროგამებისთვის მოკლევადიანი შედეგები განისაზღვრება კონკრეტული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით. ასეთ შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დაფინანსებით ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომელთა ბენეფიციარებიც პირდაპირ მოსახლეობა ან მათი მომსახურე არამომგებიანი დაწესებულებებია;

სუბსიდირების პროგრამები - მიზნად ისახავს სოციალური ფენის ან ობიექტების სუბსიდირებას ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მხრიდან დახმარების და თანამონაწილეობის სახით. სუბსიდირების პროგრამების ქვეპროგრამების შეფასების ინდიკატორები ასევე გამოისახება რაოდენობრივ მაჩვენებლებში, ხოლო პროგრამის საბოლოო შედეგი ხშირ შემთხვევაში იქნება მოსახლეობის

გარკვეული ფენის მდგომარეობის ან გარკვეული სფეროს მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების გამოხატულება, რომელიც ასევე შეფასდება სათანადო ინდიკატორებით;

ინფრასტრუქტურული პროგრამები - ძირითადად ემსახურება სხვადასხვა ინფრასტრუქტურის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას ან აღჭურვას. პროგრამის შუალედური შედეგი უმეტეს შემთხვევაში იქნება მსხვილი ობიექტის და ობიექტთა ჯგუფის გამართული ინფრასტრუქტურა, ხოლო საბოლოო შედეგი ის ეფექტი, რასაც აღნიშნული ინფრასტრუქტურა ემსახურება. მსგავსი პროგრამების შეფასების ინდიკატორების უმეტესობის გამოსახვა შესაძლებელია რაოდენობრივ მაჩვენებლებში

ქვეპროგრამა:

პროგრამები აუცილებელია დაიყოს ძირითად მიმართულებებად ანუ ქვეპროგრამებად, რომელიც იქნება კონკრეტული შედეგის მისაღებად აუცილებელი ღონისძიებების ერთობლიობა. ქვეპროგრამებიც შინაარსობრივად იყოფა იგივე ტიპებად, როგორც პროგრამები: ***მართვის და რეგულირების, მომსახურების მიწოდების, სუბსიდირების და ინფრასტრუქტურული.***

ქვეპროგრამა დაკავშირებულია შუალედურ შედეგებთან, მისი განხორციელების შემდეგ უნდა მიიღწეს კონკრეტული მდგომარეობა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს პროგრამის საბოლოო შედეგის მიღწევას. ქვეპროგრამა თავისი შინაარსით უნდა გაიწეროს დასაგეგმი წლის მასშტაბით. მისი შინაარსიდან და მოცულობიდან გამომდინარე უნდა ჰქონდეს კონკრეტული შედეგი, რისი მიღწევაც შესაძლებელია ერთი საანგარიშო წლის მანძილზე. ქვეპროგრამა შესაძლოა თავის მხრივ მოიცავდეს ღონისძიებებს.

ღონისძიება:

ცალკეულ ან რამდენიმე საქმიანობათა ერთობლიობაა, რომლის განხორციელება დაკავშირებულია მოკლევადიანი შედეგის მიღწევასთან. მაგ: ტენდერის გამოცხადება, ინვენტარის შეძენა, კონფერენციის ორგანიზება და ა.შ. ღონისძიებები და მათი დაფინანსება უმეტეს შემთხვევაში ვერ მოხვდება პროგრამული ბიუჯეტის კანონის ძირითად თავებში; მიუხედავად ამისა, აუცილებელია თითოეული პროგრამის და ქვეპროგრამის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების ზუსტი ჩამონათვალის და აღწერის განსაზღვრა ვინაიდან წარმატებულად განხორციელებული თითოეული ღონისძიების მოკლევადიან შედეგზეა დამოკიდებული მთლიანი პროგრამის შესრულების ხარისხი.

პროგრამის მიზანი:

დაკავშირებულია პრიორიტეტის საშუალოვადიან მიზანთან და ამასთან, ასაბუთებს რატომ არის ეს პროგრამა ეფექტიანი პრიორიტეტის საშუალოვადიანი მიზნის მისაღწევად. (მაგ: თუ პრიორიტეტია ინფრასტრუქტურის განვითარება საშუალოვადიან პერიოდში, საგზაო პროგრამის მიზანია ადგილობრივ თვითმმართველობაში საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია რაც ინფრასტრუქტურის განვითარების (პრიორიტეტის მიზნის) განხორციელების ერთ-ერთი ეფექტიანი საშუალებაა)

პროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამები, ღონისძიებები, რომელთა განხორციელება იგეგმება პროგრამის განხორციელების ეტაპზე, აგრეთვე, პირთა წრე, რომელიც წარმოადგენს პროგრამის ბენეფიციარს.

ქვეპროგრამის მიზანი:

დაკავშირებულია იმ პროგრამის წარმატებით განხორციელებასთან, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა, შესაბამისად პროგრამის ერთ-ერთი საბოლოო შედეგის დადგომასთან. (მაგ: საგზაო პროგრამის ფარგლებში შეიძლება განხორციელდეს გზების ორმოული შეკეთების ქვეპროგრამა. გზების ორმოული შეკეთება (რომელიც წარმოადგენს ქვეპროგრამის მიზანს) თავის მხრივ, ხელს უწყობს საგზაო პროგრამის ერთ-ერთი შედეგის მიღებას).

ქვეპროგრამის აღწერა:

ღონისძიებები, რომელთა განხორციელება იგეგმება ქვეპროგრამის განხორციელების ეტაპზე, აგრეთვე პირთა წრე, რომელიც წარმოადგენს ქვეპროგრამის ბენეფიციარს.

პროგრამული ბიუჯეტის, როგორც შედეგზე ორიენტირებული ბიუჯეტის ძირითადი მიზანი არის ის, თუ რამდენად კარგად არის წარმოდგენილი ის შედეგი, რისთვისაც ესა თუ ის პროგრამა ხორციელდება. პროგრამულ ბიუჯეტში გამოიყენება შუალედური და საბოლოო შედეგები.

პროგრამის საბოლოო შედეგი:

მდგომარეობა, რომელიც დაგეგმილი პროგრამის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს, საბოლოო შედეგი გულისხმობს პრობლემის სრულად აღმოფხვრას, ახალი წესის დანერგვას, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შესასაბამის სფეროში. საბოლოო შედეგის მიღწევა, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ მიიღწევა და მისი დადგომა ხშირ შემთხვევაში გულისხმობს პროგრამის მთლიანად ან არსებული ფორმით შეწყვეტას. საბოლოო შედეგი შინაარსით გლობალურია და ძირითადად პროგრამების შედეგს წარმოადგენს. ეს არის მდგომარეობა, რომელიც წინასწარ დაგეგმილი და გაანალიზებული პოლიტიკის განხორციელების შედეგად უნდა დადგეს. საბოლოო შედეგი გულისხმობს გარკვეული პრობლემის სრულად აღმოფხვრას, არსებითად ახალი მდგომარეობის დამყარებას, ახალი წესის დანერგვას, მნიშვნელოვან გაუმჯობესებას შესაბამის სფეროში, რომელიც გავლენას ახდენს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. საბოლოო შედეგის მიღწევა უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ მიიღწევა და მისი დადგომა ხშირ შემთხვევაში გულისხმობს, პროგრამის მთლიანად ან არსებული ფორმით არსებობის შეწყვეტას. თუმცა, ისეთი პროგრამებისთვის, რომლებიც თავისი შინაარსით მუდმივია და ემსახურება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ განსახორციელებელ ძირითად საქმიანობას, საბოლოო შედეგიც ზოგადი ხასიათისაა, მდგომარეობის სტაბილურად შენარჩუნებაზე ან გაუმჯობესებაზე მიმართული და დასახული შედეგის მიღწევა ამ შემთხვევაში ვერ იქნება პროგრამის დასრულების ნიშანი.

ქვეპროგრამის შუალედური შედეგი:

შუალედური შედეგი, საბოლოო შედეგისგან განსხვავებით თავისი შინაარსით წარმოადგენს პროგრამის ფარგლებში კონკრეტული ქვეპროგრამების/ღონისძიებების გატარების შედეგად მიღებულ პროდუქტს. ის ბევრად უფრო კონკრეტულია, ვიდრე საბოლოო შედეგი, უმეტეს შემთხვევაში გამოისახება კონკრეტული ციფრებით ან სხვა რაოდენობრივ გამოხატულებაში და წარმოადგენს არა პროგრამის დასრულების ნიშანს, არამედ მისი საბოლოო მიზნის მიღწევისკენ გადადგმულ ნაბიჯებს და თავის მხრივ, ზომავს ამ გზაზე მიღწეულ პროგრესს.

შესაბამისად, საბოლოო შედეგები უმეტესად განისაზღვრება პროგრამისთვის, ხოლო შუალედური შედეგები – მისი ქვეპროგრამებისთვის (ღონისძიებებისათვის). განსხვავებულია მათი შესრულების შეფასების ინდიკატორებიც. ქვეპროგრამების და ღონისძიებების შუალედური და მოკლევადიანი შედეგების მიღწევაზე პასუხისმგებელია საბიუჯეტო ორგანიზაცია ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფი. საბოლოო შედეგის მიღწევის ვადად განისაზღვრება პროგრამის მიმდინარეობის პერიოდი, ხოლო შუალედური შედეგის დადგომის ვადა, უმეტეს შემთხვევაში, ერთწლიანია (საბიუჯეტო წელზე მიბმული). შუალედური შედეგები, თავის მხრივ, შესაძლებელია საბოლოო შედეგის მიღწევისკენ პროგრესის მაჩვენებლად იქნეს გამოყენებული. თავად ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წლიურ ბიუჯეტში გაწერილი უნდა იყოს დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერა და მათი მიზნები, ხოლო შუალედური და საბოლოო შედეგების აღწერა იქნება პრიორიტეტების დოკუმენტში. პროგრამული ბიუჯეტის შედგენისას თვითმმართველობის მხრიდან დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს საბოლოო და შუალედური შედეგების სწორად ჩამოყალიბებას. შედეგი უნდა ასახავდეს იმ სამომავლო მდგომარეობას, რისთვისაც ხორციელდება პროგრამა და მისი ქვეპროგრამა. შედეგები ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნათლად და კონკრეტულად, ხოლო მისი მიღწევის გზები წარმოდგენილი უნდა იყოს პროგრამის (ქვეპროგრამის/ღონისძიების) აღწერაში.

შესრულების შეფასების ინდიკატორები

პროგრამების, ქვეპროგრამების და მათ ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების აღწერა წარმოადგენს შესრულების შეფასების ინდიკატორების შემუშავების ბაზას.

შესრულების ინდიკატორი წარმოადგენს მიღწეული შედეგების შეფასების საშუალებას, თუ რამდენად აღწევს პროგრამა დასახულ მიზნებს. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრისას აუცილებელია კარგად მოხდეს გააზრება, თუ რა განსხვავებაა პროგრამის საბოლოო შედეგსა და შუალედურ შედეგებს შორის.

საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები არ შეიძლება იყოს ერთჯერადი და მოკლევადიანი, შესრულების შეფასების პროცესი განგრძობითია და უნდა მიისწრაფოდეს ხარისხის მუდმივი კონტროლისაკენ.

შესრულების შეფასების ინდიკატორების ჭარბად გამოყენება ასევე არაეფექტურ შედეგს იძლევა, შესაბამისად, თითოეულ მოსალოდნელ შედეგზე წარმოდგენილი უნდა იყოს არა უმეტეს 5 ინდიკატორი.

გასათვალისწინებელია, რომ მართვის და რეგულირების ტიპის პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, რომლებიც წმინდა ადმინისტრაციული ხასიათისაა, შესრულების შეფასების ინდიკატორების წარმოდგენა აუცილებელი არ არის.

შედეგების შესრულების ინდიკატორი უნდა ზომავდეს მიზანს, რომელიც არის რეალისტური და მიღწევადი. შეფასების ინდიკატორების შემუშავებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ ისინი უნდა იყოს:

- **სასარგებლო** – პოლიტიკის განმახორციელებლებს უნდა აწვდიდეს შინაარსობრივ და ღირებულ ინფორმაციას;
- **შედეგზე ორინტირებული** – უნდა გამოხატავდეს დასახულ შედეგთან მიმართებას;
- **ნათელი და გაზომვადი** – იოლად აღქმადი და გასაგები ენით აღწერილი, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს მისი გაგება, გამოყენება და მათი მეშვეობით მიღწეული შედეგების შეფასება;
- **შესაბამისი და მიღწევადი** – ინდიკატორი უნდა იქნეს შერჩეული მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, ადეკვატურად უნდა ზომავდეს მას და უნდა იყოს რეალისტური, რათა არ მოხდეს მოსალოდნელი შედეგის ზედმეტად ოპტიმისტური ან პირიქით ზედმეტად პესიმისტური შეფასება;
- **შედარებითი** – უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას, მოხდეს მიღწეული შედეგების შეფასება დროის სხვადასხვა პერიოდში.

საბოლოო შედეგის ინდიკატორის სახეებია:

რაოდენობრივი	აღწერს მოსალოდნელ შედეგს რაოდენობრივ კატეგორიაში (დაფუძნდება 10 ახალი მცირე საწარმო თვითმმართველობაში)
ხარისხობრივი	აფასებს მიღებული შედეგის ხარისხს (თვითმმართველობის შიდა გზების ხარისხი გაუმჯობესდება „X“–ჯერ „X“ პროცენტით)
ხარჯზე მიბმული	აფასებს მიღებულ შედეგს გაწეულ ხარჯთან მიმართებაში (ყოველ დახარჯულ 1 ლარზე ფერმერი მიიღებს 10 ლარ შემოსავალს)
ეფექტიანობის	აფასებს მიღებული შედეგის მიზანშეწონილობას დახარჯულ რესურსთან მიმართებაში (გადამდებ დაავადებათა შემთხვევები იგივე დანახარჯის პირობებში შემცირდება 2–ჯერ)
ეფექტურობის	აფასებს მიღწეული შედეგის გავლენას მანამდე არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში (მაგალითისათვის, 10 ახალი მცირე საწარმოს დაფუძნება გავლენას ახდენს წარმოების გაზრდაზე 50%–ით).

შუალედური შედეგის ინდიკატორის სახეებია:

რაოდენობრივი	აღწერს განხორციელებულ ღონისძიებებს, სერვისებს რაოდენობრივ კატეგორიაში (ფერმერებს გადაეცათ 1000 ცალი მოტო ბლოკი)
ხარისხობრივი	აფასებს გაწეული სერვისის და საქმიანობის ხარისხს (საავტომობილო გზების ხარისხი გაუმჯობესდა „X“–ჯერ „X“ პროცენტით)
ხარჯზე მიბმული	აფასებს გაწეული სერვისის ხარჯს (100 ლარი თითოეულ ბენეფიციარზე)
ეფექტიანობის	აფასებს მიღებული პროდუქტის მიზანშეწონილობას დახარჯულ რესურსთან მიმართებაში (ვაქცინაცია იგივე დანახარჯის პირობებში გაიზრდება 2–ჯერ)

საბოლოო შედეგებს, შუალედურ შედეგებსა და ღონისძიებებს, შორის კავშირი მოცემულია ქვემოთ:

ღონისძიება:
- მსხვილფეხა პირუტყვის ვაქცინაციის გეგმის შედგენა
- თვითმმართველობის მოსახლეობის ტრანსპორტირება რაიონულ ამბულატორიაში
- ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის შესწავლაზე კვლევის კონტრაქტის გაფორმება
- შიდა გზებზე საგზაო უსაფრთხოების ფლაერების და ნიშნების დამზდება

შუალედური შედეგი	• მსხვილფეხა პირუტყვი აცრილია • მოსახლეობის სამედიცინო შემოწმება ხორციელდება • ადგილობრივი ტურისტული პოტენციალი შესწავლილია • საგზაო უსაფრთხოების კამპანია განხორციელებულია	შუალედური შედეგის ინდიკატორი	• **500 აცრილი მსხვილფეხა პირუტყვი** • **5000 მოსახლის სამედიცინო შემოწმება განხორციელდა** • **1 რაოდენობრივი და 1 ხარისხობრივი კვლევა** • **500 ფლაერი დარიგდა თვითმმართველობაში, 50 საგზაო ნიშანი განლაგდა სოფლის გზებზე**
საბოლოო შედეგი	• **მსხვილფეხა პირუტყვში გადამდებ დაავადებათა შემცირება** • **სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა** • **რაიონის ტურისტული პოტენციალის გაზრდა** • **ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირება**	**საბოლოო შედეგის ინდიკატორი**	• **გადამდებ დაავადებათა შემთხვევები შემცირებულია 30%-ით** • **სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაზრდილია 3 წლით** • **ტურისტების რაოდენობა გაზრდილია 2-ჯერ.** • **რეგისტრირებული ავტოსაგზაო შემთხვევები შემცირებულია 2-ჯერ**

პროგრამული ბიუჯეტის ფორმები

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში არსებული ყველა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ფუნქციები და უფლება-მოვალეობები თითქმის იდენტურია, მიზანშეწონილია მათი პრიორიტეტების და მათ ფარგლებში განსახორციელებელი ძირითადი პროგრამებიც იყოს იდენტური. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია ზოგიერთ თვითმმართველ ერთეულს ჰქონდეს განსხვავებული პროგრამებიც.

ა) პროგრამების ფინანსური ფორმა

პროგ-რამული კოდი	დასახელება	დასაგეგმი წელი	სახ. ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები	საკუთარი სახსრები	დასაგეგმი წელი +1	დასაგეგმი წელი +2	დასაგეგმი წელი +3
	პროგრამა 1						
	პროგრამა 2						
	პროგრამა 3						
სულ პრიორიტეტის დაფინანსება							

ბ) პროგრამის ფორმა

პრიორიტეტის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:
პროგრამის კლასიფიკაციის კოდი:
პროგრამის დასახელება:
პროგრამის განმახორციელებელი:
პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

	დასაგეგმი წელი	დასაგეგმი წელი +1	დასაგეგმი წელი +2	დასაგეგმი წელი +3
საკუთარი შემოსავლები				
ტრანსფერი სახ ბიუჯეტიდან				
სულ ბიუჯეტი:				

პროგრამის განხორციელების პერიოდი:
პროგრამის მიზანი:
პროგრამის განხორციელების ფინანსური გეგმა[2]

დასახელება	სულ	n	n+1	n+2	n+3
ქვეპროგრამა 1:					
ქვეპროგრამა 2:					
ქვეპროგრამა 3:					
ქვეპროგრამა 4:					
სულ პროგრამის ბიუჯეტი					

2 იმ შემთხვევაში თუ პროგრამით არ არის გათვალისწინებული ქვეპროგრამები, მიეთითება პროგრამით განსახორციელებელი ღონისძიებები

პროგრამის საბოლო შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (სამსახური)	მოგროვების მეთოდი
შედეგი 1	ინდიკატორი 1					
	ინდიკატორი 2					
	ინდიკატორი 3					
	ინდიკატორი 4					
შედეგი 2	ინდიკატორი 1					
	ინდიკატორი 2					
	ინდიკატორი 3					
	ინდიკატორი 4					
შედეგი 3	ინდიკატორი 1					
	ინდიკატორი 2					
	ინდიკატორი 3					
	ინდიკატორი 4					

გაზომვის ერთეული - გაზომვის ერთეული ასევე გულისხმობს იმას, თუ როგორ უნდა მოხდეს ცვლილების გაანგარიშება (მაგ. პროცენტებში თუ რაოდენობაში, ან ვალუტაში). მონაცემთა წყარო განსაზღვრავს, თუ სად არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია/მონაცემები თითოეული ინდიკატორისათვის. მონაცემთა წყარო შეიძლება იყოს ორგანიზაცია, უწყება ან დეპარტამენტი, რომლისგანაც ხდება მონაცემების მიღება.

სიხშირე - მონაცემთა მოგროვების სიხშირე და დრო დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ხშირად არის საჭირო მონაცემები მართვისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის. როგორც წესი, რუტინული მონაცმების შეკრება ხდება კვარტალურად, წელიწადში ორჯერ ან ყოველწლიურად. ცალკეულ შემთხვევებში, მაგალითად, პერიოდული ან ერთჯერადი კვლევების ჩატარების დროს, მონაცემთა შეკრება უფრო ნაკლები სიხშირითაც შეიძლება იყოს.

პასუხისმგებელი - მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ინდიკატორისათვის განისაზღვროს კონკრეტული სტრუქტურული ერთეული და თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მონაცემთა მოგროვებაზე, ანალიზსა და ანგარიშგებაზე.

მოგროვების მეთოდი - ზუსტად უნდა აღიწეროს, თუ როგორ მოხდება მონაცემთა შეკრება და რა ინსტრუმენტები და მეთოდები იქნება გამოყენებული მონაცემთა შეკრების დროს.

პროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები[3]

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
შედეგი 1	ინდიკატორი 1					
	ინდიკატორი 2					
	ინდიკატორი 3					
	ინდიკატორი 4					
შედეგი 2	ინდიკატორი 1					
	ინდიკატორი 2					
	ინდიკატორი 3					
	ინდიკატორი 4					

3 ივსება იმ შემთხვევაში თუ პროგრამა მოკლევადიანია და/ან არ აქვს ქვეპროგრამები

შედეგი 4	ინდიკატორი 1					
	ინდიკატორი 2					
	ინდიკატორი 3					
	ინდიკატორი 4					

გ) ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

პროგრამის დასახელება, რის ფარგლებშიც ხორციელდება ქვეპროგრამა:
ქვეპროგრამის კლასიფიკაციის კოდი:
ქვეპროგრამის დასახელება:
ქვეპროგრამის განმახორციელებელი:
ქვეპროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

	დასაგეგმი წელი
საკუთარი შემოსავლები	
ტრანსფერი სახ ბიუჯეტიდან	
სულ ბიუჯეტი:	

ქვეპროგრამის მიზანი:
ქვეპროგრამის აღწერა:

	დასახელება	პროდუქტები		
		რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
ღონისძიება 1:				
ღონისძიება 2:				
ღონისძიება 3:				
ღონისძიება 4:				
სულ ქვეპროგრამის ბიუჯეტი				

ქვეპროგრამის განხორციელების დროითი გეგმა

	1 კვარტალი	2 კვარტალი	3 კვარტალი	4 კვარტალი
ღონისძიება 1:				
ღონისძიება 2:				
ღონისძიება 3:				
ღონისძიება 4:				

მომავალი წლის მოსალოდნელი შედეგი
ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები

მოსალოდნელი შედეგი	შედეგის ინდიკატორები	გაზომვის ერთეული	მონაცემთა წყარო	სიხშირე	პასუხისმგებელი (საბიუჯეტო ორგანიზაცია)	მოგროვების მეთოდი
შედეგი 1	ინდიკატორი 1					
	ინდიკატორი 2					
	ინდიკატორი 3					
	ინდიკატორი 4					
შედეგი 2	ინდიკატორი 1					
	ინდიკატორი 2					
	ინდიკატორი 3					
	ინდიკატორი 4					
შედეგი 4	ინდიკატორი 1					
	ინდიკატორი 2					
	ინდიკატორი 3					
	ინდიკატორი 4					

5. ბიუჯეტის შესრულების კვარტალური განწერა და მიმდინარე წლის ასიგნებებში/ პროგრამებში ცვლილებები

ბიუჯეტის კვარტალური განწერა

ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ, ფისკალური წლის დაწყებისას ხდება ბიუჯეტის განწერა კვარტლების მიხედვით. ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამები და ღონისძიებები იყოფა ორ კატეგორიად: (1) რომელიც ფინანსდება საკუთარი სახსრებით და (2) რომელიც ფინანსდება მიზნობრივი დაფინანსების წყაროებით (ტრანსფერები). სასურველია, განწერის მომზადებისას გადასახდელების გამიჯვნა მოხდეს ზემოთ ხსენებულ კატეგორიებად და ცალ-ცალკე გაიწეროს კვარტლების მიხედვით შესაბამის ფინანსურ რესურსთან ერთად.

საგადასახადო შემოსავლების კვარტალური განაწილებისას თვითმმართველობა უნდა დაეყრდნოს გადასახადების გადახდისას საგადასახადო კოდექსით განსაღვრულ ვადებს, ასევე წინა წლებში შემოსავლების შემოდინების დინამიკას;

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები რესურსების განაწილება კვარტლების მიხედვით უნდა განხორციელდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან კონსულტაციების საფუძველზე. გათანაბრებითი ტრანსფერი წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის შემოსავლის ყველაზე სტაბილურ წყაროს, შესაბამისად მიზანშეწონილია მისი ისე განაწილება რომ უზრუნველყოფილი იყოს შრომის ანაზღაურების, აიპ-ების მუნიციპალიტეტის სხვა აუცილებელი მიმდინარე ხარჯების დაფინანსება.

მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში დასაფინანსებელი ღონისძიებები ძირითადად ერთი შინაარსისაა ყოველთვიურად და მიზანშეწონილია აღნიშნული ტრანსფერი კვარტლების მიხედვით გაიწეროს მთლიანი თანხის ¼-ის მიხედვით.

სპეციალური ტრანსფერის განწერა უნდა განხორციელდეს დაგეგმილი პროექტების სავარაუდო განხორციელების შესაბამისად.

გასული წლების მონაცემების ანალიზისა და არსებული ინფორმაციის საფუძველზე ხდება შემოსავლების სხვა კატეგორიიდან და არაფინანსური აქტივების პრივატიზაციიდან მისაღები შემოსულობების განაწილება.

გადასახდელების განაწილებისას პირველ რიგში იგეგმება აუცილებელი გასაცემლები, როგორებიცაა ხელფასები, სხვა უაცილებელი გადასახდელები, ვალის მომსახურებაზე და დაფარვაზე გასაცემი ხარჯები, რომლის გადახდის ვადაც განსაზღვრულია კონკრეტული დოკუმენტით.

მნიშვნელოვანი თემაა სახელმწიფო ბიუჯეტში არსებული ფონდებიდან, ასევე სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან, ასევე საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის ან მთავრობის გადაწყვეტილებების შესაბამისად მუნიციპალიტეტებისათვის გამოყოფილი სახსრების ასახვა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში და ბიუჯეტის განწერაში.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მიღებული სპეციალური ტრანსფერი დაუყოვნებლივ ასახოს საბიუჯეტო განწერაში და მოახდინოს მისი განკარგვა. ამასთან, აღმასრულებელი ორგანო ვალდებულია საკრებულოს აცნობოს ერთი თვის განმავლობაში, არაუგვიანეს წლის დასრულებისა მიღებული ფინანსური დახმარების შესახებ, ბიუჯეტში ასახვის მიზნით.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის განწერის, როგორც მიზნობრივი, ისე საკუთარი რესურსებით დაგეგმილი ნაწილი უნდა იყოს დაბალანსებული, რაშიც იგულისხმება შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების განსაზღვრა მიზნობრივი და საკუთარი კატეგორიებისათვის.

ცვლილებები კვარტალურ განწერაში და ბიუჯეტში

ერთი პრიორიტეტიდან სხვა პრიორიტეტზე ან პროგრამაზე ან ორგანიზაციაზე ასიგნებების გადანაწილება, შეიძლება მხოლოდ დამტკიცებულ წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანით.

ამასთან, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ის ფარგლებში.

შესაბამისი სამართლებრივი აქტისა და გამგეობის/მერიის შესაბამისი ორგანოს მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს ცვლილებები (ორგანიზაციული კოდის დამატება, საბიუჯეტო ორგანიზაციის, პროგრამის, პროექტის ან ღონისძიების დასახელების შეცვლა) ორგანიზაციულ კლასიფიკაციაში.

მიზანშეწონილია ბიუჯეტში და განწერაში ცვლილებები განხორციელდეს კვარტალური ანგარიშების შედგენის შემდეგ, მას შემდეგ რაც გაანალიზდება პროგრამების მიმდინარეობა და წარმოქმნილი დაბრკოლებები და გამოწვევები. ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან სხვა წყაროებიდან მიღებული, დაუგეგმავი მიზნობრივი დახმარება.

6. ბიუჯეტის ანგარიშგება- ბიუჯეტის შესრულების კვარტალური მიმოხილვა და წლიური ანგარიში

თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანო, ყოველი კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად, ამზადებს კვარტალურ ანგარიშებს ნაზარდი ჯამით, ხოლო წლის დამთავრებიდან ორი თვის ვადაში ამზადებს ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს. ანგარიში განხილვისთვის წარედგინება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოს (საკრებულოს).

შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას წლიური ბიუჯეტით დაგეგმილი შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ, სხვადასხვა პროგრამებისა და ღონისძიებების მიმდინარეობის შესახებ, მიღწეული პროგრესის, ჩატარებული სამუშაოების მოცულობის, ასევე პრიორიტეტების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების და მიღწეული შედეგების შესახებ.

კვარტალურ მიმოხილვებში და წლიურ ანგარიშში შესაბამისი პერიოდის ფაქტიური მაჩვენებლები შედარებულ უნდა იქნეს გეგმიურ მაჩვენებლებთან და განმარტებები იქნეს მომზადებული გეგმიურ და ფაქტიურ მაჩვენებლებს შორის მნიშვნელოვან შეუსაბამობაზე.

ანგარიში ასევე, უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბიუჯეტის სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდებიდან სახსრების გამოყოფის და ხარჯვის შესახებ.

ანგარიში ასევე, უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ბიუჯეტის ანგარიშზე წლის დასაწყისისათვის და პერიოდის ბოლოსთვის არსებული ნაშთების შესახებ.

2014 წლიდან, წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს ასევე, უნდა ახლდეს ინფორმაცია პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტების შესრულების შესახებ.

პროგრამული და კაპიტალური ბიუჯეტის ფორმა უნდა შეივსოს შემდეგი ფორმის მიხედვით.

ა) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების ფინანსური ანგარიშგების ფორმა:

პრიორიტეტის დასახელება	პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგნოზი	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან	საკასო შესრულება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან
		1				
		2				
		3				
		4				
		5				
		სულ პრიორიტეტზე მიმართული სახსრები				
პრიორიტეტის დასახელება	პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	მთლიანი პროგნოზი	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან	მთლიანი საკასო შესრულება	მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტიდან
		1				
		2				
		3				
		4				
		5				
		სულ პრიორიტეტზე მიმართული სახსრები				

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პროგრამის ფინანსური ანგარიშგების ფორმა:

პროგრამის დასახელება		
პროგრამის კოდი		
პროგრამით გათვალისწინებული ქვეპროგრამები და ღონისძიებები	პროგნოზი	ფაქტი
1 2 3 4 5		
სულ პროგრამის ბიუჯეტი	პროგნოზი	ფაქტი

პროგრამის ანგარიშის ფორმა

პროგრამის დასახელება				
პროგრამის კოდი				
პროგრამებით გათვალისწინებული ქვეპროგრამები და ღონისძიებები, მათი აღწერა, წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები				
პროგრამის საშუალოვადიანი შედეგები	დაგეგმილი მდგომარეობა		ფაქტობრივი მდგომარეობა	
პროგრამის შედეგის ინდიკატორები	დაგეგმილი 1. 2. 3. 4. 5.		ფაქტობრივი	
შედეგის სტატუსი:	მიღწეულია	არსებითად მიღწეულია	ნაწილობრივ მიღწეულია	მიუღწეველია
გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი თუ ქვეპროგრამის შუალედური შედეგები ნაწილობრივ მიღწეულია ან მიუღწეველია				

ქვეპროგრამის ანგარიშის ფორმა

პროგრამის დასახელება				
ქვეპროგრამისდასახელება				
ქვეპროგრამის კოდი				
ქვეპროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებები, მათი აღწერა, წარმატებები და წარმოქმნილი დაბრკოლებები				
ქვეპროგრამის შუალედური შედეგები	დაგეგმილი მდგომარეობა		ფაქტობრივი მდგომარეობა	
ქვეპროგრამის შუალედური შედეგის ინდიკატორები	დაგეგმილი 1. 2. 3. 4. 5.		ფაქტობრივი	
შუალედური შედეგის სტატუსი: ქვეპროგრამა	მიღწეულია	არსებითად მიღწეულია	ნაწილობრივ მიღწეულია	მიუღწეველია
გასატარებელი ღონისძიებების ჩამონათვალი თუ ქვეპროგრამის შუალედური შედეგები ნაწილობრივ მიღწეულია ან მიუღწეველია				

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის სახელმწიფო შესყიდვების სახელმძღვანელო

მომზადებულია Policy and Management Consulting Group PMCG-ის მიერ
2014

პრეამბულა

მოცემული სახელმძღვანელოს მიზანია ადგილობრივი თვითმართველობის რეფორმის ფარგლებში შექმნილი 14 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს დაეხმაროს სახელმწიფო შესყიდვების ეფექტიანად დაგეგმვასა და განხორციელებაში. კერძოდ, სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების შესაბამისი უწყებებისათვის ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკანონდმდებლო ჩარჩოსა და ელექტრონულ შესყიდვების შესახებ; ასევე, სახელმძღვანელო განიხილავს სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვისა და განხორციელებასთან დაკავშირებულ თითოეულ პროცესსა და პროცედურას.

სახელმძღვანელო შემუშავდა USAID პროგრამა დემოკრატიული მმართველობა საქართველოში G3-ის მხარდაჭერით, რომლის ერთ-ერთი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ რეფორმას.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მოქმედების სფერო

საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ადგენს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ზოგად სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებს. ამ კანონით დადგენილი წესები ვრცელდება ყველა სახის სახელმწიფო შესყიდვაზე, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების გარდა. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვების ობიექტების ნუსხას და შესყიდვების განხორციელების წესს შეიმუშავებს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

სახელმწიფო შესყიდვა - ეს არის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვა სახელმწიფოს კუთვნილი (ან მასთან გათანაბრებული) სახსრებით.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მოქმედება არ ვრცელდება შემდეგ სახელმწიფო შესყიდვებზე:

1. „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის განხორციელებასა და ნაღდი ფულით ქვეყნის ეკონომიკის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს მიერ დამტკიცებული ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯების ბიუჯეტიდან გამომდინარე შესყიდვები, გარდა არამატერიალურ აქტივებთან, ოქროს ზოდებთან, საკოლექციო ან/და სხვა საჭიროებისათვის განკუთვნილ ლარის ბანკნოტებსა და მონეტებთან, ასევე ლარის ბანკნოტებისა და მონეტების რეპროდუცირებასთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვებისა, რეგულირდება ამ კანონით;
2. იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახსრებით განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებზე, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით ითვლებიან რელიგიურ ორგანიზაციებად;
3. ელექტროენერგიის, გარანტირებული სიმძლავრის, ბუნებრივი გაზისა და წყალმომარაგების სახელმწიფო შესყიდვებზე;
4. საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებისათვის, თავდაცვის ატაშესათვის, აგრეთვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებისათვის ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო შესყიდვაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხორციელდება ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩანაცვლება ახალი, გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებებში;
5. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საქართველოს პრემიერ-მინისტრის, საქართველოს მინისტრის, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ან/და ქ. თბილისის მერის შეხვედრებისა და ვიზიტების,

საქართველოს პარლამენტში დელეგაციების მიღებისა და საქართველოს პარლამენტის დელეგაციების საზღვარგარეთ ვიზიტების ორგანიზების უზრუნველსაყოფად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დელეგაციების მიღებისა და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაციების საზღვარგარეთ ვიზიტების ორგანიზების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და ქ. თბილისის მერიის სარეზერვო ფონდებიდან გამოყოფილი თანხებით განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვებზე;

6. საბიუჯეტო კლასიფიკაციის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებულ შტატგარეშე მომუშავეთა მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, აგრეთვე მივლინების დროს განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვაზე;
7. საექსპერტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, თუ აღნიშნული მომსახურების შესყიდვა ხორციელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 144-ე–147-ე მუხლების შესაბამისად;
8. უძრავი ქონების სახელმწიფო შესყიდვასთან, ასევე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიღებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე.
9. ვაუჩერის გამოყენებით განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის შესაბამისი მომსახურების/საქონლის დაფინანსებაზე, აგრეთვე ვაუჩერის განაღდებისა და განაღდებასთან დაკავშირებულ ოპერაციებზე;
10. შეხვედრების ჩასატარებლად შესაბამისი ფართობის დაქირავებასთან დაკავშირებულ სახელმწიფო შესყიდვებზე;
11. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ არარეზიდენტი პირისაგან ტელე-რადიოპროდუქციის (პროგრამის, გადაცემის, ფილმის, რეპორტაჟის, კულტურული ღონისძიების) ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურების, აგრეთვე სატელიტური თანამგზავრის საშუალებით ტელე-რადიოპროდუქციის (პროგრამის, გადაცემის, ფილმის, რეპორტაჟის, კულტურული ღონისძიების) გავრცელებასთან ან/და მის მიღებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვაზე;
12. სუვერენული საკრედიტო – სარეიტინგო მომსახურებისა და სახელმწიფო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული საკრედიტო – სარეიტინგო მომსახურების შესყიდვებზე, აგრეთვე აღნიშნული მომსახურების მიმწოდებლისათვის საკრედიტო – სარეიტინგო მომსახურების თანმდევი ხარჯების ანაზღაურებაზე;
13. „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლატარიის ორგანიზატორის ან აგენტის მიერ ლატარიის ბილეთის შენახვის, სარეალიზაციო ან/და ლატარიის ორგანიზატორის სარეკლამო საქონლის უსასყიდლო გავრცელებასთან დაკავშირებული მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;
14. „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლატარიის ორგანიზატორის მიერ აღნიშნულ საწარმოში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის მართვის უფლების მქონე პირისაგან მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;
15. „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლატარიის ორგანიზატორის მიერ ლატარიის ორგანიზებისათვის ან/და ჩატარებისათვის საჭირო ინფორმაციული და ტექნოლოგიური მხარდაჭერის სახელმწიფო შესყიდვაზე;
16. შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ სავაჭრო ობიექტებიდან რეალიზაციის მიზნით შეძენილი საქონლის სახელმწიფო შესყიდვაზე;
17. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შპს „საქართველოს ფოსტისაგან“ საფოსტო და საკურიერო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვაზე;
18. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს მსოფლიო ბანკის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიერ განსაზღვრული შესყიდვების პროცედურები, თუ ეს ორგანიზაციები არიან შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მონაწილენი. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ორგანიზაციები არ არიან შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მონაწილენი, მათი, აგრეთვე სხვა ორგანიზაციების შესყიდვების პროცედურები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მიზნებს წარმოადგენს:

1. სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა;
2. სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;
3. სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა;
4. სახელმწიფო შესყიდვების საჯაროობის უზრუნველყოფა;
5. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის შექმნა და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ჩამოყალიბება.

შემსყიდველი ორგანიზაცია

ზემო შენიშვნიდან გამომდინარე, აქ მოყვანილი ტექსტის ალტერნატიული ტექსტი იქნება:

ადგილობრივი თვითმმართველობების პრაქტიკაში ადგილობრივ შემსყიდველ ორგანიზაციებს წარმოადგენენ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესის შესაბამისად რეგისტრირებული ორგანიზაციები, რომლებიც ნებისმიერი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს შესყიდვას ახორციელებენ ადგილობრივი ბიუჯეტის ან ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებული სახსრებით. ეს ორგანიზაციები არიან:

ა) გამგეობა/ მერია, რომელიც ახორციელებს შესყიდვებს საკრებულოსა და მისი აპარატის, აგრეთვე გამგეობის სტრუქტურული ერთეულების საჭიროებებისათვის მუნიციპალური ბიუჯეტის სახსერებით; ქ. თბილისის შემთხვევაში შემსყიდველი ორ-

განიზაციება არიან ქ. თბილისის მერია, აგრეთვე რაიონის გამგებოები, რომლებიც შესყიდვებს ახორციელებენ ქ. თბილისის რაინების სტრუქტურული ერთეულების საჭიროებებისათვის;

ბ) მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა) იპი-ები (ქ. თბილისის შემთხვევაში აგრეთვე თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულისიპ-ები), რომლებიც საგანმანათლებლო, კულტურის, სოციალური მომსახურეობის და სხვა სფეროებში მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების შესაბამისად ახორციელებენ საჯარო საქმიანობას და ამ მიზნით იღებენ სახსრებს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან;

გ) მუნიციპალიტეტის მიერ ან არა ნაკლებ მისი 50%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოები (მიუხედავად მათი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმისა), რომლებიც მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებატა შესაბამისად ახორციელებენ საჯარო კომერციულ მომსახურეობებს და ამ მიზნით იღებენ სახსრებს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული საწარმო თავისი საქმიანობის სპეციფიკასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას ხელმძღვანელობს საქართველოს მთავრობის მიერ ამ საქონლის ან მომსახურების შესყიდვისათვის დადგენილი სპეციალური წესით, რომლის მოქმედების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 2 წელს. საქართველოს მთავრობის მიერ დასადგენ სპეციალურ წესს შეიმუშავებს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ან საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო შესაბამისი საწარმოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წინადადებათა საფუძველზე. საქართველოს მთავრობის მიერ სპეციალური წესის დაუდგენლობის შემთხვევაში შესყიდვა უნდა განხორციელდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად.

უფლებამოსილი ორგანო - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მოთხოვნათა დაცვისა და შესრულების უფლებამოსილების მქონე ორგანოა ამ კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (შემდგომ – სააგენტო), რომლის თავმჯდომარეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

სააგენტოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კანონი და მათ შესაბამისად შემუშავებული სააგენტოს დებულება.

სააგენტოს სტრუქტურასა და დებულებას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. სააგენტოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. სააგენტოს საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობა.

სააგენტო ფინანსდება:

- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრებით;
- შესყიდვებში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი საფასურით;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლით.

სააგენტოს ძირითადი ფუნქციებია:

- ამ კანონის მოქმედებისათვის საჭირო ნორმატიული აქტებისა და სტანდარტული სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება და გამოცემა, მათი საერთაშორისო ნორმებთან ჰარმონიზაცია;
- შემსყიდველი ორგანიზაციებიდან მიღებული ანგარიშების საფუძველზე შესყიდვების სფეროში ქვეყანაში არსებული მდგომარეობის სისტემატური შესწავლა, გაანალიზება და საქართველოს მთავრობისათვის წინადადებების წარდგენა შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად;
- სპეციალური სასწავლო პროგრამების, სასწავლო-მეთოდიკური მასალებისა და დოკუმენტაციის სტანდარტული ფორმების მომზადება, სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის, მასმედიის წარმომადგენლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის;
- შესყიდვების ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა, სრულყოფა და მასზე ზედამხედველობა;
- შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის საკონსულტაციო-სარეკომენდაციო მომსახურების გაწევა;
- თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებათა შესყიდვების სისტემაში დანერგვისათვის ხელის შეწყობა;
- შესყიდვების საჯაროობისათვის შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და სპეციალური სახელმძღვანელო ბიულეტენის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- შესყიდვების დროს წარმოქმნილი დავის განხილვა;
- შესყიდვების პროცედურების კანონიერებაზე ზედამხედველობა და შესყიდვების პროცესის რეგულირების პოლიტიკის განსაზღვრა;
- შავი სიის წარმოება;
- თეთრი სიის წარმოება;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში, შემსყიდველის წერილობითი მომართვის საფუძველზე ან საკუთარი გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოახდინოს შესყიდვის ობიექტის იდენტიფიცირება ან/და კლასიფიკატორში ინტეგრირება;
- სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის ფაქტების გამოვლენა და შესაბამისი რეაგირება.

კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო შესყიდვების სისტემის ცენტრალური ორგანოა. ის შეიმუშავებს და წარადგენს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს და სატენდერო დოკუმენტაციის სტანდარტებს ავითარებს და ახორციელებს ტენდერების პროცესის და გაერთიანებული შესყიდვების მონაცემთა ბაზის მონიტორინგს, ასევე კონსულტაციებს უწევს შემსყიდველ დაწესებულებებს; ინახავს და აახლებს იმ კომპანიების შავ სიას, რომლებსაც ეკრძალებათ სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობის მიღება.

სააგენტო თვალყურს ადევნებს ელექტრონული ტენდერის პროცესის გამართულ მუშაობას, ასევე სააგენტოს მეშვეობით დავების განხილვის საბჭო განიხილავს დაინტერესებული მხარეების საჩივრებს (იხილეთ დავების საბჭო). კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო საჯარო სამართლის დამოუკიდებელი იურიდიული პირია და ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე.

კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

არსებობს მთელი რიგი სამართლებრივი აქტებისა, რომლებიც არეგულირებენ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ საკითხებს. მათ შორის, ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს კანონი **„**სახელმწიფო შესყიდვების შესახებ**“**, რომელიც ადგენს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების ზოგად სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებს.

აღნიშნული კანონის საფუძველზე მიღებულია სხვა კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტები, მათ შორის:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის N7 ბრძანებით დამტკიცებული **„შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესი“,** რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტების იდენტიფიკაცია, კლასიფიკაცია და შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნების დადგენა CPV (Common Procurement Vocabulary) კლასიფიკატორის გამოყენებით;
2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული **„შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“,** რომლის მიზანია სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის ამსახველი დოკუმენტების ანგარიშგების შესახებ უზრუნველყოფა;
3. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული **„**გამარტივებული შესყიდვის**,** გამარტივებული ელეტრონული ტენდერის და ელეტრონული ტენდერის ჩატარების წესი**“,** რომელიც განსაზღვრავს ელექტრონული ტენდერის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, წესსა და პირობებს. ასევე, აღნიშნულის მიზანია მოახდინოს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საქმიანობის რეგლამენტაცია, კოორდინაცია და მონიტორინგი;
4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით დამტკიცებული **„კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესი“**, რომელიც განსაზღვრავს კონკურსის ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, წესსა და პირობებს;
5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N24 ბრძანებით დამტკიცებული **„ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“,** რომელიც განსაზღვრავს ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების სამართლებრივ საფუძვლებს, წესსა და პირობებს;
6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 30 ნოემბრის N11 ბრძანებით დამტკიცებული **„სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესი“,** რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესსა და სამართლებრივ საფუძვლებს;
7. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 23 ივნისის N15 ბრძანებით დამტკიცებული **„სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის და საკონკურსო** განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გამოქვეყნების საფასურის ოდენობებისა და გადახდის წესი**“** და ა.შ.

გარდა ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტებისა, არსებობს რიგი სამართლებრივი აქტებიც, რომლებშიც განისაზღვრება დამატებითი მოთხოვნები ან/და დაკონკრეტებულია სხვადასხვა მონაცემები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში.

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის იზოლირებულად განხილვა არ იქნება სწორი, ის უნდა განიხილოს საქართველოში მოქმედი ერთიან საკანონმდებლო სირცეში. ამდენად, სხვადასხვა აქტებს შორის არსებობს ურთიერთკავშირი და შესაბამისად, ისინი ავსებენ ერთმანეთს.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას შემდეგი სამმართლებრივი აქტები:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები. კერძოდ, დადგენილია საქმიანობის ის სფეროები, რომლებსაც ეხებათ ინტერესთა კონფლიქტი. ასევე, დროის ის პერიოდი, თუ როდის უნდა მოხდეს ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ხელწერილის დადება. რა შემთხვევებში დგება ინტერესთა კონფლიქტი? როგორ უნდა მოხდეს ამის დადგენა? ასეთ დროს, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით მე-19 მუხლით. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს იმ ურთიერთობებს, თუ რა შემთხვევებში არსებობს ინტერესთა კონფლიქტი შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამის პირსა და მომწოდებელს/პრეტენდენტს შორის. კერძოდ: ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თუ პრეტენდენტი ან მიმწოდებელი არის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემსყიდველი ორგანიზაცია, ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლის დებულებების გავრცელების შემთხვევები განისაზღვრება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით, სახელმწიფო შესყიდვების თავისებურებათა გათვალისწინებით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მჭიდროდ აკავშირებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსს, არის - წარმომადგენლობითი ხარჯები. კერძოდ, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს იმ შემთხვევაში, თუ ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა. თუმცა, შესყიდვის თუ რომელი სახეობები მიეკუთვნება წარმომადგენლობით ხარჯებს, როგორც ამას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი განმარტავს, მათ განსაზღვრავს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 33-ე პუნქტი.

ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც მჭიდროდ აკავშირებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონსა და საქართველოს საგადასახადო კოდექსს ეს არის - დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ). დღგ - ეს არის საქონლის/მომსახურების წარმოებისა და განაწილების ყველა სტადიაზე დამატებული (ახლად შექმნილი) ღირებულების ნაწილის ბიუჯეტში ამოღების ფორმა. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ის ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან დღგ-ს გადამხდელები, მათთვის შეძენილ საქონელზე, მომსახურებაზე და სამუშაოებზე დღგ-ს ცალკე არ გამოყოფენ და დღგ შედის მათ ღირებულებაში, ხოლო დღგ-ს გადამხდელი ორგანიზაციებისათვის - პირიქით, ხდება დღგ-ს გამოყოფა და ის არ შედის მათ ღირებულებაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტენდერის გამოცხადებისას მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა შემსყიდველი ორგანიზაცია არის თუ არ არის დღგ-ს გადამხდელი, ასევე საქმიანობის რომელ ნაწილში და რომელი დაფინანსების წყაროს მეშვეობით ხდება ტენდერის გამოცხადება, რადგან აღნიშნულის მიხედვით დგინება მიზაშეწონილობა - ტენდერი გამოცხადდეს დღგ-ს გათვალისწინებით თუ მის გარეშე.

თვალსაჩინოებისათვის უმჯობესი იქნება განვიხილოთ რამდენიმე ვარიანიტი:

ვარიანტი **1**

შემსყიდველი ორგანიზაცია არ არის დღგ-ს გადამხდელი		
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	120 000,00	დღგ-ს გათვალისწინებით
	კომპანია A	კომპანია B
	დღგ-ს გადამხდელი	დღგ-ს არგადამხდელი
პირველად შეთავაზება	120 000,00	110 000,00
I რაუნდი	100 000,00	98 000,00
II რაუნდი	87 000,00	85 000,00
III რაუნდი	80 000,00	79 000,00
მინიმალური შეთავაზება		79 000,00
ხელშეკრულების ღირებულება		79 000,00

ვარიანტი **2**

შემსყიდველი ორგანიზაცია არ არის დღგ-ს გადამხდელი		
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	120 000,00	დღგ-ს გარეშე
	კომპანია A	კომპანია B
	დღგ-ს გადამხდელი	დღგ-ს არგადამხდელი
პირველად შეთავაზება	120 000,00	110 000,00
I რაუნდი	100 000,00	98 000,00
II რაუნდი	87 000,00	85 000,00
III რაუნდი	78 500,00	79 000,00
მინიმალური შეთავაზება	78 500,00	
ხელშეკრულების ღირებულება (+18%)	92 630,00	

იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ტენდერს გამოაცხადებს დღგ-ს გარეშე, მაშინ ხელშეკრულების დადებისას, მან უნდა დაამატოს დღგ-ს თანხა და შესაბამისად, თანხების გადინება უფრო მეტი იქნება, ვინაიდან, ის ვერ განახორციელებს დღგ-ს ჩათვლას.

თუ შემსყიდველი წარმოადგენს დღგ-ს გადამხდელს, მაშინ უპრიანი იქნება თუ ის ტენდერს გამოაცხადებს დღგ-ს გარეშე. კერძოდ:

ვარიანტი **3**

შემსყიდველი ორგანიზაცია დღგ-ს გადამხდელია		
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	120 000,00	დღგ-ს გათვალისწინებით
	კომპანია A	კომპანია B
	დღგ-ს გადამხდელი	დღგ-ს არგადამხდელი
პირველად შეთავაზება	120 000,00	110 000,00
I რაუნდი	100 000,00	98 000,00
II რაუნდი	87 000,00	85 000,00
III რაუნდი	80 000,00	79 000,00
მინიმალური შეთავაზება		79 000,00
ხელშეკრულების ღირებულება (+18%)		79 000,00

ვარიანტი 4

შემსყიდველი ორგანიზაცია დღგ-ს გადამხდელია		
შესყიდვის სავარაუდო ღირებულება	120 000,00	დღგ-ს გარეშე
	კომპანია A	კომპანია B
	დღგ-ს გადამხდელი	დღგ-ს არგადამხდელი
პირველად შეთავაზება	120 000,00	110 000,00
I რაუნდი	100 000,00	98 000,00
II რაუნდი	87 000,00	85 000,00
III რაუნდი	78 500,00	79 000,00
მინიმალური შეთავაზება	78 500,00	
ხელშეკრულების ღირებულება (+18%)	92 630,00	

მართალია მე-4 ვარიანტში ხელშეკრულების დადებისას ხდება დღგ-ს თანხის დამატება და შესაბამისად, უფრო მეტი თანხის გადინება ხდება. თუმცა, შედეგად დღგ-ს სახით გადახდილი თანხის ჩათვლა ხდება, ანუ არ იკარგება დღგ-ს სახით გადახდილი თანხა. შესაბამისად, აღნიშნული არ შეიძლება იქნას განხილული როგორც ზედმეტად გადახდილი თანხა.

2. მივლინების დროს განსახორციელებელი შესყიდვები

ხშირია შემთხვევები, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვების განხორციელება ხორციელდება მივლინების დროს. თუმცა, თუ რომელი სახის შეს-

ყიდვა შეიძლება ჩაითვალოს მივლინებასთან დაკავშირებულ ხარჯად, ამას განსაზღვრავს „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება და „დაქირავებულთათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანება. მაგალითად: ვიზასთან დაკავშირებული ხარჯები წარმოადგენს მივლინებასთან დაკავშირებულ ხარჯს. ამდენად, შემსყიდველი ორგანიზაციის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, მივლინების შემთხვევაში, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უნდა იხელმძღვანელოს ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტებიდან ერთ-ერთით.

3. საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია

ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამართლებრივ აქტს, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო შესყიდვებთან, კერძოდ - სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვასთან, წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია. აღნიშნული სამართლებრივი აქტის შესაბამისად, არსებობს კლასიფიკაციის ხუთი სახე. თუმცა, სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვისას გამოიყენება მხოლოდ ორი მათგანი. კერძოდ:

1. ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაცია - წარმოადგენს ბიუჯეტის ხარჯების ფინანსური ოპერაციების დაჯგუფებას ეკონომიკური შინაარსის მიხედვით;
2. არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაცია - არაფინანსური აქტივების შეძენისა და გასვლის ოპერაციების და არაფინანსური აქტივების დაჯგუფებას სახეების მიხედვით.

რატომ გვჭირდება საბიუჯეტო კლასიფიკაცია სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვისას? როგორც წესი, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ბიუჯეტის პროექტის შედგენა და შემდეგ, ბიუჯეტის დამტკიცება ხდება ზემოაღნიშნული კლასიფიკაციების შესაბამისად. ამასთან, როგორც მოითხოვს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა უნდა შეესაბამებოდეს ბიუჯეტის პროექტს. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი პირის მიერ არ იქნება გათვიცნობიერებული თუ რა სახის გადასახდელებს მოიცავს ზემოაღნიშნული კლასიფიკაციებით გათვალისწინებული მუხლები, მისთვის შეუძლებელი იქნება იმ მოთხოვნის შესრულება, რომელიც დადგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით.

4. საბიუჯეტო კოდექსი

შემდგომი სამართლებრივი აქტი, რომელიც ასევე დაკავშირებულია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან, ეს არის საბიუჯეტო კოდექსი. კერძოდ, საბიუჯეტო კოდექსის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, „თუ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანა იწვევს დაზუსტებული ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების გადანაწილებას, საბიუჯეტო ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანამდე უნდა განახორციელოს შესაბამის პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება ამ მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.“

მაგალითად:

შემსყიდველი ორგანიზაციის ბიუჯეტს აქვს შემდეგი სახე:

საქონელი და მომსახურება - 100 000 ლარი;

არაფინანსური აქტივები - 50 000 ლარი (კომპიუტერული ტექნიკა).

დავუშვათ, რომ წლის განმავლობაში დადგინდა, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საჭიროა არა 50 000 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა, არამედ 60 000 ლარის. ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველმა ორგანიზაციამ პირველ რიგში უნდა მოახდინოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება, კერძოდ: „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან გადმოიტანოს 10 000 ლარი „არაფინანსური აქტივების“ მუხლში და მხოლოდ ამის შემდეგ, შემსყიდველი ორგანიზაცია შეძლებს სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში ცვლილებების შეტანას.

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა და ანგარიშგება

გეგმა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

თანამედროვე სამყაროში ადამიანი ნებისმიერი ტიპის საქმიანობას წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად ახორციელებს. დაგეგმვის პროცესი ეს არის ნებისმიერი საქმიანობის აუცილებელი კომპონენტი, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნება სწორი და მართლზომიერი ღონისძიებების გატარება.

შემსყიდველი ორგანიზაცია სახელმწიფო შესყიდვებს ახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის (შემდგომში - „გეგმა“) შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების პროცესი შესაძლებელია პირობითად დაიყოს 4 ეტეპად:

განვიხილოთ სახელმწიფო შესყიდვების I ეტაპი - დაგეგმვა. გეგმის მიხედვით შესაძლებელია მიღებულ იქნეს ინფორმაცია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესაბამის წელს დაგეგმილი ღონისძიებებისა და დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მათი სავარაუდო ღირებულებების შესახებ.

გეგმის შემუშავება ხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დაგეგმილი ღონისძიებებისა და წინა წლების გამოცდილების საფუძველზე. გეგმის მომზადებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების აუცილებლობა, შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება, მსგავსი შესყიდვების განხორციელებლობის გამოცდილება, ბაზრის კვლევის შედეგები, შესყიდვის ობიექტი, რომლის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით შესყიდვაზეც თანახმაა შემსყიდველი ორგანიზაცია, შესყიდვის საშუალების შერჩევის საფუძველი, შესყიდვის პროცედურების სავარაუდო ვადები, მისაწოდებელი საქონლის რაოდენობა, შესასრულებელი სამუშაოს ან გასაწევი მომსახურების მოცულობა, არსებული მარაგების გათვალისწინებით, შესყიდვის ობიექტების სავარაუდო ღირებულება, შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, გრძელვადიანი ხელშეკრულებებით ან წინა წელს დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფინანსური ვალდებულებები მიმდინარე წლისათვის, დასადები ხელშეკრულების შესრულების სავარაუდო ვადები. ასევე, შესყიდვასთან დაკავშირებული სხვა გარემოებები.

მაგალითად: თუ შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებას დღგ-ს გარეშე, გეგმაში აუცილებლად უნდა იყოს გათვლისწინებული აღნიშნული შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში გადასახდელი დღგ, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა მიმწოდებელი ორგანიზაცია დღგ-ს გადამხდელი.

გეგმის შედგენისას, შესყიდვის საშუალების განსაზღვრის მიზნით დაჯამებულ უნდა იქნეს მხოლოდ ერთი დაფინანსების წყაროს ფარგლებში დაგეგმილი ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები, გარდა გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც შესყიდვის ობიექტების სავარაუდო ღირებულებები არ ჯამდება. (იხ. „გამონაკლისი შემთხვევა“).

მაგალითად: თუ დაგეგმილია კარტრიჯების შესყიდვა სავარაუდო ღირებულებით 150 000.00 ლარი, ხოლო საკანცელარიო საქონელი სავარაუდო ღირებულებით 60 000.00 ლარი, ვინაიდან ეს ორი შესყიდვის ობიექტი ერთიანდება ერთ CPV კოდში (CPV – 301 00000), მათი სავარაუდო ღირებულებები უნდა დაჯამდეს და ისე განისაზღვროს შესყიდვის საშუალება; ამ შემთხვევაში, ვინაიდან ჯამური სავარაუდო ღირებულება შეადგენს 210000 ლარს, შესყიდვის საშუალებად უნდა განისაზღვროს ელექტრონული ტენდერი, მიუხედავად იმისა, ერთად განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვა, თუ მოხდება მათი დაყოფა და ჩატარდება ცალ-ცალკე სატენდერო პროცედურები.

გამონაკლისი შემთხვევა:

შესყიდვის საშუალების განსაზღვრისას ქვემოთ მოცემული პუნქტების შესაბამისად დაგეგმილი შესყიდვის სავარაუდო ღირებულებები არ ჯამდება შესაბამისი შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სავარაუდო ღირებულებასთან.

1. საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად.
2. შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსახორციელებელი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება თავდაპირველად შესყიდული ობიექტის ღირებულებას;
3. აქტით;
4. ხორციელდება ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის, ასევე შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრული ელექტროდანადგარის ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კომპიუტერული ტექნიკით ან/და ელექტროდანადგარით ჩანაცვლება; ასეთ შემთხვევაში ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის ან/და ელექტროდანადგარის ღირებულების ნაწილი ანაზღაურდება ჩასანაცვლებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის ან/და ელექტროდანადგარის მიმწოდებლისათვის დაბრუნებით ან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის გადაცემით, რომელიც ახდენს მსგავსი პროდუქციის (საქონლის) რეალიზაციას;
5. ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა;
6. სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით;
7. ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წლოვანების ან/და პირობების მქონე გარანტიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალების სახელმწიფო შესყიდვა;
8. სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების ფონდი ახორციელებენ სახელმწიფო შესყიდვას რეგენტთა საბჭოს თანხმობით. ასეთ შემთხვევაში, რეგენტთა საბჭოს თანხმობა გაიცემა შემსყიდველი ორგანიზაციის მოტივირებული მიმართვის საფუძველზე.

9. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად ხორციელდება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვა.

მაგალითად: თუ ერთი დაფინანსების წყაროს ფარგლებში დაგეგმილია ტელევიზორების შესყიდვა სულ სავარაუდო ღირებულებით 7000 ლარი, აქედან 3000 ლარის ტელევიზორების სახელმწიფო შესყიდვა საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტის შესაბამისად უნდა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დანარჩენი 4000 ლარს არ უნდა დაუჯამდეს აღნიშნული 3000 ლარი და მისი შესყიდვის საშუალებადაც შესაძლებელია განისაზღვროს გამარტივებული შესყიდვა.

შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს განახორციელოს მრავალწლიანი შესყიდვები, ანუ ეს არის შემთხვევა, როდესაც შესყიდვის ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია რომ ორი ან მეტი წლის განმავლობაში, შესყიდვის ობიექტის მიწოდება განახორციელოს ერთიდაიმავე მიმწოდებელმა. მრავალწლიანი შესყიდვა ასახული უნდა იქნეს შესაბამისი წლის გეგმაში. შესყიდვა არ განიხილება მრავალწლიან შესყიდვად, თუ იგი ხორციელდება მხოლოდ მიმდინარე საბიუჯეტო წლის განმავლობაში გათვალისწინებული ასიგნებებით, ხოლო მიწოდება ხდება მომდევნო საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესაძლოა წარმოიქმნას გარკვეული ტიპის პრობლემები, რომელიც წინასწარ შესაძლოა არ იყოს გათვალისწინებული. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

მაგალითად: შემსყიდველ ორგანიზაციას აქვს ორი დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი და საკუთარი შემოსავლები. ამასთან, არსებული მდგომარეობით ფინანსური რესურსი ორგანიზაციას აქვს სახელმწიფო ბიუჯეტში, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით მხოლოდ მუხლში - „არაფინანსურ აქტივები“, ხოლო საკუთარ შემოსავლებში კი მუხლში - „საქონელი და მომსახურება“ და მუხლში - „არაფინანსურ აქტივები“, შესაბამისად მსგავსი ტიპის შეზღუდვა არ გვაქვს. სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილია მაცივრების შესყიდვა, რომლის ერთეულის სავარაუდო ღირებულებაა 600 ლარი. რაზედაც შემსყიდველმა ორგანიზაციამ ჩაატარა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ხოლო ტენდერის დასრულების შედეგ, ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული ერთეულის ფასი შეადგენს - 490.00 ლარს, რომელიც საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად არ წარმოადგენს არაფინანსურ აქტივს. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვა ვერ განხორციელდება. *ამავე დროს, საკუთარი სახსრების ფარგლებში მაცივრების* ერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 4500 ლარს და შესყიდვის საშუალებად განსაზღვრულია გამარტივებული შესყიდვა. სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვას, რომ შეეცვალოს დაფინანსების წყარო და აღნიშნული შესყიდვა აისახოს საკუთარ შემოსავლებში, დაირღვევა მონეტარული ზღვრები, ვინაიდან საკუთარ შემოსავლებში განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვა, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და ერთ გეგმაში ასახვის შემთხვევაში უნდა განხორციელებულიყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, წინააღმდეგ შემთხვევეში აღნიშნული წარმოადგებს მონეტარული ზღვრების დარღვევას. აღნიშნული მაგალითის საფუძველზე, ეს პრობლემები უნდა შეფასდეს შესყიდვის განხორციელებამდე, მისი თავიდან აცილების მიზნით.

შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო (საფინანსო) წლის განმავლობაში ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვა განიხილება ერთ შესყიდვად, თუ ისინი ფინანსდება ერთი წყაროდან, გარდა ქვემოთ მოყვანილი შემთხვევებისა. დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა შესყიდვის საშუალებების იმ მონეტარული ზღვრებისათვის თავის არიდების მიზნით, რომლებიც დადგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით.

სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა გულისხმობს შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის რაოდენობის ან მოცულობის შემცირებას ან/და დაყოფას, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაციისთვის წინასწარ ცნობილია, რომ იმავე საბიუჯეტო წლის განმავლობაში აუცილებელი გახდება იმავე, ან მისი ერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტის დამატებით შესყიდვა და დამატებითი შესყიდვისთვის სახსრები წინასწარვეა გათვალისწინებული იმავე საბიუჯეტო წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში. სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფად არ განიხილება შემდეგი შემთხვევები:

- შესყიდვის ცალ-ცალკე პროცედურებით განხორციელება გამოწვეულია გეოგრაფიული ფაქტორით ან/და გამართლებულია სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით;
- შესყიდვის ცალ-ცალკე პროცედურებით განხორციელება გამოწვეულია ობიექტური პირობებით, რომლებსაც შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ ვერ გაითვალისწინებდა.

სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის რეგისტრაციის ვადები

შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი მომდევნო წლის გეგმას ამტკიცებს დადგენილი წესით და არეგისტრირებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არაუგვიანეს მიმდინარე წლის 20 ნოემბრისა, დაფინანსების წყაროს მიუხედავად.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ შესაბამისი ნორმატიული აქტის ამოქმედებამდე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის და მათ მათ დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსრებით სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელი პირების გეგმა უნდა შეესაბამებოდეს გეგმის რეგისტრაციის მომენტისათვის შესაბამის წარმომადგენლობით ორგანოში წარდგენილ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების ამოქმედების შემდგომ აუცილებელი გახდება რეგისტრირებული გეგმების ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაში მოყვანა, შემსყიდველმა ორგანიზაციებმა უნდა განახორციელონ გეგმაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა ნორმატიული აქტების გამოქვეყნებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

ბიუჯეტის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადაზე გვიან დამტკიცების შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ზემოაღნიშნული სახსრებით სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად.

იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია იქმნება (ფუძნდება) ან იღებს დამატებით დაფინანსების წყაროს სახელმწიფო გარანტიით მიღებული საკრედიტო და საინვესტიციო სახსრებიდან, უცხო ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისაგან

საერთაშორისო ხელშეკრულებების საფუძველზე, აგრეთვე სხვა სახელმწიფოს რეზიდენტი პირებისაგან გრანტისა და კრედიტის სახით მიღებული სახსრებიდან, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმას არეგისტრირებს ePLAN-ში შექმნის (დაფუძნების) ან დამატებითი დაფინანსების წყაროს მიღების მომდევნო თვის არაუგვიანეს 20 რიცხვისა.

სახელმწიფო შესყიდვების ანგარიშგება

განვიხილოთ სახელმწიფო შესყიდვების IV ეტაპი - ანგარიშგება. გეგმის მიხედვით, შესაძლებელია მიღებულ იქნეს ინფორმაცია შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესაბამის წელს განხორციელებული ღონისძიებებისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მათ მიერ გადახდილი თანხებსა და მიმწოდებლების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ.

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ კონსოლიდირებული ტენდერის, გამარტივებული შესყიდვისა და კონკურსის მეშვეობით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესრულების შესახებ ინფორმაციის სააგენტოსთვის წარდგენის მიზნით შეიქმნა შესაბამისი მოდული - CMR და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ აღნიშნულ მოდულში ხელშეკრულების რეგისტრაცია ნიშნავს სააგენტოსთვის ანგარიშის წარდგენას.

შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ კონსოლიდირებული ტენდერის, გამარტივებული შესყიდვისა და კონკურსის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია განახორციელოს ხელშეკრულების CMR-ში რეგისტრაცია. CMR-ში ხელშეკრულების რეგისტრაცია ნიშნავს CMR-ში მოცემულ ველებში ხელშეკრულების შესაბამისი მონაცემების მითითებას.

CMR-ში მისათითებელი მონაცემებია:

- შესყიდვის ტიპი და საფუძველი;
- მიმწოდებლის საიდენტიფიკაციო კოდი და დასახელება;
- CPV კლასიფიკატორის კოდი;
- ერთწლიანი თუ მრავალწლიანია შესყიდვა;
- ხელშეკრულების ნომერი;
- ხელშეკრულების დადების თარიღი და მოქმედების ვადა
- ხელშეკრულების ჯამური ღირებულება;
- დაფინანსების წყარო
- ფაქტიურად გადახდილი თანხა (არსებობის შემთხვევაში);
- დამატებითი ინფორმაცია (აუცილებლობის შემთხვევაში);

აღნიშნული ინფრომაციების მითითების შემდეგ, შემსყიდველმა უნდა ატვირთოს ხელშეკრულების დასკანერებული ვერსია CMR-ში, რის შემდეგაც უნდა განახორციელოს აღნიშნული პროექტის რეგისტრაცია. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ აღნიშნულ ხელშეკრულებას ენიჭება შესაბამისი უნიკალური კოდი.

შემსყიდველი ორგანიზაცია ასევე, ვალდებულია გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ფაქტიურად გადახდილი თანხები მიუთითოს CMR-ში.

შემსყიდველი ორგანიზაციები, რომელთა გეგმის სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს ან აღემატება 50 000 ლარს, გაფორმებული ხელშეკრულებების რეგისტრაციას და ფაქტიურად გადახდილი თანხების შესახებ ინფრომაციის დამატებას ახორციელებს გაფორმების და გადახდის თარიღიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში, ხოლო შემსყიდველი ორგანიზაციები, რომელთა გეგმის სავარაუდო ჯამური ღირებულება ნაკლებია 50 000 ლარზე - არაუგვიანეს მომდევნო წლის 30 იანვრისა.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან/და ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სააგენტოსათვის ანგარიშის წარდგენის მიზნით შემსყიდველი ორგანიზაცია სისტემაში ატვირთავს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმებს, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან ან/და ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებულ დოკუმენტებს და ტენდერში მონაწილე ექსპერტებისა და კონსულტანტების (მათი არსებობის შემთხვევაში) დასკვნებს. სისტემაში აღნიშნული დოკუმენტების ატვირთვა ხდება სატენდერო კომისიის შესაბამისი სხდომის ოქმთან ერთად მისი ხელმოწერისთანავე.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან/და ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების სააგენტოსთვის წარდგენად ითვლება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ერთიან ელექტრონულ სისტემაში ტენდერის შესაბამის ველში ხელშეკრულების ატვირთვა და ინფორმაციის მითითება, როგორიცაა:

- ხელშეკრულების ნომერი;
- გაფორმების თარიღი;
- ხელშეკრულების ჯამური ღირებულება.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან/და ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გაფორმებული ხელშეკრულებების სააგენტოსთვის წარდგენა, ანუ სისტემაში ატვირთვა უნდა განხორციელდეს მათი გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

ელექტრონული ტენდერი და გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

სატენდერო კომისიის და აპარატის შექმნა, მისი ფუნქციები, მოვალეობები

პირი.

გამგეობის/მერიის მიერ განსახორციელებელი შესყიდვების გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერს და ელექტრონულ ტენდერს ატარებს გამგეობის/მერიის სატენდერო კომისია, რომელსაც არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით ქმნის გამგებელი. სატენდერო კომისიის წევრებად, როგორც წესი, გამგეობის დებულების შესაბამისდ ინიშნებიან თავად გამგებელი/მერი, მისი მოადგილე, შესყიდვების სამსახურის და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელები. გამგებლის/მერის გადაწყვეტილებით სატენდერო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილი იქნენ გამგეობის/მერიის სხვა სტრუქტურულიი ერტეულების ხელმძღვანელებიც.

მუნიციპალიტეტის მიერ დაარსებული (მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი) იმ იურიდიული პირის (ა(ა)იპი, ან სამეწარმეო სუბიექტი, მიუხედავად მისი სამართლებრივ-ორგანიზაციული ფორმისა), რომლებიც საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებათა ფარგლებში ახორციელებენ სახელმწიფო შესყიდვებს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, სატენდერო კომისიას ქმნის და ხელმძღვანელობს ამ იურიდიული პირის წესდებით განსაზღვრული, იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (ხელმძღვანელი). ხელმძღვანელი ნიშნავს სატენდერო კომისიის დანარჩენ წევრებს, იმის გათვალისწინებით, რომ სატენდერო კომისია უნდა შედგებოდეს არა ნაკლე 3 წევრისაგან. სატენდერო კომისიის შემადგენლობა შესაძლოა განსაზღვროს იურიდიული პირის წესდებამ, რომელსაც ამტკიცებს საკრებულო.

სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კომისიაში ექსპერტებად და კონსულტანტებად, სათათბირო (არაკენჭისყრის) ხმის უფლებით შეიძლება მოწვეული იქნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები, როგორც ორგანიზაციაში მომუშავე, ასევე გარედან.

სატენდერო კომისიის საქმიანობის ტექნიკური და ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით, შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, ამ ორგანიზაციის თანამშრომელთაგან იქმნება სატენდერო კომისიის აპარატი, რომელსაც ხელმძღვანელობს სატენდერო კომისიის თავმჯდომარე.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში სატენდერო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. სატენდერო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებას. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია სატენდერო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

სატენდერო კომისია გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში ან ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილი წესით. კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა აისახოს სატენდერო კომისიის შესაბამისი სხდომის ოქმში. სატენდერო კომისიის სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები.

ყველა ის სხდომის ოქმი, რომელიც შეიქმნება «წინადადების მიღება დაწყებულია» ეტაპის შემდეგ, სატენდერო კომისიის დამსწრე წევრების მიერ ხელმოწერისთანავე ატვირთული უნდა იქნეს სისტემაში. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება მხოლოდ სატენდერო კომისიის ყველა დამსწრე წევრის მიერ ოქმზე ხელმოწერის შემდეგ. სისტემაში ატვირთული ოქმის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ სისტემაში უკვე ატვირთული ოქმის გაუქმებით და შეცვლილი/დამატებული ოქმის სისტემაში ატვირთვის გზით.

სატენდერო კომისიის პირველ სხდომაზე ხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა, მისი დამტკიცება და ა.შ. სატენდერო კომისიის სხდომის პირველი ოქმი უნდა შედგეს ტენდერის გამოცხადებამდე. როგორც ზემოთ არის აღნიშნული, მისის ატვირთვა არ არის სავალდებულო.

შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის ნებისმიერი მიმოწერა/შეტყობინების გაგზავნა ხდება სისტემის შესაბამისი მოდულის მეშვეობით და სისტემის გამოყენების გარეშე მიმოწერა/შეტყობინება სავალდებულო არ არის. მიმოწერა/შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან.

სატენდერო კომისიის ფუნქცია მოვალეობებია:

1. ტენდერის გამოცხადებამდე განიხილოს და დაამტკიცოს სატენდერო დოკუმენტაცია და სატენდერო განცხადება, რომლის შემდგომ სატენდერო აპარატი უფლებამოსილია გამოაცხადოს ტენდერი.
2. განახორციელოს პრეტენდენტთა შეფასება სატენდერო წინადადების ფასის, მათ მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაციისა და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიხედვით:
   - 2.1. სატენდერო კომისია მსჯელობს შეესაბამება თუ არა ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო განცხადებაში და სატენდერო დოკუმენტაციაში ასახულ მოთხოვნებს. ადგენს შესაბამისობას მოთხოვნილ მონაცემებზე;
   - 2.2. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს, მოქმედი კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად სატენდერო კომისიის პრეტენდენტს გამოავლენს გამარჯვებულად;
   - 2.3. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს, იღებს გადაწყვეტილებას, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების დაზუსტების შესახებ, თუ აღნიშნული არ გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას ან შეთავაზებული სატენდერო წინადადების ფასის გაზრდას.
   - 2.4. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია, დაზუსტების შემდეგაც არ შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებს, მოქმედი კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.
3. სატენდერო კომისია იღებს ტენდერის მიმდინარეობის შესახებ სტატუსების მინი-

ჭების გადაწყვეტილებას. სატენდერო კომისიის ყველა გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმებში.

4. სატენდერო კომისიას უფლება აქვს შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე შეწყვიტოს ტენდერი.

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების წესი და პირობები

ელექტრონული ვაჭრობის დასრულების შემდეგ, სატენდერო კომისია ვალდებულია ტენდერს მიანიჭოს შერჩევა/შეფასების სტატუსი და მოახდინოს შესაბამისი ოქმის ატვირთვა.

ელექტრონული ვაჭრობის დასრულების შემდეგ, სატენდერო კომისიის და მისი აპარატის წევრები, ასევე შესყიდვაში მონაწილე ნებისმიერი პირი ვალდებულნი არიან წერილობით დაადასტურონ მათ და პრეტენდენტებს შორის ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა და აღნიშნული დოკუმენტი ატვირთონ სისტემაში ასატვირთ ოქმთან ერთად. მას შემდეგ, რაც სახელმწიფო შესყიდვების საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის ცნობილი გახდება პრეტენდენტის ან მიმწოდებლის ვინაობა, იგი ვალდებულია წერილობით დაადასტუროს, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს. ხოლო თუ მას წარმოეშობა ინტერესთა კონფლიქტი, მან დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს აღნიშნულის თაობაზე და უნდა შეწყვიტოს მონაწილეობა ამ შესყიდვის განხორციელებაში.

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები ეხება სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემდეგ საქმიანობას:

1. საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების განხილვას, შერჩევას და შეფასებას;
2. კანონითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოლაპარაკების გამართვას;
3. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლსა და ზედამხედველობას;
4. მიმწოდებლის შერჩევას გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში.

ინტერესთა კონფლიქტი რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით. კერძოდ, ზემოაღნიშნული საქმიანობის განმახორციელებელ ფიზიკურ პირს ექნება ინტერესთა კონფლიქტი პრეტენდენტთან ან მიმწოდებელთან, თუ ისინი წარმოადგენენ ურთიერთდამოკიდებულ პირებს. ურთიერთდამოკიდებულ პირებად ითვლებიან ის პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე.

განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნება ურთიერთობები, რომელთა დროსაც:

1. პირები არიან ერთი საწარმოს დამფუძნებლები (მონაწილეები), თუ მათი ჯამური წილი არანაკლებ 20 პროცენტია;
2. ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ მონაწილეობს მეორე პირ საწარმოში, თუ ასეთი მონაწილეობის წილი არანაკლებ 20 პროცენტია;
3. პირი ახორციელებს საწარმოს კონტროლს;
4. ფიზიკური პირი თანამდებობრივად ექვემდებარება სხვა ფიზიკურ პირს;
5. ერთი პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მეორე პირს;
6. პირებს პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებს მესამე პირი;
7. პირები ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს;
8. პირები ნათესავები არიან;
9. პირები ამხანაგობის წევრები არიან.

ფიზიკური პირის ნათესავებად ითვლებიან:

1. ნათესავების პირველი შტო: მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა;
2. ნათესავების მეორე შტო: პირველი შტოს თითოეული ნათესავის მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა, გარდა იმ ფიზიკური პირისა, რომელიც უკვე მიეკუთვნა პირველ შტოს;
3. პირები, რომლებიც ხანგრძლივი მეურვეობის შედეგად ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, როგორც მშობლები და შვილები.
4. ნათესაობის განსაზღვრისას გერი დები (ძმები) გათანაბრებული არიან ღვიძლ დებთან (ძმებთან), ხოლო შვილად აყვანილები – ღვიძლ შვილებთან. ამასთანავე, სამეურვეო ურთიერთობები გათანაბრებულია საოჯახო ერთობასთან (რომლის დროსაც პირები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, როგორც მშობლები და შვილები), რომელიც, თავის მხრივ, უთანაბრდება ნათესაურ ურთიერთობას.

კონტროლი გულისხმობს: სამეთვალყურეო საბჭოს წევრობას, დირექტორობას და ამ თანამდებობებზე პირების დანიშვნის უფლებას; ხმის უფლების მქონე წილის ან აქციების 20 პროცენტის ფლობას.

ფიზიკური პირი ითვლება წილის არაპირდაპირ მფლობელად, თუ ამ წილს ფლობს მისი ნათესავი.

დაუშვებელია, პრეტენდენტმა ან მიმწოდებელმა სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების განმახორციელებელ პირზე პირდაპირ ან არაპირდაპირ მოახდინოს ზეგავლენა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

შესყიდვის ობიექტის სპეციფიკის განსზაღვრა

მოთხოვნებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს შესყიდვის ობიექტი და პრეტენდენტთა ტექნიკური და საკვალიფიკაციო მონაცემები, განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის.

მოთხოვნები შეიძლება დაწესებულ იქნეს პრეტენდენტთა პროფესიული კვალიფიკაციის, ფინანსური რესურსების, გამოცდილებისა და რეპუტაციის, ტექნიკური აღჭურვილობისა და სხვა საკითხების მიმართ.

მოთხოვნებს, რომლებსაც შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები, განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის. საკვალიფიკაციო მონაცემებისთვის წაყენებული მოთხოვნები უნდა იყოს სამართლიანი და არადისკრიმინაციული და ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას.

საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის მოთხოვნები შეიძლება დაწესებულ იქნეს პრეტენდენტთა მდგომარეობის/საქმიანობის სამართლებრივ მხარესთან დაკავშირებით (სარეგისტრაციო მონაცემები, უფლებრივი შეზღუდვები, სახელმწიფოს წინაშე არსებული ფინანსური და სხვა სახის ვალდებულებები და სხვ.). კონკრეტული შესყიდვის თავისებურებიდან გამომდინარე, სატენდერო დოკუმენტაცია შესაძლებელია არ შეიცავდეს პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის მოთხოვნას. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების

შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოთხოვნა უნდა იყოს დასაბუთებული, ხოლო მათი რაოდენობა – შესაძლოდ მინიმალური, კონკრეტული შესყიდვის თავისებურებათა გათვალისწინებით.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისას გამოყენებული ტექსტური მასალები, ტექნიკური სპეციფიკაციები, გეგმები, ნახაზები, ესკიზები და სხვა მასალები შეუსაბამოს საქართველოში და საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ სტანდარტებს, ტექნიკურ მაჩვენებლებს, ტერმინოლოგიას და პირობით აღნიშვნებს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიუთითოს შესაბამის გამოყენებულ სტანდარტზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში დაუშვებელია სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის მითითება. ასეთ შემთხვევებში შესყიდვის ობიექტის აღწერისას აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ტერმინები, როგორებიცაა „მსგავსი“, „ეკვივალენტური“ და სხვა.

დაუშვებელია შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში:

- მითითებულ იქნეს კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, პატენტი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არ არსებობს შესყიდვის ობიექტის ზუსტი აღწერის სხვა საშუალებები. ასეთ შემთხვევებში შესყიდვის ობიექტის აღწერისას აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ისეთი ტერმინები, როგორიცაა „მსგავსი”, „ეკვივალენტური” და სხვა;
- გამოყენებულ იქნეს ისეთი მახასიათებლები და ტერმინოლოგია, რომლებიც ორაზროვანია და უშვებს სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.

შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის ნიმუშის წარმოდგენის მოთხოვნით მიმართოს პრეტენდეტს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ვადაში. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი შესყიდვის ობიექტის ნიმუში დაზუსტებას არ ექვემდებარება. პრეტენდენტს შესყიდვის ობიექტის ნიმუში უბრუნდება გონივრულ ვადაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ნიმუში მალფუჭებადი ნივთია.

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით ტექნიკური და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა შესაძლებელია როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. დოკუმენტების უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე. დოკუმენტაციასთან დაკავშირებული სადავო საკითხების გადაწყვეტისას უცხოურენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს შემსყიდველი ორგანიზაცია.

სატენდერო დოკუმენტაციის, სატენდერო განცხადების შედგენა

სატენდერო დოკუმენტაცია – ეს არის შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტების საკავალიფიკაციო მოთხოვნების აღწერის მიზნით სატენდერო განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაცია.

სატენდერო კომისია ამტკიცებს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც უნდა შეიცავდეს:

- იმ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტი;
- შესასყიდი საქონლის რაოდენობას, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობას, საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულების ან მომსახურების გაწევის ვადას, ადგილსა და ფორმას;
- შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების სრულ აღწერას, მათ შორის, შესაბამის ტექნიკურ სპეციფიკაციებს, გეგმებს, ნახაზებსა და ესკიზებს;
- ხელშეკრულების იმ აუცილებელ პირობებს, რომლებიც შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წინასწარ არის ცნობილი, აგრეთვე მითითებას ხელშეკრულების ფორმაზე და ხელშეკრულების შესრულების გარანტიაზე (მისი არსებობის შემთხვევაში);
- მეთოდებს, რომლებითაც უნდა იყოს გაანგარიშებული სატენდერო წინადადების ღირებულება, იმის მითითებით, უნდა შეიცავდეს თუ არა იგი საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების ღირებულების გარდა სხვა ხარჯებსაც (ტრანსპორტირება, დაზღვევა, გადასახადები და სხვა);
- სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და განმარტებების მოთხოვნის საშუალებებსა და პროცედურას;
- სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობასა და საკონტაქტო ინფორმაციას, რომელსაც უფლება აქვს, გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ;
- მითითებას საკომუნიკაციო მომსახურების ალტერნატიული შესყიდვის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მითითებას შესყიდვის ობიექტის ნიმუშის წარმოდგენის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სატენდერო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ „ტენდერი გამოცხადებულია“ გათვალისწინებულ ეტაპზე სისტემაში ატვირთული სატენდერო დოკუმენტაციის გაუქმებით და შეცვლილი/დამატებული დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის გზით. დაუშვებელია ტენდერის ტიპისა და შესყიდვის ობიექტის ცვლილება.

სატენდერო განცხადება – შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სისტემაში განთავსებული განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ.

სატენდერო განცხადების შევსება და განთავსება ხდება სისტემის მეშვეობით. წინადადებების მიღების დაწყებისა და წინადადებების მიღების დასრულების ვადის ათვლა იწყება სატენდერო განცხადების სისტემაში განთავსებიდან მომდევნო სამუშაო დღიდან. ტენდერის გამოცხადებიდან ვადის ათვლა იწყება მეორე დღეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმწოდებელს ტენდერის განცხადების გასაცნობად და სატენდერო წინადადების წარსადგენად გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში აქვს მინიმუმ სრული 3 სამუშაო დღე (ერთი დღე განცხადების გასაცნობად, მინიმუმ 2 დღე წინადადების წარმოსადგენად), ხოლო ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში - მინიმუმ სრული 20 დღე (15 დღე განცხადების გასაცნობად, მინიმუმ 5 დღე წინადადების წარმოსადგენად).

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში სატენდერო განცხადების გაცნობის ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ ერთ დღეს სატენდერო განცხადების სისტემაში განთავსების მომენტიდან. ამ ვადის დასრულებიდან ორი დღის გან-

მავლობაში პრეტენდენტს შეუძლია სისტემის საშუალებით წარადგინოს წინადადება და ელექტრონული ვაჭრობის გზით შეცვალოს წარმოდგენილი წინადადების ფასი კლებადობის პრინციპითა და ფასის კლების ბიჯის გათვალისწინებით.

ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობის ვადა უნდა შეადგენდეს არანაკლებ თხუთმეტ დღეს, სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის სისტემაში განთავსების მომენტიდან. ამ ვადის დასრულებიდან ხუთი დღის განმავლობაში პრეტენდენტს შეუძლია სისტემის საშუალებით წარადგინოს წინადადება და ელექტრონული ვაჭრობის გზით შეცვალოს წარმოდგენილი წინადადების ფასი კლებადობის პრინციპითა და ფასის კლების ბიჯის გათვალისწინებით.

თუ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებების მიღების დასრულების ვადა ემთხვევა შაბათ-კვირას ან უქმე დღეს, სატენდერო წინადადებების მიღების ვადა დასრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

სატენდერო განცხადებაში უნდა მიეთითოს შემდეგი ინფორმაცია:

- ტენდერის ტიპი;
- სატენდერო განცხადების ნომერი;
- შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;
- ტენდერის გამოცხადების თარიღი ზუსტი დროის მითითებით;
- წინადადებების მიღების დაწყებისა და დასრულების თარიღი ზუსტი დროის მითითებით;
- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება;
- მითითება წინადადება წარმოდგენილ უნდა იქნეს დამატებული ღირებულების გადასახადის (შემდგომში – დღგ) გათვალისწინებით თუ მის გარეშე;
- კლასიფიკატორის დანაყოფი და მისი შესაბამისი CPV კოდი;
- შესყიდვის კონკრეტული შესაძლო ყველაზე დეტალური ობიექტი და მისი შესაბამისი CPV კოდი;
- შესყიდვის ობიექტის რაოდენობა ან მოცულობა;
- შესყიდვის ობიექტის მიწოდების ან შესრულების ვადა;
- წინადადებით წარმოდგენილი ფასის კლების ბიჯის ოდენობა;
- ელექტრონული გარანტიის ოდენობა;
- შემსყიდველი ორგანიზაციის იმ უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი და გვარი, რომელმაც განათავსა სატენდერო განცხადება სისტემაში, განთავსების თარიღი და ზუსტი დრო;
- ელექტრონული გარანტიის მოქმედების მინიმალური ვადა;
- მითითებას პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – შესასრულებელი სამუშაოს გონივრული საგარანტიო ვადა.

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო შესყიდვის წლიური გეგმით გათვალისწინებულ შესაბამის ერთგვაროვან შესყიდვის ობიექტთა ჯამურ ღირებულებას.

სატენდერო განცხადებაში ასევე უნდა მიეთითოს შემდეგი სახის ინფორმაცია:

- სატენდერო განცხადებაში შესაბამისი მითითების საფუძველზე, პრეტენდენტთა მიერ სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგება დღგ-ს გათვალისწინებით ან მის გარეშე.
- სატენდერო განცხადებაში შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება და ბიჯის ოდენობა შესაძლებელია მითითებულ იქნეს მხოლოდ ლარში. სატენდერო წინადადების ფასის კლების ბიჯი ეს არის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სატენდერო განცხადებაში მითითებული თანხა შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 0.4 პროცენტიდან 2 პროცენტამდე ოდენობით.

სატენდერო განცხადებას გააჩნია დამატებითი ინფორმაციის ველი, რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შესყიდვის ობიექტის დამატებითი აღწერის მიზნით.

ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას სატენდერო კომისია, შემსყიდველი ორგანიზაციის სახელით, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციას ქართულ ენაზე განათავსებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესაძლებელია განთავსდეს ინგლისურ ენაზედაც.

თუ შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო სამუშაოსი 4 000 000 ლარს, ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ინგლისურ ენაზე განთავსება სავალდებულოა.

ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია უნდა განთავსდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, რის შედეგადაც სატენდერო განცხადებას ენიჭება უნიკალური ნომერი და სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია ითვლება ოფიციალურად გამოქვეყნებულად. სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გამოქვეყნებისთვის შემსყიდველი ორგანიზაცია იხდის გამოქვეყნების საფასურს. საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამოიყენოს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის გავრცელების სხვა, დამატებითი საშუალებები.

ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მიმდინარეობის სტატუსები

ტენდერის მიმდინარეობის სტატუსი – ეს არის რეგისტრირებული მომხმარებლის ქმედების შედეგად სისტემის მეშვეობით ტენდერისთვის მინიჭებული სტატუსი, რომელიც ასახავს ტენდერის მიმდინარეობის კონკრეტულ ეტაპს;

1. ტენდერი გამოცხადებულია – სტატუსი, რომელიც მოიცავს სატენდერო განცხადების სისტემაში განთავსებიდან სატენდერო წინადადებების მიღების დაწყებამდე ტენდერის მიმდინარეობის ეტაპს. მხოლოდ აღნიშნულ ეტაპზე აქვს შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება შეიტანოს ცვლილება სატენდერო განცხადებაში (გარდა ტენდერის ტიპისა და შესყიდვის ობიექტისა) და შეცვალოს სატენდერო დოკუმენტაცია სისტემაში უკვე ატვირთული სატენდერო დოკუმენტაციის გაუქმებით და შეცვლილი/დამატებული დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის გზით;
2. წინადადებების მიღება დაწყებულია – სტატუსი, რომელიც მოიცავს ტენდერის მიმდინარეობის ეტაპს, რომლის დროსაც მიმწოდებელს უფლება აქვს წარადგი-

ნოს თავისი სატენდერო წინადადება და მიიღოს მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში.

3. წინადადებების მიღება დასრულებულია – სტატუსი, რომელიც მოიცავს ტენდერის მიმდინარეობის ეტაპს ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების დასრულებიდან ტენდერისთვის შერჩევა/შეფასების სტატუსის მინიჭებამდე.
4. შერჩევა/შეფასება – სტატუსი, რომელიც მოიცავს ტენდერის მიმდინარეობის ეტაპს, რომლის დროსაც ხდება ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასება და შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიის (შემდგომში – სატენდერო კომისია) სხდომის ოქმის და შესაბამისი დოკუმენტაციის (ასეთი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში) სისტემაში ატვირთვა, რაც უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ ოქმის დადგენილი წესით შედგენისთანავე, არა უგვიანეს იმავე დღისა.

მას შემდეგ, რაც სატენდერო კომისიის მიერ დადგენილ იქნება, რომ მიმწოდებლის მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებაში და სატენდერო დოკუმენტაციაში ასახულ მოთხოვნებს, სატენდერო კომისია ვალდებულია მოახდინოს სხდომის ოქმის და შესაბამისი დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ატვირთვა. შედეგად, ტენდერს მიენიჭება „გამარჯვებული გამოვლენილიას“ სტატუსი.

5. გამარჯვებული გამოვლენილია – სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ, მას შემდეგ, რაც სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი და შესაბამისი დოკუმენტაცია (ასეთი დოკუმენტაციის არსებობის შემთხვევაში) დადგენილი წესით აიტვირთება სისტემაში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებაში და სატენდერო დოკუმენტაციაში ასახულ მოთხოვნებს.
6. მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება - სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება მას შემდეგ, რაც სატენდერო კომისიის შესაბამისი სხდომის ოქმი, რომლითაც დასტურდება ყველაზე დაბალი სატენდერო წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების შესაბამისობა სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში ასახულ მოთხოვნებთან და მიმწოდებლის მიერ წესის მოთხოვნათა დაცვით წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები აიტვირთება სისტემაში.
7. ხელშეკრულება დადებულია – სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სისტემაში აიტვირთება დადგენილი წესით მიმწოდებელთან დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (შემდგომში – ხელშეკრულება) და სისტემის შესაბამის ველში მიეთითება აღნიშნული მიმწოდებლის სახელწოდება.
8. დასრულებულია უარყოფითი შედეგით – სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სისტემაში აიტვირთება სატენდერო კომისიის სხდომის შესაბამისი ოქმი და სხვა დოკუმენტაცია (ასეთის არებობის შემთხვევაში), რითაც დასტურდება, რომ ტენდერში მონაწილე ყველაზე დაბალი ფასის სატენდერო წინადადების მქონე ერთმა ან რამდენიმე პრეტენდენტმა მიიღო დისკვალიფიკაცია.
9. ტენდერი არ შედგა – სტატუსი, რომელიც ტენდერს სისტემის მეშვეობით ავტომატურად ენიჭება მას შემდეგ, რაც ტენდერმა მიიღო სტატუსი **„წინადადებების მიღება დაწყებულია“** და არც ერთმა მიმწოდებელმა არ მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ ტენდერში;
10. ტენდერი შეწყვეტილია – სტატუსი, რომელიც შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ტენდერს შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ატვირთავს სატენდერო კომისიის სხდომის შესაბამის ოქმს, რომელშიც მოცემული იქნება ტენდერის შეწყვეტის საფუძველი. აღნიშნული სტატუსის მინიჭება შესაძლებელია ტენდერის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ტენდერს უკვე მინიჭებული აქვს სტატუსი **„ხელშეკრულება დადებულია“.**

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის ნებისმიერი მიმოწერა/შეტყობინების გაგზავნა ხდება სისტემის შესაბამისი მოდულის მეშვეობით და სისტემის გამოყენების გარეშე მიმოწერა/შეტყობინება სავალდებულო არ არის. მიმოწერა/შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან.

საკვალიფიკაციო მონაცემები

მოთხოვნებს, რომლებსაც შესყიდვაში მონაწილეობის მისაღებად უნდა აკმაყოფილებდეს პრეტენდენტთა საკვალიფიკაციო მონაცემები, განსაზღვრავს შემსყიდველი ორგანიზაცია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის და ასახავს სატენდერო დოკუმეტაციაში. საკვალიფიკაციო მონაცემებისთვის წაყენებული მოთხოვნები უნდა იყოს სამართლიანი და არადისკრიმინაციული და ხელს უნდა უწყობდეს ჯანსაღი კონკურენციის დამკვიდრებას.

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნები შეიძლება დაწესებულ იქნეს პრეტენდენტთა მდგომარეობის/საქმიანობის სამართლებრივ მხარესთან დაკავშირებით (სარეგისტრაციო მონაცემები, უფლებრივი შეზღუდვები, არსებული ფინანსური და სხვა სახის ვალდებულებები და სხვ.). ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, კონკრეტული შესყიდვის თავისებურებიდან გამომდინარე, სატენდერო დოკუმენტაცია შესაძლებელია არ შეიცავდეს პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნას. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების მოთხოვნა ხდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში და უნდა იყოს დასაბუთებული სატენდერო დოკუმენტაციაში, ხოლო მათი რაოდენობა – შესაძლოდ მინიმალური, კონკრეტული შესყიდვის თავისებურებათა გათვალისწინებით. გათვალისწინებულ ეტაპზე, ხოლო საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება ხდება «გამარჯვებული გამოვლენილია» გათვალისწინებულ ეტაპზე.

იმ შემთხვევაში, თუ ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს, სატენდერო კომისია მიმართავს მას საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით, რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს ხუთი სამუშაო დღისა.

პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს:

- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – «ტენდერი გამოცხადებულია» სტატუსით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს «ტენდერი გამოცხადებულია» სტატუსით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა;
- ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – «წინადადებების მიღება დაწყებულია» სატატუსით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს «წინადადებების მიღება დაწყებულია» სტატუსით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა.

პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხდება სისტემის მეშვეობოთ, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მოსთხოვოს პრეტენდენტს დამატებით საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების დედნის წარმოდგენა ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის.

თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებელი თავისუფლდება გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში/ელექტრონულ ტენდერში საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებისაგან, იმის მიუხედავად, ითვალისწინებს თუ არა სატენდერო დოკუმენტაცია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნას.

ცვლილებებისა და დამატებების შეტანა სატენდერო განცხადებაში და სატენდერო დოკუმენტაციაში

შემსყიდველი ორგანიზაციის სატენდერო კომისიას უფლება აქვს, შეცვალოს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული ინფორმაცია, გარდა ტენდერის ტიპისა და შესყიდვის ობიექტის ცვლილებისა «ტენდერი გამოცხადებულია“ სტატუსით გათვალისწინებულ ეტაპზე. მხოლოდ აღნიშნულ ეტაპზე აქვს შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება შეიტანოს ცვლილება სატენდერო განცხადებაში (გარდა ტენდერის ტიპისა და შესყიდვის ობიექტისა) და შეცვალოს სატენდერო დოკუმენტაცია სისტემაში უკვე ატვირთული სატენდერო დოკუმენტაციის გაუქმებით და შეცვლილი/დამატებული დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის გზით.

კითხვა/პასუხის მოდული

ტენდერისთვის „ტენდერი გამოცხადებულია“ გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებიდან „წინადადებების მიღება დასრულებულია“ გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე არაუგვიანეს 24 საათისა, ნებისმიერ მიმწოდებელს უფლება აქვს სისტემის მოდულის – „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტება.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ტენდერისათვის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 საათისა შესაბამის ტენდერში წინადადებების მიღების დასრულებამდე, სისტემის მოდულის – „კითხვა/პასუხის“ მეშვეობით გააკეთოს შესაბამისი დაზუსტება/განმარტება, რითაც შესაძლებელია იხელმძღვანელოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა.

ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შესაბამისი დაზუსტება/განმარტების განხორციელების ვალდებულება შემსყიდველ ორგანიზაციას ეკისრება ასევე ტენდერისთვის «შერჩევა/შეფასება» გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებიდან «ხელშეკრულება დადებულია» გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაბამისი დაზუსტება/განმარტება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ უნდა განხორციელდეს გონივრულ ვადაში.

სისტემის გაუმართაობის განსაკუთრებული შემთხვევა

თუ სისტემაში არსებული ტექნიკური ხარვეზის გამო მიმწოდებელი ვერ ახორციელებს გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში ან/და ელექტრონულ ტენდერში ელექტრონული გარანტიის წარდგენას, საფასურის გადახდასა და სატენდერო წინადადების წარდგენას, სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამის გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში ან/და ელექტრონულ ტენდერში წინადადებების მიღების დასრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით. გადაწყვეტილების მიღება სააგენტოს შეუძლია მხოლოდ იმ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან ან/და ელექტრონულ ტენდერთან მიმართებით, რომელშიც წინადადებების მიღების დასრულების დრო ემთხვევა სისტემაში ტექნიკური ხარვეზის არსებობას. ასევე, უნდა განისაზღვროს ამ გადაწყვეტილების მიღებამდე გამართულ დამატებით რაუნდებთან და მინიჭებულ სტატუსებთან დაკავშირებული საკითხები. სააგენტოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება და ძალაშია მისი სისტემაში რეგისტრირებული ყველა მომხმარებლისთვის სისტემის მეშვეობით გაგზავნის მომენტიდან. სააგენტოს ასეთი გადაწყვეტილება დამატებით უნდა გამოქვეყნდეს საagენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge) სიახლეებისთვის განკუთვნილ ადგილას.

ხელშეკრულების გაფორმება ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენის შემდეგ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო დოკუმენტაცია არ შეიცავს პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის მოთხოვნას – სატენდერო წინადადების სატენდერო განცხადებასთან და სატენდერო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტს განუსაზღვრავს ვადას, რომელიც არ შეიძლება იყოს სამ სამუშაო დღეზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს ხუთ სამუშაო დღეს.

ამ პერიოდისათვის აღნიშნული ვადის გაგრძელება შესაძლებელია არა უმეტეს ხუთი სამუშაო დღით, მხოლოდ სატენდერო კომისიის დასაბუთებული ოქმის საფუძველზე, რომელშიც მითითებული იქნება ობიექტური მიზეზები, რომელთა გამოც ვერ მოხერხდა ხელშეკრულების დადება დადგენილ ვადაში.

ხელშეკრულება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სისტემაში უნდა აიტვირთოს მისი დადებიდან არა უგვიანეს 10 დღისა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვების წლიური გეგმის სავარაუდო ჯამური ღირებულება 50 000 ლარზე ნაკლებია, ხელშეკრულება სისტემაში უნდა აიტვირთოს არა უგვიანეს ყოველი მომდევნო წლის 30 იანვრისა.

შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს:

ა) გამგეობის/მერიის სახელით; ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულებას ხელს აწერს გამგებელი/მერი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი; ასეთ ხელშეკრულებას საკრებულოს თანხმობა სჭირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი ღირებულება აღემატება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5%-ს;

ბ) მუნიციპალიტეტის სახელით; ამ შემთხვევაში საჭიროა საკრებულოს თანხმობა; ხელშეკრულებას ხელს აწერს გამგებელი/მერი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი;

გ) მუნიციპალიტეტის მიერ დაარსებული (მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი) იმ იურიდიული პირის სახელით; ასეთ ხელშეკრულებას ხელს აწერს იურიდიული პირის წესდებით განსაზღვრული წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (ხელმძღვანელი); იურიდიული პირის წესდებით ან გამგეობის დებულებით შეიძლება განისაზღვროს, რომ ასეთი შესყიდვის განსახორციელებლად საჭირო იყოს გამგებლის/მერის თანხმობა;

მომსახურების შესყიდვა პრეისკურანტის გამოყენებით

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით შესაძლებელია გამოყენებული იქნას მომსახურების შესყიდვის განსაკუთრებული შემთხვევა - შესყიდვა პრეისკურანტის გამოყენებით.

ტენდერის მეშვეობით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, აგრეთვე საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს პრეისკურანტის საფუძველზე, შემდეგი ერთგვაროვნების მიხედვით:

- CPV 50100000 - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები;
- CPV 50200000 - თვითმფრინავების, რკინიგზის, საგზაო და საზღვაო მოწყობილობების შეკეთების, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები;
- CPV 50300000 - პერსონალური კომპიუტერების, საოფისე აპარატურის, სატელეკომუნიკაციო და აუდიო-ვიზუალური მოწყობილობების შეკეთების, ტექნიკური მომსახურება და მათთან დაკავშირებული მომსახურებები;
- CPV 50700000 - შენობის მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება;
- CPV 51700000 - ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობების მონტაჟი;
- CPV 55500000 - სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება;
- CPV 66500000 - სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები.

შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო განცხადების პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულების ველში უთითებს პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებას, ხოლო შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულების ველში – შესყიდვის ობიექტის სახელშეკრულებო ღირებულებას, რომელიც შესაძლოა განსხვავდებოდეს პრეისკურანტის ღირებულებისაგან.

პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით წარდგენილი წინადადების ფასი არ უნდა აღემატებოდეს პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებას და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად წინადადების ფასის კლება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებაში.

პრეისკურანტის საფუძველზე ტენდერის ჩატარებისას, შემსყიდველი ორგანიზაცია სატენდერო დოკუმენტაციაში თვითონ განსაზღვრავს პრეისკურანტში მოცემული მომსახურების ერთეულების ღირებულების დადგენის წესს გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით წარდგენილი წინადადების საბოლოო ფასთან მიმართებაში.

ხელშეკრულების დადების შემდეგ, პრეისკურანტში მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობისას, აღნიშნული ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს.

სატენდერო წინადადების წარდგენა

ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტს შეუძლია წარადგინოს წინადადება მას შემდეგ რაც ტენდერს მიენიჭება სტატუსი - „წინადედებების მიღება დაწყებულია“ და მანამდე სანამ ტენდერს მიენიჭება სტატუსი - „წინადადებების მიღება დასრულებულია“.

სატენდერო წინადადების წარდგენისათვის პრეტენდენტი სისტემაში დარეგისტრირებული უნდა იყოს მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ, ის ვალდებულია გაეცნოს აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით).

სატენდერო წინადადების წარდგენამდე ნებისმიერ რეგისტრირებულ მომხმარებელს უფლება აქვს გაეცნოს სატენდერო განცხადებას და სატენდერო დოკუმენტაციას. წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ, შესაბამისი თანმიმდევრობით.

ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია უნდა იქნეს წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%–ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.

ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების დროებითი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ყოველ კონკრეტულ ტენდერში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე პრეტენდენტს არ ექნება სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა. ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს. მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განახორციელებს, პრეტენდენტს უფლება აქვს სისტემის მეშვეობით წარადგინოს სატენდერო წინადადება.

სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან. ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

წინადადების წარდგენის დროს პრეტენდენტმა პირველ რიგში სისტემაში უნდა ატვირთოს ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც უნდა შეიცავდეს წარმოდგენილი შესყიდვის ობიექტის ტექნიკურ და ხარისხობრივ აღწერას. ამის შემდეგ, პრეტენდენტმა სისტემის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს წინადადების ფასი (ეროვნულ ვალუტაში), რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის ღირებულებას ან უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე სულ მცირე ერთი ბიჯით ნაკლები. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვისა და წინადადების ფასის მითითების შემდეგ, დაუშვებელია ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის შეცვლა, დამატება, გაუქმება ან წაშლა.

ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, ტენდერში მონაწილეს შესაძლებლობა აქვს მიუთითოთ სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე პრეტენდენტს უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

ძირითად დროში ტენდერში მონაწილეს უფლება აქვს ცვალოს შეთავაზებული ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით. ბიჯი - ეს არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასაწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო განცხადებით გათვალისწინებულია წინადადების ფასის დღგ-ის გარეშე წარდგენა, პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში შერჩევა-შეფასება ხორციელდება წარმოდგენილი წინადადების ფასების მიხედვით. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულების ღირებულებაში გაითვალისწინოს სატენდერო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისთვის პრეტენდენტი არის დღგ-ის გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში პირველ შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე მაღალი წინადადების ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში – ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე მაღალი წინადადების ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში პირველ შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ბოლომ დააფიქსირა ასეთი ფასი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის.

დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში - კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

ძირითად დროში სისტემა უზრუნველყოფს პრეტენდენტთა ვინაობის ანონიმურობას, აგრეთვე მათ მიერ მითითებული წინადადების ფასისა და ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაციის დაფარვას. პრეტენდენტის მიერ მითითებული წინადადების ფასი ხელმისაწვდომი ხდება დამატებითი რაუნდების დაწყებიდან.

დამატებითი რაუნდების დასრულების შემდგომ, პრეტენდენტების (არსებობის შემთხვევაში) ვინაობა და მათ მიერ ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია ხელმისაწვდომი ხდება სტუმრისა და რეგისტრირებული მომხმარებლისთვის.

მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

სატენდერო წინადადების შერჩევა/შეფასება

მას შემდეგ, რაც ტენდერს სისტემა მიანიჭებს სტატუსს - „წინადადებების მიღება დასრულებულია“, სატენდერო კომისია ვალდებულია განიხილოს ყველაზე დაბალი

ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინანდადება. სატენდერო წინადადების განხილვა გულისხმობს პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის ტექნიკური მონაცემების შედარებასა და შესაბამისობის დადგენას სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ მონაცემებთან.

თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.

თუ დაზუსტებას საჭიროებს ხარჯთაღრიცხვა ან ფასების ცხრილი, მაშინ სატენდერო კომისია ვალდებულია ზუსტად მიუთითოს პრეტენდენტს ხარჯთაღრიცხვის ან/და ფასების ცხრილის დასაზუსტებელი პოზიციის/ნაწილის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ სისტემაში მთლიანი ტექნიკური დოკუმენტაცია ატვირთულია ხარვეზის მქონე ფაილის სახით (რომელიც არ იკითხება), შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება არ აქვს, პრეტენდენტს მიმართოს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხარვეზიანია ტექნიკური დოუმენტაციის ისეთი ნაწილი, რომლის წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს. ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნამდე.

პრეტენდენტის მიერ დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაციის წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხდება სისტემის მეშვეობოთ. ხარჯთაღრიცხვის ან/და ფასების ცხრილის დაზუსტების მოთხოვნა ხდება ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნასთან ერთად. ასეთ შემთხვევაში, ხარჯთაღრიცხვის დაუზუსტებლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

იმ შემთხვევაში, თუ დაზუსტებას საჭიროებს მხოლოდ ხარჯთაღრიცხვა ან/და ფასების ცხრილი, დაზუსტების მოთხოვნა უნდა განხორციელდეს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნასთან ერთად. ასეთ შემთხვევაში, ხარჯთაღრიცხვის დაუზუსტებლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

იმ შემთხვევაში, როდესაც სატენდერო დოკუმენტაცია არ შეიცავდა პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენის მოთხოვნას, ხარჯთაღრიცხვის ან/და ფასების ცხრილის დაზუსტების მოთხოვნა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის წარმოდგენის მოთხოვნასთან (ასეთი მოთხოვნების არსებობისას) და ხელშეკრულების დასადებად მოწვევასთან ერთად. ასეთ შემთხვევაში, ხარჯთაღრიცხვის დაუზუსტებლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით, რისთვისაც განუსაზღვრავს კანონით გათვალისწინებულ ვადას - არაუმეტეს 5 სამუშაო დღეს.

პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს:

- გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – არა უადრეს ტენდერის გამოცხადებისა, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – ტენდერის გამოცხადებიდან არა უგვიანეს ოცდაათი დღისა;
- ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – მას შემდეგ რაც ტენდერს მიენიჭება სტატუსი - „წინადადებების მიღება დაწყებულია“, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში ტენდერისათვის სტატუსი - „წინადადებების მიღება დაწყებულია“, მინიჭების შემდეგ არა უგვიანეს ოცდაათი დღისა.

პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხდება სისტემის მეშვეობოთ. თუმცა, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს პრეტენდენტს მოსთხოვოს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარმოდგენა, ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის.

თუ ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას ან მის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია ვალდებულია მოახდინოს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად მნიშვნელოვნად აღემატება ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას, სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი.

იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაირა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.

სატენდერო კომისია უფლებამოსილია პრედენდენტის დისკვალიფიკაცია განახორციელოს შემდეგ შემთხვევებში:

- თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, ან/და დაზუსტებული სატენდერო დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;
- თუ პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;
- თუ საუკეთესო ფასის მქონე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ან/და საკვალიფიკაციო მონაცემები არ შეესაბამება (მათ შორის, ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების შემდეგ) სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს;
- თუ პრეტენდენტი დადგენილ ვადაში არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას;
- პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენისას;
- თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების გარანტიას (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში), უარს აცხადებს ხელშეკრულების

დადებაზე ან/და სხვაგვარად გამოხატავს უარს ხელშეკრულების დადებაზე;

- თუ პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას;
- თუ გამარჯვებული პრეტენდენტი უარს განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან ვერ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას (ასეთი გარანტიის არსებობის შემთხვევაში) კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადაში;

ზემოთ განხილულ შემთხვევებში, თუ კომისიის გადაწყვეტილებით მოხდა ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

გამარტივებული შესყიდვა

გამარტივებული შესყიდვა – ეს არის შესყიდვის საშუალება, რომელიც უფლებას აძლევს შემსყიდველ ორგანიზაციას ყოველგვარი სატენდერო პროცედურების გარეშე (ე.წ. პირდაპირი შესყიდვის წესით) შეიძინოს მისთვის სასურველი საქონელი, მომსახურება ან სამუშაო. „სატენდერო პროცედურების გარეშე“ არ ნიშნავს იმას, რომ შემსყიდველისათვის მიზანშეწონილია შესყიდვა განახორციელოს პირველივე მიმწოდებელთან ნებისმიერ ფასად. მიუხედავად იმისა, რომ შესყიდვების მოქმედი კანონმდებლობა იმპერატიულად არ ავალდებულებს შემსყიდველ ორგანიზაციას რაიმე სახის პროცედურების ჩატარებას, მაგრამ მიზანშეწონილია, რომ გამარტივებული შესყიდვის დროს შემსყიდველმა ორგანიზაციამ ე.წ. „ბაზრის მოკვლევა“ ჩაატაროს.

გამარტივებული შესყიდვა**,** როგორც შესყიდვის საშუალება შეიძლება გამოყენებული იქნას შემდეგ შემთხვევებში:

1. მონეტარული ზღვრები - საანგარიშო წლის განმავლობაში 5000 ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის დროს.

   შენიშვნა:

   მონეტარული ზღვრების შესაბამისად 5000 ლარამდე საანგარიშო წლის განმავლობაში ერთგვაროვანი ობიექტის შესყიდვის დაგეგმვა უნდა განხორციელდეს სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შემუშავების დროს, ანუ ერთგვაროვნების ის ჯგუფები (CPV კოდების პირველის სამი ციფრი ერთგვაროვანია), რომელთა წლის განმავლობაში შესყიდვა იგეგმება 5000 ლარზე ნაკლები, მათი განხორციელება შესაძლებელია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში.
2. ექსკლუზივი - საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა და არ არსებობს მიზანშეწონილი ალტერნატივა შესყიდვის ობიექტის ჩასანაცვლებლად. ექსკლუზიურ უფლებად არ განიხილება შემთხვევა, როდესაც:
   - 2.1. შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო სამუშაოსი – 4 000 000 ლარს და ქვეყნის გარეთ, გონივრულ ტერიტორიულ ფარგლებში, არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა;
   - 2.2. შესასყიდი საქონლის ან მომსახურების სავარაუდო ღირებულება არ აღემატება 2 000 000 ლარს, ხოლო სამუშაოსი – 4 000 000 ლარს და ქვეყნის შიგნით არსებობს სხვა პირი, რომელსაც შეუძლია განახორციელოს იმავე საქონლის მიწოდება, სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა.

   შენიშვნა:

   ექსკლუზივის მუხლით შესყიდვის განხორციელებისას, მიზანშეწონილია, რომ მას თან ერთვოდეს ექსკლუზივის დამადასტურებელი დოკუმენტი. შესაძლებელია ეს დოკუმენტი იყოს წარმოდგენილი რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოდან, სავაჭრო-სამრეწველო პალატიდან, თვით მწარმოებლიდან ან რომელიმე სხვა ორგანოდან. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში.

3. გადაუდებელი აუცილებლობა - ასეთ შემთხვევაში შესასყიდი საქონლის რაოდენობა, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო შესაბამის ვადებს.

   შენიშვნა:

   ეს არის სიტუაცია, როდესაც შემსყიდველი წინასწარ ვერ გაითვლისწინებს ამ შესყიდვის აუცილებლობას, შესაბამისად ვერანაირ ჩანაწერს ვერ შეიტანს სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში. ან ჩატარებული ტენდერების შედეგად (განუსაზღვრელი რაოდენობა) ვერ შესძლო გამარჯვებული კომპანიის გამოვლენა. ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმოს ისეთ მიმწოდებელთან, რომელიც აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერების პირობებს, როგორც საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, ასევე ფასის ზღვრული ოდენობის მიხედვით. ამ მუხლის გამოყენება შემსყიდველის მიერ შესაძლებელია დარგში პოლიტიკის წარმმართველი ორგანოს (სამინისტრო) თანხმობის შემთხვევაში.

4. ხარისხის გაუარესება - მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნველყოფის მიზნით შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, აუცილებელია შესყიდვა განხორციელდეს იმავე მიმწოდებლისაგან, ან იმავე მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეკონტრაქტორისაგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსახორციელებელი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება თავდაპირველად შესყიდული ობიექტის ღირებულებას.

   შენიშვნა:

   ეს არის სიტუაცია, როდესაც შემსყიდველი იძულებულია უკვე შესყიდული საქონელის (ან მომსახურების) შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით, შესყიდვის განხორციელება საჭიროა იმავე მიმწოდებელთან. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში.

   მაგალითად: შემსყიდველა ორგანიზაციამ შეიძინა სამედიცინო მოწყობილობა - „ანალიზატორი“, რომლის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო არის ე.წ. შესაბამისი „რეაქტივები“. აღნიშნული მოდელის „ანალიზატორზე“ სხვა მოდელის ან მწარმოებლი „რეაქტივების“ გამოყენება ვერ უზრუნველყოფს მის გამართულ ფუნქციონირებას, ან უარეს შემთხვევაში მწყობრიდან გამოიყვანს მას. ასეთ შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულება გააფორმოს იმავე მიმწოდებელთან, რომლისგანაც განხორციელდა „ანალიზატორის“ შესყიდვა ან მის ქვეკონტრაქტორთან, იმ პირობით, რომ შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს თავდაპირველად შესყიდული ობიექტის ღირებულებას.

5. ჩანაცვლების მეთოდი - ხორციელდება ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის, ასევე შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრული ელექტროდანადგარის ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე ერთი ან ერთზე მეტი ავტოსატრანსპორტო საშუალებით, კომპიუტერული ტექნიკით ან/და ელექტროდანადგარით ჩანაცვლება; ასეთ შემთხვევაში ახალი ავტოსატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის ან/და ელექტროდანადგარის ღირებულების ნაწილი ანაზღაურდება ჩასანაცვლებელი ავტოსატრანსპორტო საშუალების, კომპიუტერული ტექნიკის ან/და ელექტროდანადგარის მიმწოდებლისათვის დაბრუნებით ან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირისათვის გადაცემით, რომელიც ახდენს მსგავსი პროდუქციის (საქონლის) რეალიზაციას;

   შენიშვნა:

   ეს მეთოდი გამოიყენება შემსყიდველი საკუთრებაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის, ავტომობილებისა და ელექტროდანადგარების, ახალი ან/და გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე შესაბამისი ტექნიკით ჩანაცვლების განსახორციელებლად. ამასთან, ახალი (შესაძენი) ტექნიკის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ჩასანაცვლებელ (საკუთარი) ტექნიკის რაოდენობას. ამ მეთოდის გამოყენების დროს მიზანშეწონილია ჩასანაცვლებელ (საკუთარი) ტექნიკას, საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით, ჩაუტარდეს ექსპერტიზა ან აუდიტორული შეფასება. ჩასანაცვლებელ (საკუთარი) ტექნიკის სახელშეკრულებო ღირებულების დადგენის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას როგორ ნარჩენი საბალანსო ღირებულება, ასევე აუდიტორული დასკვნის შედეგად მიღებული საბაზრო ღირებულება. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში.

6. წარმომადგენლობით ხარჯები - ხორციელდება წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვა.

   შენიშვნა:

   წარმომადგენლობითი ხარჯები განიმარტება საქართველოს საგადასახადი კოდექსის მიხედვით და მოიცავს შემდეგ ხარჯებს:

   - შემსყიდველის სახელით გამართული ღონისძიებებისათვის (პრეზენტაციები, მიღებები) გათვალისწინებულ (წვენები, მინერალური წყლები, გამაგრილებელი სასმელები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯებს;
   - საექსკურსიო და კულტურულ-სანახაობითი ღონისძიებების ხარჯებს;
   - სუვენირების შეძენის ხარჯებს;
   - სტუმრების მომსახურების უზრუნველყოფის ხარჯებს;
   - საკონსულო მომსახურების (ვიზების გაფორმება, ვადის გაგრძელება) ხარჯებს;
   - აეროპორტში დახვედრისა და გაცილების (VIP-დარბაზის მომსახურება) ხარჯებს;
   - სატრანსპორტო მომსახურების ხარჯებს;
   - სასტუმრო მომსახურების (ადგილების დაჯავშნა, ცხოვრების ღირებულება) ხარჯებს;
   - მიღებებისა და წვეულებებისათვის გათვალისწინებულ (წვენები, მინერალური წყლები, გამაგრილებელი სასმელები, ჩაი, ყავა, საუზმე, სადილი, ვახშამი, ბანკეტი) ხარჯებს.

   აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში.

7. ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელები - სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით.

   შენიშვნა:

   შემსყიდველი ორგანიზაცია ხშირ შემთხვევაში ახორციელებს სახელმწიფოს მიერ გაწეული ფასიანი მომსახურების შესყიდვას (მაგ: ავტომობილის რეგისტრაცია და ა.შ.), რომელთა საფასური დადგენილია შესაბამისი ნორმატიული აქტით. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში.

8. ავტო ტექ.მომსახურებისა და მარაგნაწილების შესყიდვა - ხორციელდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული წლოვანების ან/და პირობე-

ბის მქონე გარანტიის ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალების სახელმწიფო შესყიდვა.

შენიშვნა:

საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულია 5 ან ნაკლები წლოვანების ასევე საგარანტიო პირობების მქონე ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების ან/და ასეთი მომსახურებისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების ან/და საცხებ-საპოხი მასალების სახელმწიფო შესყიდვა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში.

სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის დაუშვებლობა

სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა გულისხმობს შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის რაოდენობის ან მოცულობის შემცირებას ან/და დაყოფას, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაციისთვის წინასწარ ცნობილია, რომ იმავე საბიუჯეტო წლის განმავლობაში აუცილებელი გახდება იმავე ან მისი ერთგვაროვანი შესყიდვის ობიექტის დამატებით შესყიდვა, და დამატებითი შესყიდვისთვის სახსრები წინასწარვეა გათვალისწინებული იმავე საბიუჯეტო წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში.

სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფად არ განიხილება შემდეგი შემთხვევები:

1. შესყიდვის ცალ-ცალკე პროცედურებით განხორციელება გამოწვეულია გეოგრაფიული ფაქტორით ან/და გამართლებულია სახსრების რაციონალური ხარჯვის თვალსაზრისით;
2. შესყიდვის ცალ-ცალკე პროცედურებით განხორციელება გამოწვეულია ობიექტური პირობებით, რომლებსაც შემსყიდველი ორგანიზაცია წინასწარ ვერ გაითვალისწინებდა.

არის შემთხეევევები, როდესაც ერთი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ცალკეულ ქალაქში ან მუნიციპალიტეტში შესყიდვის ცალკეულად განხორციელება უფრე რაციონალურია საბიუჯეტო თახების ხარჯვის თვალსაზრისით, ვიდრე ცენტრალიზებული შესყიდვის განხორციელება. მაგალითად, შეშის შესყიდვა ცალკეულ რაიონში უფრო იაფი დაჯდება ვიდრე ერთი მიმწოდებლის მიერ ცენტრალიზებულად მიწოდება ცალკეულ მუნიციპალიტეტში. ასევე, არც თუ იშვიათად შემსყიდველი ორგანიზაციის წლიური საბიუჯეტო ასიგნებები, წლის განმავლობაში განიცდის ცვლილებას, შესაბამისად ცვლილება უნდა შევიდეს შესყიდვების წლიურ გეგმაშიც. ამ დროს შესაძლებელია CPV კოდის კონკრეტულმა კატეგორიამ განიცადოს ცვლილება ისე, რომ მანამდე ამ კატეგორიაში დაგეგმილი და განხირციელებული ყოფილიყო გამარტივებული შესყიდვა, ცვლილები შემდეგ კი, მონეტარული ზღვრებიდან გამომდინარე უნდა განხორციელდეს - გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.

სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფის გამოვლენის მეთოდოლოგიის შემუშავებამდე სააგენტო უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამატებით მოაწესრიგოს სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფასთან დაკავშირებული საკითხები.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით არჩევს მიმწოდებელს და დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას**.**

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, ხელშეკრულების დადება შესაძლებელია, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენებზე. ხელშეკრულების უცხოურ ენაზე დადების შემთხვევაში, იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზე.

ტენდერის შემთხვევაში ხელშეკრულება იდება სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ხელშეკრულების პროექტის საფუძველზე, შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებისა და ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების პირობების შესაბამისად, ან გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში, შესაბამის პირთან მიღწეული შეთანხმების გათვალისწინებით. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება არ შეიძლება აღემატებოდეს ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემის მეშვეობით დაფიქსირებულ საბოლოო ფასს.

ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით და კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- მხარეთა ზუსტ დასახელებას და რეკვიზიტებს;
- ხელშეკრულების ობიექტის დასახელებას,
- CPV კლასიფიკატორის კატეგორიის ან ქვეკატეგორიის კოდს. (იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის დასახელებას არ შეესაბამება კლასიფიკატორის კატეგორიის ან ქვეკატეგორიის კოდი, შესაძლებელია მითითებულ იქნეს კლასიფიკატორის შესაბამისი კლასის, ჯგუფის ან დანაყოფის კოდი);
- ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას – ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებას;
- საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას;
- ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის პირობებს (გამოყენების შემთხვევაში).
- ხელშეკრულების კონკრეტულ მოქმედების ვადას;
- გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში აგრეთვე ხელშეკრულების დადების საფუძველი;
- სატენდერო განცხადების ნომერი, თუ ხელშეკრულება იდება ტენდერის ჩატარების შედეგად;
- სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში – შესასრულებელი სამუშაოს გონივრულ საგარანტიო ვადას.
- წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში - მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის გარანტია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ხელშეკრულებაში გაითვალისწინოს დამატებითი პირობები**:**

- ანგარიშსწორების პირობები - რა პირობების, რა ვადაში და რომელი დოკუმენტების წარმოდგენით ხდება ანგარიშსწორება;

- შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერილობა - თუ შესყიდვის ობიექტი იძლევა მისი იდენტიფიცირების საშუალებას, მიზანშეწონილია, რომ მაიდეტიფიცირებელი მონაცემები ან/და ტექნიკური აღწერილობა შეტანილ იქნას სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში;
- შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი - სად და როგორ ხდება შესყიდვის ობიექტის მიღება, ვინ არის პასუხისმგებელი შესყიდვის ობიექტის მიღებაზე;
- ხელშეკრულების შესრულების კონტროლი - სად და როგორ ხდება შესყიდვის ობიექტის კონტროლი (ინსპექტირება), ვინ არის პასუხისმგებელი შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის კონტროლზე;
- ფორს-მაჟორი - იმ გარემოებების ნუსხა, რომლებიც ქმნიან მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
- ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა და ცვლილებების შეტანა - როგორ და რა შემთხვევებში არის დასაშვები ხელშეკრულებებში ცვლილებების შეტანა;
- მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა - პასუხისმგებლობის ფორმებისა და საჯარიმო სანქციების შესახებ ინფორმაციას, რომლების შესაძლებელია მხარეებს დაეკისროს ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი ან/და დაგვიანებით შესრულებისათვის;
- ხელშეკრულების ენა და შეტყობინებები - რა ენაზე და რა ფორმით მოხდება მხარეთა შორის შეტყობინებების გაგზავნა და მიღება;
- სხვა პირობები - ყველა სხვა პირობა, რომელსაც მხარეები საჭიროდ ჩათვლიან ხელშეკრულებაში შესატანად.

რიგ შემთხვევებში ხელშეკრულების დადება არ არის სავალდებულო, ეს შემთხვევებია:

- წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას;
- საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვისას.
- ინტერნეტით გამოწერის გზით, მხოლოდ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვისას;

ზემოთმოყვანილ შემთხვევებში ხელშეკრულება შესაძლებელია ჩანაცვლდეს სახელმწიფო შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- შესყიდვის ობიექტის დასახელებას;
- შესყიდვის ობიექტის ღირებულებას;
- შესყიდვის ობიექტის ღირებულების გადახდის დადასტურებას;
- მიმწოდებლის დასახელებასა და საიდენტიფიკაციო ნომერს.
- ინტერნეტით გამოწერის გზით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვის შემთხვევაში ზემოაღნიშნული დოკუმენტაციას შესაძლებელია ჩანაცვლდეს ინტერნეტის საშუალებით გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტით.

კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, კონკრეტული ხელშეკრულების ან/და შესყიდვის მიმართ შეიძლება დადგინდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მოთხოვნებისაგან განსხვავებული პირობები, აგრეთვე ასეთი ხელშეკრულების მიმართ შესაძლებელია დადგენილ იქნას ცვლილებებისა შეტანისა და საგარანტიო უზრუნველყოფის მოთხოვნების გავრცელების განსხვავებული მოთხოვნები.

ხელშეკრულების მოქმედება სულ მცირე 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას.

ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანა

ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების/დამატების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება/დამატება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით და აიტვირთოს სისტემაში ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანიდან 10 დღის ვადაში.

ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა. ამ პუნქტით დადგენილი მოთხოვნა არ ვრცელდება ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვაზე.

ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი დაავალოს როგორც თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს, ასევე ნებისმიერ სხვა პირს, რომელთა ძირითად ფუნქციას წარმოადგენს მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის, მომსახურების, სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

ხელშეკრულების პირიბების შესაბამისად შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესყიდვის ობიექტის მიღება ხდება მხოლოდ შესაბამისი დოკუმენტის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები.

იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირიბების შესაბამისად, ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიმართ დადგენილი მოთხოვნები არ ვრცელდება იმ ტიპის შესყიდვებზე, რომელთა შემთხვევაშიც ხელშეკრულების დადება წერილობითი ფორმით არ არის სავალდებულო.

ხელშეკრულების სტატუსები

ხელშეკრულებისათვის „შესრულებული ხელშეკრულება“ ან „შეუსრულებელი ხელშეკრულება“ სტატუსების მინიჭების შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულებასთან ან/და შეუსრულებლობასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტი შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სისტემის შესაბამის ველში უნდა აიტვირთოს მისი შექმნიდან 10 დღის ვადაში.

ხელშეკრულებისათვის შესაბამისი სტატუსების მინიჭების შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების ან/და შეუსრულებლობის დამადასტურებელ დოკუმენტაციად ჩაითვლება ნებისმიერი დოკუმენტი/კორესპონდენცია, რაც დაკავშირებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან ან/და შეუსრულებლობასთან (მათ შორის, მიღება/ჩაბარების აქტი, ზედნადები, ანგარიშფაქტურა, ფოტოსურათი და სხვა.).

სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია და საფასური

წინადადების უზრუნველყოფის გარანტია – ეს არის ტენდერში მონაწილე სუბიექტის მიერ, თავისი სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით წარდგენილი გარანტია, რომლითაც ის პასუხს აგებს მისი სატენდერო წინდადების ვალიდურობაზე და მის შემდგომ ქმდებებზე. აღნიშნული გარანტია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარედგინება ელექტრონულად, სისტემის მეშვეობით, რომლის ოდენობა განისაზღვრება შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტის ოდენობით (შემდგომში – ელექტრონული გარანტია). ყოველი კონკრეტული ტენდერისთვის ელექტრონული გარანტიის სააგენტოსთვის წარდგენა შესაძლებელია განხორციელდეს ამ ქვეპუნქტისგან განსხვავებული მეთოდით.

ელექტრონული გარანტიის ბენეფიციარი/მიმღები არის სააგენტო. ელექტრონული გარანტიის სააგენტოსთვის წარდგენა და საფასურის გადახდა ხორციელდება სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების მეშვეობით. ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად:

- ელექტრონული გარანტიების რეესტრის მეშვეობით გაცემული ელექტრონული გარანტიისათვის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – არანაკლებ 120 კალენდარული დღით ტენდერისათვის სტატუსის „წინადადების მიღება დაწყებულია“ მინიჭების თარიღის შემდეგ;
- ელექტრონული გარანტიების რეესტრის მეშვეობით გაცემული ელექტრონული გარანტიისათვის მოქმედების ვადა უნდა განისაზღვროს ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – არანაკლებ 160 კალენდარული დღით ტენდერისათვის სტატუსის „წინადადების მიღება დაწყებულია“ მინიჭების თარიღის შემდეგ;
- იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტია წარდგენილია საბანკო პლასტიკური ბარათიდან სააგენტოს ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით, სისტემა ავტომატური საშუალებების გამოყენებით უზრუნველყოფს ელექტრონული გარანტიის მოქმედების ვადას შესაბამისი ტენდერისათვის საბოლოო სტატუსის მინიჭებამდე.

ელექტრონული გარანტიის წარდგენა ხდება ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვამდე.

საფასური – სატენდერო ან საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის ამ კანონით დადგენილი ოდენობით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე გადასახდელი სავალდებულო თანხა, რომელიც არ ბრუნდება, გარდა შეცდომით გადახდილი საფასურისა. ელექტრონული გარანტიის წარდგენასთან ერთად, ტენდერში მონაწილე სუბიექტი ვალდებულია გადაიხადოს წინადადების წარდგენის საფასური, რომლის ოდენობა შეადგენს - 50.00 ლარს.

შენიშვნა: ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების დროებითი ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ყოველ კონკრეტულ ტენდერში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე, სააგენტოსთან წინასწარი შეთანხმებით. სააგენტოს წინასწარი თანხმობის მიღება ხდება წერილობითი ფორმით ან სააგენტოს ელექტრონული ფოსტის info@procurement.gov.ge მეშვეობით.

ტენდერისთვის საბოლოო სტატუსის მინიჭების შემდეგ, სტატუსის შეცვლის საჭიროების შემთხვევაში, თუ ეს გამოწვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს გადაწყვეტილების აღსრულების ან/და შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შერჩევა-შეფასების წესების არასათანადო გამოყენებით გამოწვეული შედეგების გამოსწორების აუცილებლობით, ახალი ელექტრონული გარანტიის წარდგენა ხდება ზემოთ მოცემული ვადების გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში, გარანტია წარდგენილ უნდა იქნეს სააგენტოში სისტემის გამოყენების გარეშე. ტენდერისათვის სტატუსის შეცვლა ხორციელდება მხოლოდ სააგენტოში ახალი გარანტიის წარდგენის შემდეგ.

ტენდერის დასრულების შემდგომ, როდესაც ტენდერს მიენიჭება სტატუსი - „ხელშეკრულება დადებულია“, ან სტატუსი - „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ ან სტატუსი - „ტენდერი შეწყვეტილი“, ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრეტენდენტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- o პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;
- o პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად;
- o თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;
- o თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს ამ შესაბამისი წესის მოთხოვნათა დაცვით;
- o თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების გარანტიას (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში), ან უარს აცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან/და სხვაგვარად გამოხატავს უარს ხელშეკრულების დადებაზე;
- o თუ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, პრეტენდენტი ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისათვის დაბრუნება მოხდება შეცდომით ან/და დადგენილი პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულია სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე.

გარანტი ვალდებულია სააგენტოს მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს გარანტიების ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული ელექტრონული გარანტიის შესრულების ან გარანტიით გათვალისწინებულ უფლებაზე უარის თქმის შესახებ სისტემის მეშვეობით სააგენტოს მიერ ელექტრონული შეტყობინების სახით გაგზავნილი მოთხოვნის შესრულება.

ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა ხდება სატენდერო წინადადების შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსებამდე.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას, რომელიც ვალდებულია აღნიშნული დოკუმენტების ასლი მიღებისთანავე წერილობით გააგზავნოს სააგენტოში. აღნიშნული ასლის გაგზავნა ასევე უნდა მოხდეს სააგენტოს ელექტრონულ ფოსტაზე info@procurement.gov.ge.

გადახდილი საფასურის უკან დაბრუნება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფასური შეცდომით გადახდილია კანონით განსაზღვრულ განაკვეთზე მეტი ოდენობით. ამ შემთხვევაში ბრუნდება სხვაობა გადახდილ თანხასა და კანონით განსაზღვრულ განაკვეთს შორის. შეცდომით ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების შესახებ სააგენტოში წარმოდგენილი მოთხოვნა უნდა შეიცავდეს შეცდომით გადახდილი ზედმეტი თანხის დაბრუნების კანონიერი საფუძვლის არსებობის დასაბუთებას და შესაბამის დოკუმენტაციას. შეცდომით ზედმეტად გადახდილი თანხის უკან დაბრუნების თაობაზე დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სააგენტო ამ მოთხოვნას ათი სამუშაო დღის ვადაში უგზავნის თანხის დაბრუნებაზე შესაბამის უფლებამოსილ პირს.

სააგენტოში მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს შეცდომით ზედმეტად გადახდილი თანხის გადახდიდან სამი თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ ზედმეტად გადახდილი თანხა არ ბრუნდება. ამ ვადის გაგრძელება ან გაშვებული ვადის აღდგენა დაუშვებელია.

ხელშეკრულების შესრულების გარანტია და დაზღვევა

ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია – ეს არის ტენდერში გამარჯვებული სუბიექტის მიერ, ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით წარდგენილი გარანტია, რომლითაც ის პასუხს აგებს ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების სრულად და დადგენილ ვადებში შესრულებაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო. აღნიშნული გარანტია წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. მისი ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2 – 5%-ის ოდენობით. სატენდერო კომისია ყოველი კონკრეტული შესყიდვისათვის ადგენს მის კონკრეტულ პროცენტულ ოდენობას, რომლის შესახებაც ინფორმაციას ასახავს სატენდერო დოკუმენტაციაში.

მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევა, ვალდებულების უხარისხოდ, არაჯეროვნად, არასრულად შესრულება და სხვა) შემთხვევაში, მიმწოდებელს საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხა არ დაუბრუნდება. გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30 (ოცდაათი) დღით უნდა აღემატებოდეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადას.

მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია. მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მხარეთა შორის შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი იყენებს გარანტიას მისთვის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად მიყენებული ზიანისა ასანაზღაურებლად.

ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის მოთხოვნა სავალდებულოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200 000 ლარს. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება ნაკლებია 200 000 ლარზე, ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის მოთხოვნა დაუშვებელია.

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, გარანტიის წარდგენისგან შესაძლებელია გათავისუფლდეს პრეტენდენტი ან პოტენციური მიმწოდებელი მისი საქმიანი რეპუტაციისა და მის მიერ წარმოებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს ხარისხისა და ცნობადობის გათვალისწინებით, აგრეთვე თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებელი. თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებლის შემთხვევაში აღნიშნული ოდენობა ნახევრდება.

იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გამარჯვებულ მიმწოდებელს მოსთხოვოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია 2%-დან 10%-მდე ოდენობით. თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებლის შემთხვევაში აღნიშნული ოდენობა ნახევრდება.

ხელშეკრულების შესრულების გარანტია ან დაზღვევა, მათი მოთხოვნისას, მხოლოდ გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში შესაძლებელია წარედგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულების დადების შემდგომ, ხოლო ტენდერის საშუალებით შესყიდვის შემთხვევაში წარდგენილი უნდა იქნეს ხელშეკრულების დადებამდე. ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის მოქმედების ვადა, გარანტიიდან ან დაზღვევიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების ან ამ ვალდებულებების გაუქმების პირობები განისაზღვრება ხელშეკრულებით.

შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს უარი განაცხადოს ხელშეკრულების შესრულების ისეთ გარანტიაზე ან დაზღვევაზე, რომელიც სახელმწიფო ინტერესებს არ შეესაბამება.

წინასწარი ანგარიშსწორება

წინასწარი ანგარიშწორება საბანკო გარანტიის საფუძველზე

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ანგარიშსწორება განხორცლიელდეს წინასწარი ანგარიშსწორების მექანიზმის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობის გარანტია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

წინასწარი ანგარიშწორებაას გადასახდელი თანხის განკარგვა შემსყიდველი ორგანიზაციის თანხობით

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარი ანგარიშწორებისას გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლება შესაძლებელია, თუ მიმწოდებლისათვის წინასწარ გადასახდელი თანხა ჩაირიცხება საამისოდ განკუთვნილ ცალკე საბანკო ანგარიშზე და ამ თანხის გამოყენება მოხდება შემსყიდველი ორგანიზაციის კონტროლით ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში.

საამისოდ ცალკე საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული წინასწარ გადასახდელი თანხის კონტროლი შესაძლებელია მოიცავდეს თანხის განკარგვის წინასწარ კონტროლს, დადგენილი ზღვრული ოდენობის თანხის განკარგვის წინასწარ კონტროლს და გახარჯული თანხის შემდგომ კონტროლს, თუ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად გათავისუფლების შესახებ უნდა მიეთითოს სატენდერო დოკუმენტაციაში, ხოლო გამარტივებული შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე მიმწოდებელს უნდა ეცნობოს ხელშეკრულების დადებამდე გონივრულ ვადაში.

წინასწარ გადასახდელ თანხაზე გარანტიის წარდგენისაგან გათავისუფლება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გამო

შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარი ანგარიშსწორებისას გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლება შესაძლებელია, თუ კონკრეტული ხელშეკრულების ჯამური ღირებულება აღემატება 30 მილიონ ლარს. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლება შესაძლებელია მისი საქმიანი რეპუტაციისა და მის მიერ წარმოებული საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს ხარისხისა და ცნობადობის გათვალისწინებით.

შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წინასწარ გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისაგან მიმწოდებლის გათავისუფლების შესაძლებლობისა და ასეთი გათავისუფლების პირობების შესახებ უნდა მიეთითოს სატენდერო დოკუმენტაციაში, ხოლო გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში -ხელშეკრულებაში.

კონკურსი

კონკურსი – ეს არის საპროექტო მომსახურების ან შენობა-ნაგებობის დემონტაჟის ან/და დემონტაჟის შედეგად დარჩენილი ტერიტორიის მასალებისა და ნარჩენებისაგან გათავისუფლების სახელმწიფო შესყიდვის ალტერნატიული საშუალება, რომელიც გამოიყენება შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით. კონკურსისათვის არ არის დაწესებული მონეტარული ზღვრები, შესაბამისად, ის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ოდენობის სავარაუდო ღირებლების მქონე შესყიდვის ობიექტის დროს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია უნდა აისახოს სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში.

კონკურსის არსი, როგორც შესყიდვის ე.წ. „ალტერნატიული“ საშუალება მდგომარეობს იმაში, რომ ის საშუალებას იძლევა შეფასების კრიტერიუმებად ფასთან ერთად შერჩეული იქნას სხვა კრიტერიუმებიც, მაგალითად: დიზაინი, ინჟინრული გადაწყვეტილება, ვიზუალური სილამაზე, გამოცდილება დ ა.შ.

მოქმედი კანონმდებლობა კონკურსის ჩატარების მხოლოდ ძირითად წესს განსაზღვრავს, მასში არ არის გაწერილი შემსყიდველი ორგანიზაციის დეტალური ქმედებები საკონკურსო დოკუმენტაციის მომზადების წესი, გამოცხადებისა და წინადადებების მიღების ვადები, შეფასების კრიტერიუმები და ა.შ. აქედან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაცია თვითონ განსაზღვრავს თითოეულ მათგანს.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- კონკურსი – ამ წესის მიზნებისთვის, საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ალტლერნატიული საშუალება, რომელიც გამოიყენება შემსყიდველის გადაწყვეტილებით;
- საკონკურსო პირობები – საკონკურსო განცხადების, შესყიდვის ობიექტისა და კონკურსანტის მიმართ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მისივე შეხედულებისამებრ დადგენილი მოთხოვნების ერთობლიობა;
- საკონკურსო განცხადება – შემსყიდველი ორგანიზაციის განცხადება კონკურსის ჩატარების თაობაზე;
- კონკურსანტი – პირი, რომელმაც ამ წესის შესაბამისად გადაიხადა კონკურსში მონაწილეობის საფასური და შემსყიდველ ორგანიზაციაში წარადგინა საკონკურსო წინადადება;
- საკონკურსო წინადადება – კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით კონკურსანტის მიერ შემსყიდველ ორგანიზაციაში წარდგენილი წინადადება;
- საკონკურსო კომისია – კონკურსის ჩატარების მიზნით შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით შექმნილი კომისია.

საკონკურსო წინადადების განხილვასა და კონკურსის მეშვეობით მიმწოდებლის შერჩევაზე, ისევე როგორც ნებისმიერი ტიპის შესყიდვის დროს, ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული დებულებები.

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მოთხოვნების შესაბამისად, კონკურსში მონაწილე კომპანიები ვალდებულინი არიან გადაიხადონ კონკურსში მონაწილეობის საფასური **50 (ორმოცდაათი) ლარის** ოდენობით.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია კონკურსის ჩატარების დროს გაითვალისწინოს შემდეგი მოთხოვნები:

1. კონკურსის ჩატარებისას უზრუნველყოფილი უნდა იქნეს პროცედურების გამჭვირვალობა და კონკურსანტების მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომა.
2. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა ხდება საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო პირობებით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.
3. საკონკურსო წინადადების წარდგენის ვადები განისაზღვრება საკონკურსო პირობებით.
4. საკონკურსო პირობებში მოცემული უნდა იყოს მიმწოდებელთან დასადები ხელშეკრულების აუცილებელი პირობები, რომლებსაც ადგენს შემსყიდველი ორგანიზაცია.
5. შემსყიდველ ორგანიზაციას არ აქვს უფლება შეცვალოს საკონკურსო პირობები მას შემდეგ, რაც დაიწყება საკონკურსო წინადადების მიღება.
6. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება.
7. იმ შემთხვევაში თუ დარღვეულია საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის წესი, ან/და მასში გათვალისწინებული მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.
8. კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დოკუმენტი, გარდა ხელშეკრულებისა, დაუყოვნებლივ, გამოქვეყნების მიზნით ეგზავნება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) ელექტრონული ფოსტის მისამართზე – contest@procurement.gov.ge.
9. დოკუმენტი სააგენტოში გაგზავნილად ჩაითვლება მხოლოდ სააგენტოს მიერ მისი მიღების დადასტურების შემდეგ, რაც ხორციელდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე სააგენტოს მიერ შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით.
10. სააგენტოსათვის ინფორმაციის გაგზავნა უნდა მოხდეს მხოლოდ PDF ფორმატის გამოყენებით.
11. შემსყიდველი ორგანიზაცია საკონკურსო განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს, მათი არსებობის შემთხვევაში, უგზავნის სააგენტოს მის ოფიციალურ ვებგვერდზე www.procurement.gov.ge გამოქვეყნების მიზნით.
12. შემსყიდველი ორგანიზაციის საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნა და მასზე თანდართული დოკუმენტები, მათი არსებობის შემთხვევაში, დასკანერებული სახით წარედგინება სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@procurement.gov.ge მეშვეობით.
13. საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალურ მოთხოვნას ხელს უნდა აწერდეს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი ან მის მიერ სათანადოდ უფლებამოსილი პირი.
14. მიღებულ დოკუმენტებს, მათი არსებობის შემთხვევაში, ან/და მათ ცვლილებებს სააგენტო აქვეყნებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე, დოკუმენტების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა. სააგენტო პასუხისმგებელი არ არის წარმოდგენილი დოკუმენტაციის შინაარსზე და კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე. სააგენტო არ აქვეყნებს ამ მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას, თუ იგი არ შეესაბამება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ასეთ შემთხვევებში დოკუმენტაცია შემსყიდველ ორგანიზაციას უკან უბრუნდება.
15. საკონკურსო განცხადებას სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე ენიჭება უნიკალური ნომერი.
16. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
    ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
    ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
    გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
    დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.
17. კონკურსანტს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე შეუძლია გაასაჩივროს შემსყიდველი ორგანიზაციის ან საკონკურსო კომისიის ქმედება შემსყიდველ ორგანიზაციაში ან სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოში, თუ მიაჩნია, რომ კონკურსის ჩატარებისას დაირღვა კანონით და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესები ან/და შეილახა მისი უფლებები.
18. კონკურსის თავისებურებათა გათვალისწინებით, კონკურსთან დაკავშირებული დავის განხილვა ხდება „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 30 ნოემბრის №11 ბრძანების შესაბამისად.

შემსყიდველი ორგანიზაციისათის მიზანშეწონილია კონკურსის მომზადების დროს გაითვალისწინოს შემდეგი დამატებითი პირობები**:**

- შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერილობა - რისი დაპროექტება აქვს განსაზღვრული შემსყიდველ ორგანიზაციას, რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს და როგორი საბოლოო სახე უნდა ქონდეს მას;
- შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას;
- დაფინანსების წყაროები;
- შესყიდვის ობიექტის მაქსიმალური სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსში მონაწილეს მიერ გადასახდელი საფასურის საბანკო რეკვიზიტები;
- მონაწილეთა მიერ საკონკურსო წინადადებების წარმოადგენის ფორმა (დალუქული კონვერტები) ვადები (საათის მითითებით) და ადგილი (მისამართის მითითებით);
- ანგარიშსწორების პირობები;
- შეფასების კრიტერიუმები (სასურველია იყოს პრიორიტეტულობის კოეფიციენტების მიხედვით);
- კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ნუსხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

- იმ დოკუმენტების ან/და მასალების ჩამონათვალი, რომელიც კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს საკონკურსო წინადადებასთან ერთად;
- იმ დოკუმენტების ან/და მასალების ჩამონათალი რომელიც, ხელშეკრულების დადების შემდგომ, დადგენილ ვადაში უნდა წარმოადგინოს გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს საკონკურსო წინადადებასთან ერთად;
- ტექნიკური პირობა (პროფესიულ დონეზე შედგენილი) რომელისაც უნდა აკმაყოფილებდეს გამარჯვებული კონკურსანტის მიერ შესრულებული სამუშაო;
- ინფორმაცია შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესის შესახებ;
- ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ;
- დამატებითი დოკუმენტაციის ან/და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა, ადგილი და დრო;
- დანართები (ნახაზები და სპეციფიკაციები) ან/და სხვა ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში).

შენიშვნა:

კონკურსის ჩატარების დროს ნებისმიერი სხვა პირობა ან წესი, რომელიც არ არის გაწერილი წინამდებარე სალექციო კურსში, რეგულირდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

შავი სიის წარმოების წესი და პირობები

შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრი (შემდგომ – შავი სია) - რომელსაც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ელექტრონულად აწარმოებს და განათავსებს თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. შავ სიაში აისახება სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე იმ არაკეთილსინდისიერ პირთა, პრეტენდენტთა და მიმწოდებელთა მონაცემები, რომლებსაც შავ სიაში შეტანიდან 1 წლის განმავლობაში არა აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვებში და დადონ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება. შავი სია ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის. შავი სიის წარმოების წესი და პირობები განისაზღვრება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით (შემდგომ – კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი);

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების მოთხოვნით მიმართოს სააგენტოს წერილობითი შეტყობინებით, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:

1. დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია იმ შემთხვევაში, როდესაც პრეტენდენტი არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების გარანტიას (ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში), უარს აცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ან/და სხვაგვარად გამოხატავს უარს ხელშეკრულების დადებაზე;
2. დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია იმ შემთხვევაში, როდესაც პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას ან არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის შესახებ ცნობილი გახდა ხელშეკრულების დადების შემდეგ;
3. მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ამოწურულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო.

წერილობითი შეტყობინება, რომელსაც შემსყიდველი ორგანიზაცია წარუდგენს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს უნდა იყოს დასაბუთებული და შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას (დოკუმენტაციას):

- შესყიდვის განხორციელების საშუალების დასახელება;
- ტენდერის განხორციელების შემთხვევაში – სატენდერო განცხადების ნომერი, გამარტივებული შესყიდვის, კონკურსის ან კონსოლიდირებული ტენდერის საფუძველზე დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში – შესაბამისი ხელშეკრულების სისტემის CMR მოდულში რეგისტრაციის ნომერი;
- შესყიდვის ობიექტის დასახელება;
- შეტყობინებაში მითითებული პრეტენდენტის/მიმწოდებლის რეკვიზიტები;
- პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები ან/და პრეტენდენტის წერილობითი შეტტყობინება
- პრეტედენტის მიერ, ხელშეკრულების დადების მიზნით არაკეთილსინდისიერი

ქმედების ჩადენის (ასევე, თუ იგი ცნობილი გახდა ხელშეკრულების დადების შემდეგ) დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები

- ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები, ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისას – ასევე ხელშეკრულების შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.

იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ გათვალისწინებული დოკუმენტები ატვირთულია შესაბამის სისტემაში, წერილობით შეტყობინებას აღნიშნული დოკუმენტების ასლები აღარ დაერთვის. სააგენტო წერილობით შეტყობინებას იხილავს არაუმეტეს ორი თვის ვადაში, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია გაგრძელდეს სააგენტოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით არაუმეტეს ერთი თვით. სააგენტო უფლებამოსილია, მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას წერილობით შეტყობინებაში არსებული ინფორმაციის დაზუსტება, მიიღოს დაინტერესებული პირებისგან სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც აუცილებელია პირის შავ სიაში დარეგისტრირების საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილია, მოიწვიოს სააგენტოში დაინტერესებული მხარეები ზეპირ განხილვაზე.

იმ შემთხვევაში, თუ წერილობით შეტყობინებაში მითითებული პრეტენდენტი/მიმწოდებელი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამის ორგანოში გაასაჩივრებს მის მიმართ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომელითაც მოხდა პრეტედენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირება, სააგენტო უფლებამოსილია, დაინტერესებული მხარის დასაბუთებული წერილობითი მომართვის საფუძველზე შეაჩეროს ადმინისტრაციული წარმოება შესაბამისი დავის საბოლოო გადაწყვეტის ვადით. ამასთან, შემსყიდველმა ორგანიზაციამ და წერილობით შეტყობინებაში მითითებულმა პრეტენდენტმა/მიმწოდებელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ სააგენტოს დავაზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ და წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტაცია სააგენტოში. ადმინისტრაციული წარმოების გასაგრძელებლად საკმარისია ერთ-ერთი მხარის მიერ სააგენტოში შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

სააგენტო უფლებამოსილია, უარი თქვას პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე, თუ არსებობს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი საფუძველი:

1. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად ვერ აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებული მოთხოვნებს;
2. შეტყობინებაში მითითებული პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით მნიშვნელოვნად დაირღვევა ბაზარზე კონკურენციის დაცვისა და თანაზომიერების პრინციპები.

იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებული მოთხოვნებს, მაგრამ შავ სიაში დასარეგისტრირებელი პრეტენდენტის/მიმწოდებლის ქმედებით მიყენებული ზიანი უმნიშვნელოა, ასეთი პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დადგება არათანაზომიერი შედეგი ან/და დარღვეული იქნება საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი, სააგენტო უფლებამოსილია, ამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის მიმართ ერთხელ გამოიყენოს გაფრთხილება, რომელიც მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში.

იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს მის მიმართ წაყენებული მოთხოვნებს და ასევე, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით არ დაირღვევა ბაზარზე კონკურენციის დაცვისა და თანაზომიერების პრინციპები, სააგენტო წერილობით შეტყობინებაში მითითებულ პრეტენდენტს/მიმწოდებელს არეგისტრირებს შავ სიაში.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო შავ სიას ელექტრონულად აწარმოებს თავის ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge) და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

თეთრი სიის წარმოების წესი და პირობები

შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრი (შემდგომ – თეთრი სია) – რომელსაც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო ელექტრონულად აწარმოებს და განათავსებს თავის ოფიციალურ ვებგვერდზე. თეთრ სიაში აისახება სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე იმ კვალიფიციურ მიმწოდებელთა მონაცემები, რომლებიც აკმაყოფილებენ თეთრ სიაში რეგისტრაციისათვის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით დადგენილ კრიტერიუმებს. თეთრ სიაში რეგისტრირებული კვალიფიციური მიმწოდებელი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისას სარგებლობს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებული გამარტივებული პროცედურებით.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გააჩნია დისკრეციული უფლებამოსილება მიმწოდებლის თეთრ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებით. სააგენტო არ არის ვალდებული დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება თეთრ სიაში დარეგისტრირების ან თეთრ სიაში რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ. თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნით სააგენტოს შეუძლია მიმართოს იმ მიმწოდებელმა, რომელიც, სულ მცირე, აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- მიმწოდებელი თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისათვის უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში არ ყოფილა რეგისტრირებული შავ სიაში;
- მიმწოდებელი თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისათვის უკანასკნელი 1 წლის განმავლობაში არ ყოფილა რეგისტრირებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.rs.ge) არსებულ შავ სიაში;
- თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისათვის მიმწოდებლის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
- მიმწოდებელს აქვს თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისათვის არანაკლებ 1 დადებითი რეკომენდაცია შემსყიდველი ორგანიზაციისაგან მიმწოდებლის მიერ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ. ასეთი ხელშეკრულების ღირებულება უნდა იყოს არანაკლებ 50 000 ლარი.
- მიმწოდებლის (მიმწოდებლის წარმომადგენლობაზე/ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი ყველა პირის) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა და იგი ნასამართლევი არ არის (ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე–182-ე მუხლებით, XXVI თავით (დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ), XXVII თავით (დანაშაული ფულად-საკრედიტო სისტემაში), XXVIII თავით (დანაშაული საფინანსო საქმიანობის სფეროში), 2231 2241, 3222, 339-ე, 3391 და 362-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის;
- მიმწოდებელს თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის დღისათვის უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში აქვს არანაკლებ 1 000 000 ლარის საერთო ბრუნვა;
- მიმწოდებელს თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის პერიოდისთვის არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;
- მიმწოდებელს თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნის პერიოდისთვის აქვს განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

ზემოხსენებული ინფორმაციის სააგენტოში მიმწოდებლის მიერ წარდგენიდან 30 დღის ვადაში სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას მიმწოდებლის თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ ან თეთრ სიაში რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, რაც ეცნობება მიმწოდებელს. აღნიშნული ვადა სააგენტოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შესაძლებელია გაგრძელდეს ერთხელ არა უმეტეს 30 დღით. სააგენტო უფლებამოსილია თეთრ სიაში რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად მიმწოდებლისაგან მოითხოვოს წარდგენილი ინფორმაციის დაზუსტება ან/და დამატებითი ინფორმაცია განსაზღვრული ვადის ფარგლებში.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის გარდა, მიმწოდებელმა სააგენტოში დამატებით უნდა წარადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

- მიმწოდებლის (იურიდიული პირის კორპორაციული) CV;
- ინფორმაცია მიმწოდებლის შესახებ სააქციო საზოგადოება კრედიტინფო საქართველოდან;
- ინფორმაცია მიმწოდებლის თანამშრომელთა კვალიფიკაციის შესახებ (გამოცდილება, სერტიფიკატები, ტრენინგები);
- ინფორმაცია მიმწოდებლის ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ (მხოლოდ სამშენებლო სამუშაოების მწარმოებელი მიმწოდებლის შემთხვევაში).

მიმწოდებლის თეთრ სიაში დარეგისტრირების შემთხვევაში, ეს ინფორმაცია ელექტრონულად ხელმისაწვდომი ხდება ყველა დაინტერესებული პირისათვის.

თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებელი თავისუფლდება გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში/ელექტრონულ ტენდერში საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის ვალდებულებისაგან, იმის მიუხედავად, ითვალისწინებს თუ არა სატენდერო დოკუმენტაცია საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნას, ხოლო წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში, თეთრ სიაში დარეგისტრირებული მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველ ორგანიზაციას წინასწარ გადასახდელი თანხის ნახევრის ოდენობის გარანტია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

სააგენტოში წარდგენილ თეთრ სიაში რეგისტრაციის მოთხოვნაში მიმწოდებელმა წერილობით უნდა დაადასტუროს მის მიერ სააგენტოში წარდგენილი ინფორმაციის სისწორე. მიმწოდებლის მიერ სააგენტოში არასწორი ინფორმაციის წარდგენა წარმოადგენს მიმწოდებლის თეთრ სიაში რეგისტრაციაზე უარის თქმის ან რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს.

სააგენტოში წარდგენილ ინფორმაციაში ცვლილების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს სააგენტოს. აღნიშნული ცვლილების თაობაზე ინფორმაციის წარუდგენლობა წარმოადგენს მიმწოდებლის თეთრ სიაში რეგისტრაციის გაუქმების საფუძველს.

თეთრ სიაში მიმწოდებლის დარეგისტრირება ხდება 1 წლის ვადით. აღნიშნული ვადის ამოწურვამდე დარჩენილი უკანასკნელი 30 დღის განმავლობაში კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაციის ხელახლა წარმოდგენის/დადასტურების შემთხვევაში, მიმწოდებლის თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა ავტომატურად გაგრძელდება 1 წლით.

ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ორეტაპიანი ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი და პირობები

ორეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი და ორეტაპიანი ელექ-ტრონული ტენდერი ტარდება იმ სახელმწიფო შესყიდვის ობიექტებზე, რომელთა კლასიფიკატორის პირველი სამი ციფრი ემთხვევა შემდეგ დანაყოფების კოდებს:

- 66100000 - საბანკო და საინვესტიციო მომსახურებები
- 79100000 - იურიდიული მომსახურებები
- 79200000 - საბუღალტრო, აუდიტორული და ფისკალური მომსახურებები
- 79600000 - რეკრუტირება
- 80500000 - სატრენინგო მომსახურებები

ორეტაპიანი ტენდერის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება გამარ-ტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერისათვის დადგე-ნილი მონეტარული ზღვრების შესაბამისად.

ორეტაპიანი ტენდერი მოიცავს ორ ეტაპს:

პირველ ეტაპზე ხდება მიმწოდებლის ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობის დად-გენა სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებთან, რის შემდეგაც ხორციელდება შესყიდვის ობიექტის ხარისხის შეფასება.

მეორე ეტაპი მოიცავს მხოლოდ ელექტრონული ვაჭრობის დამატებით რაუნდებს.

ორეტაპიანი ტენდერის გამოცხადება

ორეტაპიანი ტენდერის შესახებ განცხადება უნდა მოიცავდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა იმ ინფორმაციას რაც ერთეტაპინი ტენდერებისათვის არის დაწესებული, ასევე მასში დამატებით უნდა აისახოს შემდეგი ინფორმაცია:

- მითითებას ორეტაპიანი ტენდერის შესახებ;
- შეფასების კრიტერიუმებს და მათთვის მინიჭებულ პრიორიტეტს.

შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია სისტემის მეშვეობით სატენდერო განც-ხადებაში მიუთითოს შეფასების კრიტერიუმები და თითოეული შეფასების კრიტერი-უმისთვის მინიჭებული პრიორიტეტის პროცენტული კოეფიციენტი, რომელიც გამო-იყენებული იქნება ორეტაპიან ტენდერში გამარჯვებულის გამოსავლენად.

სატენდერო წინადადების წარდგენა

ტენდერში მონაწილე სუბიექტები სატენდერო წინადადების წარდგენა უნდა განა-ხორციელონ ორეტაპიანი ტენდერის პირველ ეტაპზე. სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს ტექნიკურ დოკუმენტაციას და სატენდერო წინადადების ფასს. სატენდერო წინადადების ფასი მიმწოდებლის მიერ უნდა მიეთითოს მხოლოდ სისტემის შესაბამის ველში. ხარისხის შეფასების დასრულებამდე, სატენდერო წინადადების ფასი სისტე-მაში ხელმისაწვდომია მხოლოდ მისი წარმდგენი მიმწოდებლისათვის. სატენდერო წინადადების ფასის შეცვლა დაუშვებელია ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების დაწყებამდე. მიმწოდებლის მიერ ტექნიკურ დოკუმენტაციაში სატენდერო წინადადების ფასის მითითება გამოიწვევს ასეთი მიმწოდებლის დისკვალიფიკაციას.

ტექნიკური შესაბამისობის დადგენა

სატენდერო წინადადების წარდგენისათვის დადგენილი დროის ამოწურვის შემ-დეგ, შემსყიდველმა ორგანიზაციამ კანონმდებლობით დადგენილი წესით უნდა მოახდინოს ყველა მიმწოდებლის ტექნიკური დოკუმენტაციის სატენდერო განცხა-დებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან ტექნიკური შესაბამისობის დადგენა, რომლის დროსაც, საჭიროების შემთხვევაში, ხდება ტექნიკური დოკუმენ-ტაციის დაზუსტება.

მიმწოდებლის ტექნიკური დოკუმენტაციის სატენდერო განცხადებისა და სატენ-დერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან ტექნიკური შესაბამისობის დადგენის შემდეგ, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შესაბამისი სისტემური ღილაკის მეშვეობით ხდე-ბა იმ მიმწოდებლის დისკვალიფიკაცია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, ხოლო შესაბამისი სის-ტემური ღილაკის მეშვეობით ხარისხის შეფასებაზე დაიშვება ის მიმწოდებელი, რო-მელიც აკმაყოფილებს სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

ხარისხის შეფასება

ტექნიკური შესაბამისობის დადგენის შემდეგ, იწყება ხარისხის შეფასება, რომ-ლის დროსაც შემსყიდველი ორგანიზაცია აფასებს მიმწოდებლის სატენდერო წინა-დადებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს. სატენდერო წინადადების შეფა-სება ხდება სატენდერო კომისიის თითოეული წევრის მიერ ცალ-ცალკე, შესაბამისი ქულის მინიჭებით. აღნიშნული ქულების საშუალო არითმეტიკულის პრინციპით გა-მოყვანილი საბოლოო ქულა უნდა მიეთითოს სისტემის შესაბამის ველში. აღნიშნუ-ლის შედეგად სისტემა მოცემული ორეტაპიანი ტენდერის ფორმულის (შემდგომში – ფორმულა) მეშვეობით განალაგებს საუკეთესო სატენდერო წინადადების მქონე მიმწოდებლებს შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.

ორეტაპიანი ტენდერის ფორმულა: **PR = (max(SC)– Q*r/R) * A/P**

SC = P*S/A + Q*r/R

WP = A – PR

სადაც: P = სატენდერო წინადადების ფა-სის პრიორიტეტი

Q = ხარისხის პრიორიტეტი

R = ხარისხის მაქსიმალური ქულა

r = მიღებული ხარისხი

A = შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება

S = ეკონომია

SC=რანჟირების კოეფიციენტი

PR =მომგებიანი კოეფიციენტი

WP =მომგებიანი შეთავაზება

ელექტრონული ვაჭრობა

ხარისხის შეფასების დასრულებისთანავე იწყება ორეტაპიანი ტენდერის მეორე ეტაპი. მეორე ეტაპის დაწყებისთანავე პირველი ეტაპის შედეგები სისტემაში ხელ-

მისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. ორეტაპიანი ტენდერის მეორე ეტაპის დაწყებიდან მე-3 სამუშაო დღეს ტარდება ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი 3 რაუნდი. პირველ რაუნდში მიმწოდებლის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ფორმულით გათვალისწინებული რანჟირების კოეფიციენტის (SC) მეშვეობით. ყოველ რაუნდში პირველ შეთავაზებას აკეთებს ის მიმწოდებელი, რომელსაც ყველაზე დაბალი რანჟირების კოეფიციენტი მიენიჭა ხარისხის შეფასების ან წინა რაუნდის შედეგად, ხოლო ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის მიმწოდებელი, რომელსაც ყველაზე მაღალი რანჟირების კოეფიციენტი მიენიჭა ხარისხის შეფასების ან წინა რაუნდის შედეგად.

ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდების დროს სისტემა მიმწოდებელს აჩვენებს წინადადების ფასის იმ ოდენობას, რომლის დაკლებაც აუცილებელია რანჟირების კოეფიციენტის გასაუმჯობესებლად. ელექტრონული ვაჭრობის დასრულების შემდეგ, ორეტაპიანი ტენდერის მეშვეობით სახელმწიფო შესყიდვის მომდევნო პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

სახელმძღვანელო მუნიციპალიტის ქონებისა და ვალდებულებების მართვის შესახებ

თბილისი, საქართველო
2014

მოკლე შინაარსი

მუნიციპალური ქონებისა და ვალდებულებების მართვის სახელმძღვანელო მოიცავს მუნიციპალური ქონებისა და ვალდებულებების მართვასთან დაკავშირებული საკითხების ზოგად განხილვას, თუმცა ამავდროულად ფოკუსირებულია ახლადშექმნილ მუნიციპალიტეტებში მუნიციპალური ქონებისა და ვალდებულებების დანაწილებაზე. სახელმძღვანელო შემუშავდა USAID პროგრამა დემოკრატიული მმართველობა საქართველოში G3-ის მხარდაჭერით, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ ადგილობრივი თვითმმართველობების შესახებ რეფორმას, განსაკუთრებით კი, ხელი შეუწყოს რეფორმის პირველი ნაწილის - ტერიტორიული რეფორმის ეფექტიან და წარმატებულ იმპლემენტაციას. სახელმძღვანელო შემუშავებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით და მოიცავს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას.

კერძოდ, სახელმძღვანელო მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: მუნიციპალური ქონების ცნება და კატეგორიები, თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, მუნიციპალური ქონების მართვისა და განკარგვის პრინციპები, მუნიციპალური ქონების შეფასება და რეგისტრაცია, მუნიციპალური ქონების პრივატიზების ფორმები და წესი, მუნიციპალური ქონების სარგებლობის უფლებით გაცემის ფორმები და წესი, მუნიციპალური საწარმოების და არასამეწარმეო იურიდიული პირების დაფუძნება და მართვა, კერძო საჯარო პარტნიორობა, 2014 წლის თვითმმართველობის კოდექსის თანახმად ახლად შექმნილ თვითმმართველობებში ქონებისა და ვალდებულებების გამიჯვნის პრინციპები და წესი და სხვა.

მუნიციპალური ქონების ცნება და კატეგორიები

მუნიციპალური ქონება

საქართველოს თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად მუნიციპალიტეტების ქონებას განეკუთვნება ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელიც:

ა) კანონით არის მიკუთვნებული

ბ) სახელმწიფოს მიერ გადაცემულია

გ) ავტონომიური რესპუბლიკის მიერ გადაცემულია

დ) თავად მის მიერ შექმნილი ან შეძენილი ან რეგისტრირებულია.

იმის გათვალისწინებით რომ საქართველოში თვითმმართველობის ფორმირება დამოუკიდებლობის მოპოვებიდან რამდენიმე წელიწადში დაიწყო, კერძო სექტორის განვითარების პარალელურად, თვითმმართველობის ქონების ფორმირების წყაროს სახელმწიფოს ქონება წარმოადგენდა, რომელიც თვითმმართველობებს გადაეცემოდათ კანონის, საქართველოს მთავრობის ან ეკონომიკის სამინისტროს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

თვითმმართველობის კოდექსი, ისევე როგორც მისი წინამორბედი კანონი განსაზღვრავს ორი სახის ქონებას:

- ძირითად (განუსხვისებელ) ქონებას
- დამატებით ქონებას

ძირითადი ქონება წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის ქონებას, რომელიც არის თვითმმართველობის განხორციელების საფუძველი და რომელიც თვითმმართველობის ორგანომ შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ თავისი საჯარო ფუნქციებისა და უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. დაუშვებელია ძირითადი ქონების გასხვისება ან ქონების გამოყენება კრედიტორთა მოთხოვნის უზრუნველსაყოფად (გარდა იმ შემთხვევისა**,** როდესაც ქონებამ დაკარგა ფუნქციონალური დანიშნულება). სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ძირითადი ქონების სახეობათა ნუსხას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების ნუსხას ადგენს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 11 დეკემბრის #330 დადგენილება: ამ დადგენილების თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობის ძირიტად ქონებას განეკუთვნება:

- ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი მათზე დამაგრებული მიწის ფართობით, ასევე შესაბამისი ქონება, რომელიც აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული საქმიანობის განსახორციელებლად;
- დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე განლაგებული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები, ნაპირსამაგრი ნაგებობები;
- ადგილობრივი მნიშვნელობის შიდა სარგებლობის გზები, ხიდები, გვირაბები, ქუჩები, მიწისქვეშა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე განათების კონსტრუქციები და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტები;
- ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებისათვის და სამოქალაქო თავდაცვის ობიექტების (თავშესაფრების) განთავსებისათვის აუცილებელი ქონება.

დამატებითი ქონება წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის ქონებას, რომელიც არ არის ძირითადი ქონების ნაწილი და თვითმმართველობის ორგანომ შეიძლება გამოიყენოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დამატებითი ქონების გასხვისება შესაძლებელია.

დამატებით ქონებას წარმოადგენს თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული:

- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (გარდა ძირითად ქონებაზე დამაგრებული მიწისა);
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა. მუნიციპალურ საკუთრებად არ ითვლება ის დაურეგისტრირებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, რომელზეც წარდგენილია განცხადება სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირების თაობაზე;
- ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის რესურსი;
- ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსი
- უძრავი ქონება (გარდა ძირითადი ქონებისა)-შენობა ნაგებობები;
- მოძრავი ქონება: ავტომობილები, მანქანა-დანადგარები და ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი, კავშირგაბმულობის საშუალებები და ა.შ.;
- არამატერიალური ქონება (ინტელექტუალური საკუთრება, ქონებასთან დაკავშირებული უფლებები და ა.შ).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, უძრავი ქონება საკუთრებად ითვლება მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ. საკუთრების უფლების რეგისტრაცია ხორციელდება უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის, საკადასტრო მონაცემების და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თანხმობის საფუძველზე. ამასთან, თვითმმართველობის პრობლემატიკაზე არსებული კვლევების ანალიზი და საჯარო რეესტრის მონაცემები ცხადყოფს, რომ მუნიციპალიტეტებს ძირითადად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და ქონება აქვთ დარეგისტრირებული. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსებს, პრაქტიკულად, არ მომხდარა მათი თვითმმართველობებისთვის გადაცემა სხადასხვა მიზეზის გამო. ამ მიზეზებს შორის არის: ხარვეზები საკანონმდებლო რეგულაციებში, ქონების შესახებ მონაცემების ნაკლებობა, რეგისტრაციის ხარჯები.

ის უძრავი ქონება, რომელიც თვითმმართველობების კანონის საფუძველზე გადაეცათ და/ან ერიცხებად ბალანსზე, ამასთან არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში განიხილება არამატერიალურ ქონებრივ სიკეთედ.

თვითმმართველი ერთეულის ქონების მართვის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა

თვითმმართველი ერთეულის/მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელება ქონების შექმნის, ფლობის, სარგებლობისა და ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში, რეგულირდება **საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით**“, საქართველოს კანონით „**საქართველოს სამოქალაქო კოდექსით**“, საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს კანონით „საჯარო რეესტრის შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილებით - მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით - საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 152-ე მუხლის საფუძველზე შექმნილი ახალი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შედგენის, საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების, 2014 წლის ბოლომდე პერიოდისთვის, გადანაწილების დროებითი წესით და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებით.

საქართველოს კონსტიტუცია, როგორც სახელმწიფოს უზენაესი კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითად პრინციპებს და განამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებას ჰქონდეს საკუთარი ქონება და ფინანსები.

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი - 2014 წელს განხორციელებული ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმისას კანონმდებელმა მოახდინა ადგილობრივი თვითმმართველობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების სისტემატიზაცია და მუნიციპალური სამართლის კოდიფიკაციის გზით ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიღება. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესებს.

საქართველოს კანონი საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - განსაზღვრავს სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს, მათ უფლებებს ქონებაზე, ქონებისა და კომერციული და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ცნებების ლეგალურ დეფინიციას.

საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ - ადგენს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტთა სამართლებრივ ფორმებს, მათი დაფუძნებისა და რეგისტრაციის ძირითად პირობებს, საწარმოს პარტნიორთა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირთა უფლებებსა და მოვალეობებს და მათ პასუხისმგებლობას.

საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“ – განსაზღვრავს ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე კანონმდებლობით განსაზღვრული უფლების წარმოშობის, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების კანონით განსაზღვრული სავალდებულო სარეგისტრაციო მონაცემების, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაციის წესსა და პირობებს, უძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და სამისამართო რეესტრების წარმოების სამარლებრივ საფუძვლებს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება - **მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესი** - განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად მუნიციპალიტეტების გაყოფის შედეგად შექმნილი ახალი მუნიციპალიტეტებისთვის გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების (გადაცემა/უფლებამონაცვლის განსაზღვრა) ძირითად პრინციპებსა და პროცედურებს.

საქართველოს მთავრობის დადგენილება - საქართველოს ორგანული კანონის **„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 152-ე მუხლის საფუძველზე შექმნილი ახალი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შედგენის, საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების, 2014 წლის ბოლომდე პერიოდისთვის, გადანაწილების დროებითი წესი -** განსაზღვრავს ახალ მუნიციპალიტეტებს შორის გადასახდელებისა და შემოსულობების გადანაწილების, ახალი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებისათვის გათანაბრებითი ტრანსფერის გაანგარიშების საჭირო მონაცემების დადგენისა და ბიუჯეტის დამტკიცების დროებითი წესებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგული ნორმატიული აქტები

მოახდინა რა მუნიციპალური სამართლის მარეგულირებელი ნორმების კოდიფიცირება, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსმა ძალადაკარგულად გამოაცხადა შემდეგი საკანონმდებლო აქტები:

- „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი;
- „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „საქართველოს დედაქალაქის — თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონი.

ამასთან, არ დაუშვა რა სამართლებრივი ვაკუუმის არსებობა და ზემოაღნიშნული საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან იურიდიული ძალა შეუნარჩუნა მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებს ამ აქტების უფლებამოსილი ორგანოების მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაუქმებამდე.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით მისაღები ნორმატიული აქტები

თვითმმართველობის კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობას, იუსტიციის სამინისტროს და შესაბამისი მუნიციპალიტეტების საკრებულოებს კანონით განსაზღვრულ ვადებში დაევალა შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღება.

საქართველოს მთავრობის მიერ შესამუშავებელი აქტები და მათი მიღების ვადები:

- 2014 წლის 1 ივლისი - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესი;
- 2014 წლის 1 ივნისი - მუნიციპალიტეტის გერბის, დროშისა და სხვა სიმბოლოების დადგენისა და გამოყენების წესი;
- 2014 წლის 1 ივნისი - მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის წესი;
- 2014 წლის 1 ივნისი - ქონების პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, აგრეთვე ანგარიშსწორების წესი;
- 2014 წლის 31 დეკემბერი - **მუნიციპალიტეტს, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასა და მიმწოდებელ კერძო სამართლის სუბიექტებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის პირობების განსაზღვრისათვის შესაბამისი საკანონმდებლო აქტის მომზადება და პარლამენტში წარდგენა;**.
- 2015 წლის 1 იანვარი - საქართველოს კანონის პროექტი ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის დამატებითი ფორმების შექმნის შესახებ;
- 2016 წლის 1 იანვარი - საქართველოს კანონის პროექტი ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და მიწის რესურსების განსაზღვრის შესახებ;
- 2015 წლის 1 იანვრი - სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა სრულად გამიჯვნისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, ასევე საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებათა დელეგირების მიზნით შესაბამისი სფეროების განსაზღვრა და საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო აქტის პროექტის წარდგენა.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შესამუშავებელი აქტი და მისი მიღების ვადა

- 2014 წლის 1 ივლისი - სარეგისტრაციო მონაცემების მიხედვით მუნიციპალიტეტის რეგისტრაციის, სარეგისტრაციო მონაცემების განახლებისა და გამოქვეყნების წესი.

შესაბამისი მუნიციპალიტეტების საკრებულოების შესამუშავებელი აქტები

- 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან 6 **თვე - ნორმატიული აქტების შესაბამისობაში მოყვანა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან.**

მუნიციპალური ქონების მართვის და განკარგვის პრინციპები

ქონების მართვა არის სისტემატური პროცესი, რომელიც მიმართულია ფიზიკური აქტივების ოპერირების, შენახვას, განახლებას და შეძენის საკითხებთან. ქონების მართვის მთავარ მიზანს წარმოადგენს მოსახლეობისათვის სერვისების ეფექტიანი (მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგი) მიწოდება.

საქართველოში მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში ჩამოყალიბებულია ქონების მართვის სამსახურები (გამგეობის სტრუქტურაში სამმართველოს ან განყოფილების სახით), თუმცა ქონების მართვის თანამედროვე პრინციპები სათანადოდ არ არის დანერგილი. ამის მიზეზებს წარმოადგენს ერთი მხრივ, არასათანადო ცოდნა და გამოცდილება ქონების მართვის თანამედროვე მიდგომების შესახებ, მეორე მხრივ მუნიციპალიტეტების მიერ არასაკმარისი ქონების ფლობა სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად.

სახელმძღვანელოს ამ თავის მიზანია თვითმმართველობის თანამშრომლებს გაუღრმავოს ცოდნა ქონების მართვის თანამედროვე მიდგომების შესახებ და მიაწოდოს იმ ღონისძიებათა ნუსხა რომლებიც აუცილებელია ეფექტიანი ქონების მართვის განსახორციელებლად მათ სამოქმედო ტერიტორიაზე.

ქონების მართვის თანამედროვე პრინციპების დანერგვა აუცილებელია, ვინაიდან არსებობს მზარდი საჭიროებები:

- არსებული ინფრასტრუქტურა ამორტიზირდება;
- გაზრდილია მოთხოვნა უკეთეს გზებზე, ხიდებზე, ტროტუარებზე, განათებაზე და უკეთეს კომუნალურ მომსახურებაზე;
- უსაფრთხოების და ჯანდაცვის უკეთესი სტანდარტები;
- გარემოს დაცვის საკითხები;
- რეგულაციები;

ქონების მართვა ხელს უწყობს პოლიტიკის ამოცანების და შედეგების ინდიკატორების ჩამოყალიბებას, თავიდან გვაცილებს პრობლემებს და პოტენციურ კრიზისს, მოსახლეობას აწვდის უკეთეს და თანამიმდევრულ სერვისს და ამცირებს ქონების შენახვის ხარჯებს.

ქონების მართვის თანამედროვე პრინციპები ემყარება ორ ძირითად მიდგომას: ქონება შეიძლება განილულ იქნას როგორც აქტივების «პორტფელი» ან ინფრასტრუქტურა, რომელიც განკუთვნილია სერვისების მიწოდებისათვის და გადის სასიცოცხლო ციკლს. ორივე ეს მიდგომა («პორტფელის» მართვა და სასიცოცხლო ციკლი) მნიშვნელოვანია და ურთიერთშემავსებელია ქონების მართვის ქონტექსტში.

პორტფელის მართვა

“პორტფელის” მართვისას ქონება წარმოადგენს მთლიანი პორტფელის ნაწილს, რომელიც თავის მხრივ გამოხატავს მუნიციპალიტეტის მთლიან სიმდიდრეს. “პორტფელის” მართვის კონტექსტში ხდება ქონების (აქტივების) შედარება და ხდება იმის განსაზღვრა, თუ რომელი წარმოადგენს მოსახლეობისათვის ძირითადი სერვისების მიწოდების მატერიალურ ბაზას. სწორედ ეს განსაზღვრავს მუნიციპალიტეტისთვის

გადაწყვეტილების მიღებას ქონების (აქტივის) შეძენის, ფლობის, გამოყენების და განახლების მიმართულებით.

ქონების, როგორც «პორტფელის» მართვის პრინციპი საქართველოს კანონმდებლობაშიც არის ასახული. თვითმმართველობის კოდექსი ქონებას სწორედ ძირითად (ძირითადი სერვისების მიწოდებისთვის აუცილებელი მატერიალური ბაზა) ქონებად და დამატებით ქონებად აჯგუფებს. დამატებითი შეზღუდვა, რაც კანონმდებლობას შემოაქვს არის ის, რომ ძირითადი ქონების გასხვისება შეუძლებელია, მანამ სანამ არ დაკარგავს ექსპლუატაციისთვის აუცილებელ თვისებებს.

"პორტფელის" მართვის დროს თვითმმართველობის ქონების აღნუსხვა და მართვა ხდება ორ განზომილებაში. მატერიალურ ფორმასთან და დანიშნულებასთან ერთად, აღნუსხვა ხდება ფინანსური კუთხითაც, რაც ქართულ რეალობაში მუნიციპალიტეტის მიერ ბალანსის წარმოების ანალოგიურია. შესაძლებელია თვითმმართველობამ გაყიდოს ქონების ნაწილი რათა მოახდინოს ქონების მეორე ნაწილში ინვესტირება (მაგალითად სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების კეთილმოწყობა). მართალია ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის ქონების "პორტფელი" რაოდენობრივად შემცირდა, მაგრამ ფინანსურად იგივე დარჩა ან გაიზარდა (გარემონტებული აქტივების-კეთილმოწყობილი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ღირებულება გაიზარდა).

"სიცოცხლის ციკლის" მართვა

ეს მიდგმა გულისხმობს აქტივების (ქონების) მართვას მისი სასიცოცხლო ციკლის მიხედვით. მუნიციპალიტეტის ქონების ექსპლოატაციის ვადა შეიძლება იყოს 10 წელი (მაგალითად ავტობუსი) ან რამდენიმე საუკუნე (მაგალითად სოფელსა და თვითმმართველობის ცენტრს შორის დამაკავშირებელი გზა). სიცოცხლის ციკლი დაკავშირებულია ქონების შექმნის, შეძენის, გამოყენების, ექსპლუატაციის ასპექტებთან თითეული აქტივის სასიცოცხლო ციკლის პერიოდში.

ყველა აქტივს გააჩნია მონეტარული ღირებულება. ამ ღირებულების საფუძველზე განისაზღვრება რე-ინვესტირების მიზანშეწონილობა და მასშტაბი. ქონების ღირებულების მიხედვით დგება რეაბილიტაციის ან მისი შეცვლის სტრატეგია.

აქტივის სიცოცხლის ციკლი შემდეგნაირად გამოიყურება:



ქონების მართვის პროცესი ოთხ ასპექტს მოიცავს. ესენია 1. ინვენტარიზაცია, 2. ანალიტიკური ანგარიშგება, 3. პორტფელის მართვა და 4. აქტივების სტრატეგია და იმპლიმენტაცია

ქონების მართვის პროცესი სქემატურად მოცემულია ქვემოთ:

ინვენტა-რიზაცია

თვითმმართველობის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული ქონების ნუსხა, მათ შორის იმ ქონებისა რომელიც იჯარით ან სხვა ფორმით არის გადაცემული დაქვემდებარებულ იურიდიულ პირებზე ან კერძო პირებზე

ანალიტი-კური აღ-რიცხვა

- ქონების მართვის და აღრიცხვის სისტემის ჩამოყალიბება (მათ შორის ქონების ფლობასთან (საკუთრება იჯარა) დაკავშირებული შემოსავალი, ხარჯი
- თითეული ქონების (აქტივის) ღირებულება, მათ შორის მიბმული ვალდებულება
- ქონების თითოეულ მეიჯარესთან/ მეწილესთან სათანადო ხელშეკრულების გაფორმება
- კერძო სექტორის მიერ ქონების მართვის პრინციპების მუნიციპალური ქონების მართვაში დანერგვა

პორტ-ფელის მართვა

- ქონების როლის გამოკვეთა მუნიციპალიტეტის სტრატეგიული მიზნების მიღწევაში
- აქტივების კლასიფიკაცია თვითმმართველობის ფუნქციების მიხედვით
- აქტივების ფინანსური მახასიათებლების მონიტორინგი (შემოსავალი, ხარჯი)
- გამჭვირვალე წესების შემუშვება ქონების იჯარით ან სარგებლობის სხვა ფორმით გაცემისთვის
- აქტივებში ინვესტირების საშუალოვადიანი მიდგომის გამოყენება (კაპიტალური ბიუჯეტირება)
- აქტივების მართვის პასუხისმგებელი პირების გამოკვეთა და მათ მიერ რეგულარული რეპორტინგი

სტრატე-გია და იმპლე-მენტაცია

- აქტივების მართვის სტრატეგიის ჩამოყალიბება
- აქტივების შეძენის/განახლების/ექსპლუატაციის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება
- ქონების ეფექტიანი გამოყენებისათვის სტიმულების შექმნა (პრემირების სისტემა, სსიპ-ებისთვის და აიპებისთვის გადაცემა/ჩუქება და ა.შ)

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ქონების მართვის თანამედროვე სისტემის დანერგვა საკმაოდ ამბიციური გეგმაა და მოითხოვს მნიშვნელოვან დროს. ასევე, აუცილებელია თვითმმართველობის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების შეთანხმებული მუშაობა, ისევე როგორც სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების დახმარება.

თვითმმართველობის ქონების მართვის პროცესში ცალკე არის გამოსაყოფი საჯარო სამართლის იურიდიული პირების და არაკომერციული იურიდიული პირების მართვა. სსიპ-ები და აიპ-ები სწორედ მუნიციპალური სერვისების მიწოდებისთვის არიან შექმნილნი და მათთვის გადაცემული ან საკუთრებაში არსებული ქონება უნდა იქნას განხილული ერთიან კონტექსტში.

ქონების მართვის ერთიან კონტექსტში უნდა იქნას განხილული ის ქონებაც, რომელიც პრივატიზებულია, თუმცა მყიდველს კონტრაქტით გააჩნია გარკვეული ვალდებულებები თვითმმართველობის მიმართ.

ინვენტარიზაციას ჩატარებას და მის ვადებს და პერიოდულობას, რომელიც ქონების მართვის პირველად რგოლს წარმოადგენს, მომდევნო თავში აქვს დათმობილი ადგილი, ამიტომ აქ ყურადღებას არ შევაჩერებთ ამ საკითხზე.

ინვენტარიზაციის შემდგომ ხდება აქტივების დაჯგუფება დანიშნულების მიხედვით:

1. ძირითადი ქონება, რომელიც განკუთვნილია თვითმმართველობის ფუნქციების განხორციელებისათვის
2. დამატებითი ქონება - ნებაყოფლობით ფუნქციების შესრულებისათვის (მაგალითად ჯანდაცვის ან სოციალური მომსახურებისათვის განკუთვნილი ინფრასტრუქტურა)
3. “ჭარბი” შემოსავლის მომტანი ქონება, რომელიც არ არის დაკავშირებული ძირითადი ან ნებაყოფლობითი სერვისების მიწოდებასთან (მაგალითისათვის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობები, მანქანა-დანადგარები, სასოფლო სამეურნეო ტექნიკა და ა.შ).

ქონების დაჯგუფების შემდეგ ხდება პოლიტიკის ჩამოყალიბება აქტივის თითოეული ჯგუფის მიმართ.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ძირითადი აქტივების გასხვისება დაუშვებელია, თუმცა მისი იჯარით გაცემა შესაძლებელია; იჯარის გაცემით დროს ბიუჯეტში ხდება დამატებითი შემოსავლების მოზიდვა. ძირითადი ქონების შენახვაზე ხარჯების მინიმიზაციის მიზნით ასევე შესაძლებელია სერვისის მომსახურე პერსონალის ოპტიმიზაცია და გამოთავისუფლებული ფართის იჯარით გაცემა, იმის გათვალისწინებით, რომ ძირითადი ქონება ადმინისტრაციულ ცენტრში მდებარეობს. ეს ასევე წაახალისებს ეკონომიკურ აქტივობას ადგილობრივ დონეზე. ასევე, ძირითადი ქონების გამოყენება შესაძლებელია «ნებაყოფლობითი» ფუნქციების შესასრულებლად, მაგალითად ბიზნეს-ინკუბატორების ან ტურისტული სერვის ცენტრების ჩამოსაყალიბებლად.

დამატებითი ქონების გამოყენების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით შეიძლება შემოღებულ იქნას მისი შენახვის თანადაფინანსების სისტემა, რომელიც სერვისის მომხმარებლებს დააკისრებს გარკვეული საფასურის გადახდას. ეს გამართლებულია, ვინაიდან დამატებითი ქონების მეშვეობით არ ხდება თვითმმართველობის ძირითადი საქმიანობის განხორციელება. ასევე, შესაძლებელია დამატებითი ქონება გაცემულ იქნეს იჯარით.

ე.წ. «ჭარბი“ ქონება შესაძლებელია გაიცეს იჯარით ან მოხდეს მისი პრივატიზება. საქართველოს მაგალითზე თვითმმართველობები ძირითადად ახდენენ ჭარბი ქონების რეალიზაციას, რაც ბიუჯეტის შემოსულობების ფორმირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ქონების პრივატიზების შემთხვევაში მნიშვნელოვანია გაკეთდეს გაანგარიშება ქონების ფლობასთან დაკავშირებული ხარჯების და შემოსავლების შესახებ. თუ შემოსავლები აღემატება შენახვის ხარჯებს და შემოსავლის მიღება

გრძელვადიან პერიოდშია შესაძლებელი, უმჯობესია თვითმმართველობებმა დაიტოვონ ქონება, ვიდრე მიიღონ მისი გაყიდვიდან ერთჯერადი ფისკალური ეფექტი.

ქონების იჯარით გაცემის და პრივატიზების პროცესი მოითხოვს გამჭვირვალობის და საჯაროობის უზრუნველყოფას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია თვითმმართველობებმა ქონების განკარგვის დროს გამოიყენონ გამჭვირვალობა და საჯაროობა და უზრუნველყონ განსაკარგავი ქონების შესახებ ინფორმაციის განთავსება ელექტრონულად, ასევე ინფორმაციის გავრცელების სხვა მასობრივი საშუალებებით.

საჯარო-კერძო პარტნიორობა

თვითმმართველობის ქონების ეფექტიანი მართვის ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს საჯარო-კერძო პარტნიორობა.

საჯარო-კერძო პარტნიორობა არის ინსტუტიციური შეთანხმება საჯარო და კერძო სექტორის პარტნიორებს შორის, რომელიც ტრადიციულთან შედარებით უფრო ინტენსიური თანამშრომლობის საშუალებას იძლევა. საჯარო-კერძო პარტნიორობა ყალიბდება როდესაც საჯარო სექტორის ორგანიზაციები (ცენტრალურ, რეგიონულ ან მუნიციპალურ დონეზე) კერძო სექტორის წარმომადგენლებთან (კომპანიები, ფონდები, აკადემიური ინსტიტუტები) შედიან ბიზნეს ურთიერთობებში რათა მიაღწიონ ერთობლივ მიზანს, რომელიც ასევე მისაღებია მონაწილე მხარეებისთვის. საჯარო-კერძო პარტნიორობა საშუალებას აძლევს სახელმწიფოს განავითაროს თანამედროვე ეფექტური სერვისები და ინფრასტრუქტურა ამასთან იყოს ანგარიშვალდებული გადასახადის გადამხდელებთან.

საჯარო-კერძო პარტნიორობა ფართოდ არის გავრცელებული აშშ-ში და ევროპის ბევრ ქვეყანაში. თვითმმართველობის მიერ კერძო კონპანიის დაქირავება ხდება ობიექტის ან სისტემის განახლების, აშენების, ოპერირების, მოვლის ან მართვის მიზნით. საჯარო-კერძო პარტნიორობის კარგი მაგალითია სითი-პარკი ქალაქ თბილისში, რომელიც უზრუნველყოფს პარკირების ორგანიზებას დედაქალაქში და მომსახურების სანაცვლოდ, იტოვებს პარკირების მოსაკრებლის ნაწილს. (????)

მუნიციპალური ინვესტიციების განხორციელება და პროექტების თანამედროვე შეფასების მეთოდები

ქონების მართვის ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს მუნიციპალური ინვესტიციების განხორციელება. მუნიციპალური ინვესტიციების დაგეგმვის და განხორციელების ეტაპზე გამოიყენება ფინანსური და ეკონომიკური ანალიზი.

ფინანსური ანალიზი ხორციელდება იმისთვის, რომ დადგინდეს რამდენად მომგებიანია ინვესტირება კომერციული თვალსაზრისით.

ეკონომიკური ანალიზი ხორციელდება სახელმწიფოს/თვითმმართველი ერთეულის მიერ, რათა დადგინდეს რამდენად სასარგებლო იქნება ინვესტიცია საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის. ეკონომიკური ანალიზი მოიცავს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ყველა რესურსის ხარჯს და მისი შედეგებით გამოწვეულ ყველა სარგებელს ისე, რომ ისინი ასახავდნენ რეალურ ეკონომიკურ ხარჯს და რეალურ ეკონომიკურ სარგებელს. ეკონომიკური ანალიზის პროცესი სქემატურად მოცემულია ქვემოთ, დიაგრამაზე:

საფეხური 1: პროექტის იდენტიფიცირება, ტექნიკური და მოთხოვნის ანალიზი	რა არის პროეტის ტექნიკური მახასიათებლები? რა პოტენციური მოთხოვნის დააკმაყოფილებას აპირებს პროექტი?
საფეხური 2: ფინანსური ანალიზი, დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი	ფინანსური მდგრადობისა და უკუგების დათვლა
საფეხური 3: ფისკალური ეფექტების კორექცია	ეკონომიკურ ანალიზში განაკვეთები, გადასახადები, სუბსიდიები და სხვა ფისკალური ეფექტები არ გაითვალისწინება. საზოგადოეფის კუთხიდან ეს არის ტრანსფერი და არა ფულადი ნაკადი
საფეხური 4: პოზიტიური და ნეგატიური გარე ფაქტორების დათვლა	პროექტის გარეგანი ეფექტების აღწერა და მონეტარიზაცია
საფეხური 5: საბაზრო ფასებიდან ჩრდილოვან ფასებამდე	ჩრდილოვანი ფასების გამოყენება ალტერნატიული დანახარჯის დასათვლელად
საფეხური 6: პროექტის ეკონომიკური უკუგების დათვლა	სოციალური დისკონტის განაკვეთის გამოყენება ხარჯებისა და სარგებლის ნაკადების დისკონტირებისათვის. წმინდა მიმდინარე ღირებულებისა და შიდა უკუგების განაკვეთის დათვლა

ფინანსური ანალიზი შედგება სამი ნაწილისაგან:

- ცხრილების შექმნა ფულადი ნაკადების ანალიზისთვის;
- ფინანსური შესაძლებლობების შეფასებას (მდგრადობის შემოწმებას);
- ფინანსური სარგებლის შეფასება კერძო ინვესტორის ამპლუიდან.

ინვესტიციები უკუგებას ზოგჯერ ადრე იძლევა ზოგჯერ გვიან. უნდა შეგვეძლოს გამოვთვალოთ და შევადაროთ ხარჯი და სარგებელი მაშინაც კი, როდესაც ისინი დროის სხვადასხვა პერიოდში არიან მოცემულნი. დღეს ერთი ლარი უფრო ძლიერია ვიდრე ერთი წლის შემდეგ იქნება. შესაბამისად დღეს ლარი უფრო ეფექტურად შეიძლება იქნას ინვესტირებული.

დღევანდელი ღირებულება P იმ ფულისა რომელიც n პერიოდის ბოლოს უნდა მივიღოთ შეიძლება გამოითვალოს შემდეგი ფორმულით:

$P=F_n(1/(1+r)^n)$

სადაც r არის საპროცენტო განაკვეთი. ამ ფორმულის მეშვეობით ხდება ფულის დროითი ღირებულების დადგენა.

თვითმმართველობებმა ქონების მართვის პროცესში ასევე შეიძლება გამოიყენონ დასავლურ ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული მეთოდი, რომელიც **ხარჯისა და სარგებლის ანალიზის** (CBA) სახელით არის ცნობილი.

ხარჯისა და სარგებლის ანალიზი - არის საჯარო ინვესტიციების შედეგის ეკონომიკური შეფასების მეთოდი. თუმცა CBA მეთოდოლოგია იგივე წარმატებით შეიძლება გამოყენებული იყოს კერძო პროექტების შეფასებისთვის. CBA გვეხმარება სხვადასხვა ეკონომიკური მიზნების პრიორიტეტიზაციაში, რათა ოპტიმალურად გადავანაწილოთ არსებული რესურსები.

CBA შეიძლება გამოყენებული იქნეს როგოც ახალი პროექტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთვის, ასევე მიმდინარე პროექტის შეფასებისთვის. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ახალი პროექტების შეფასებაზე, ე.ი. წინა საინვესტიციო ფაზაზე.

ხარჯისა და სარგებლის ანალიზში ხდება:

- ეკონომიკური ეფექტის პროგნოზირება;
- მათი დათვლა შესაბამისი მეთოდოლოგიებით;
- ეკონომიკური ეფექტების მონეტარიზაცია;
- ეკონომიკური უკუგების დათვლა, შესაბამისი ინდიკატორების გამოყენებით.

მუნიციპალური ქონების აღრიცხვა და ინვენტარიზაცია

ქონების აღრიცხვა და ინვენტარიზაციას არეგულირებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის #605 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია «საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ».

ინვენტარიზაციას ექვემდებარება თვითმმართველობის ბალანსზე რიცხული აქტივები (მატერიალური და არამატერიალური ქონება) და ვალდებულებები აგრეთვე, იჯარით აღებული ძირითადი აქტივები, ამორტიზებული ძირითადი აქტივები და ჩამოწერილი და ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგები.

ინვენტარიზაციის მიზანი

ინვენტარიზაციის მიზანს წარმოადგენს ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი, აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა, გამოუყენებელი აქტივების გამოვლენა, აქტივების შენახვის წესების და პირობების შემოწმება, ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმება აგრეთვე ფაქტობრივი ნაშთების შედარება სააღრიცხვო მონაცემებთან.

ინვენტარიზაცის პერიოდულობა

ინვენტარიზაცია მუნიციპალიტეტში უნდა ჩატარდეს ყოველწლიურად, შედეგები კი აისახოს მის წლიურ ბალანსში. ამასთან, უძრავი ქონების ინვენტარიზაცია უნდა მოხდეს 3 წელიწადში ერთხელ, ხოლო საბიბლიოთეკო ფონდებისა - 5 წელიწადში ერთხელ. გასაუქმებელ მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია ჩატარდება სალიკვიდაციო ბალანსის შედგენის წინ. ინვენტარიზაცია ასევე ტარდება აქტივების დატაცების ან სტიქიური უბედურების შემდგომ.

ინვენტარიზაციის ჩატარების ვადები

ძირითადი აქტივების და სტრატეგიული მარაგების ინვენტარიზაცია ხდება საბიუჯეტო წლის ბოლოს, ოქტომბრიდან.

- ნედლეულის და მასალების ინვენტარიზაცია ხორციელდება წელიწადში ორჯერ.
- დაუმთავრებელი წარმოების/მომსახურების, სათადარიგო ნაწილების ინვენტარიზაცია ხორციელდება საბიუჯეტო წლის ბოლოს, ოქტომბრიდან.
- ფულადი ანგარიშების და ფულადი დოკუმენტების ინვენტარიზაცია ხორციელდება კვარტალში ერთხელ.
- საწვავის ინვენტარიზაცია უნდა მოხდეს ყოველთვიურად.
- მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია ხორციელდება საბიუჯეტო წლის ბოლოს, ნოემბრიდან
- ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია უნდა მოხდეს წელიწადში ორჯერ.

ინვენტარიზაციის ჩატარების ზოგადი წესი

საინვენტარიზაციო კომისია იქმნება გამგებლის/მერის ინდივიდიალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე. სავალდებულო (ყოველწლიური) ინვენტარიზაციის ჩატარებისას კომისია კომპლექტდება 5 წევრისაგან, მათ შორის ერთი წარმოადგენს კომისიის თავმჯდომარეს. კომისიის წევრები შედგება გამგეობის/მერიის საშტატო თანამშრომლებისაგან, ამასთან მატერიალურად პასუხისმგებელი პირი არ შეიძლება იყოს კომისიის წევრი.

- საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარე განსაზღვრავს კომისიის წევრების ფუნქციებს და პასუხისმგებელია ინვენტარიზაციის ვადების და წესების დაცვაზე.
- საინვენტარიზაციო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროების შემთხვევაში შეიძლება მოწვეულ იქნას კვალიფიციური ექსპერტი/აუდიტორი. ეს შეიძლება განხორციელდეს ბალანსზე რიცხული აქტივების შეფასების ან გადაფასების მიზნით.
- ინვენტარიზაციის ბრძანებაში მიეთითება ინვენტარიზაციის დაწყებისა და დასრულების ვადები, თავმჯდომარეს გადაეცემა საკონტროლო ლუქი.
- კომისიის წევრებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა საინვენტარიზაციო აღწერაზე, მონაცემების სიზუსტეზე, დანაკლისის ან ზედმეტობის დაფარვაზე
- ინვენტარიზაციის ჩატარება კომისიის წევრთა არასრული შემადგენლობით დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში ინვენტარიზაციის შედეგები ითვლება ბათილად.

საინვენტარიზაციო კომისიის ვალდებულება

ინვენტარიზაციის დაწყებამდე კომისიამ უნდა დალუქოს აქტივების შენახვის ადგილები, გასინჯოს ყველა საზომი ხელსაწყოს ვარგისიანობა. კომისიამ უნდა მიიღოს შემოსავალ-გასავლის საბუთების ბოლო რეესტრი ან ანგარიშები აქტივების მოძრაობის შესახებ; ასევე, უნდა მიიღოს საინვენტარიზაციო აღწერილობებთან დაკავშირებით მატერიალურად პასუხისმგებელი პირების ხელმოწერები იმის შესახებ, რომ ინვენტარიზაციის დაწყებამდე ყველა შემოსავლისა და გასავლის დოკუმენტი ჩაბარებულია ბუღალტერიაში, ყველა მიღებული აქტივი ასახულია შემოსავალში, ხოლო გაცემული – გასავალში; ანალოგიური ხელმოწერები უნდა იქნეს მიღებული იმ პირებისგან, რომლებზედაც თანხები გაცემულია საქვეანგარიშოდ;

საინვენტარიზაციო კომისია აღწერას ახორციელებს მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით. აღწერილი აქტივები საინვენტარიზაციო აღწერაში შეიტანება იმ საზომ ერთეულებში, რომლებშიც წარმოებს მათი აღრიცხვა.

იმ აქტივების შემოწმება რომლებიც იმყოფება მიმწოდებლის მიერ შეფუთულ მდგომარეობაში დაუზიანებლად, შეიძლება განისაზღვროს არსებული დოკუმენტების საფუძველზე, მათი შერჩევითი შემოწმებით. დასაყრელი მასალის წონის განსაზღვრა დასაშვებია აზომვისა და ტექნიკური გაანგარიშებების საშუალებით.

აზომვების და გაანგარიშების აქტი და აწონვის უწყისები თან უნდა დაერთოს საინვენტარიზაციო აღწერას. საინვენტარიზაციო აღწერები ხელმოწერილ უნდა იქნეს კომისიის ყველა წევრისა და მატერიალურად პასუხისმგებელი პირების მიერ.

აღწერის ბოლოს, მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ხელს აწერს დოკუმენტს მასზედ, რომ კომისიამ აქტივები შეამოწმა მისი თანდასწრებით, კომისიის წევრებთან არა აქვს პრეტენზია და აღწერილ აქტივებს იღებს პასუხისმგებლობის ქვეშ შესანახად; ხოლო, თუ მატერიალურად პასუხისმგებელ პირს კომისიის წევრებთან და აღწერის შედეგებთან გააჩნია პრეტენზია, ამის შესახებ უნდა მიეთითოს ინვენტარიზაციის შედეგების აქტში.

ფინანსური და არაფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების, ასევე, ბალანსის საცნობარო მუხლების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეთითოს ინვენტარიზაციის პერიოდის თვის პირველი რიცხვის მდგომარეობით.

თუ საინვენტარიზაციო აღწერა ერთი დღის განმავლობაში არ დასრულდა, ის უნდა დამთავრდეს მომდევნო დღეებში. ამ შემთხვევაში აქტივების შენახვის ადგილი უნდა დაილუქოს.

გამოუყენებელ და არასრულფასოვან აქტივებზე კეთდება ცალკე აღწერები და ასეთი აქტივები შენახვის ადგილებზე თავსდება განცალკევებულად. უვარგისად ქცეულ აქტივებზე შედგება ცალკე აღწერა, ხოლო ინვენტარიზაციის შედეგების აქტში მიეთითება უვარგისად ქცევის მიზეზი და პირი, რომლის ბრალეულობითაც იქცა აქტივი უვარგისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ინვენტარიზაციის დასრულების შემდეგ ყველა მასალა გადაეცემა ორგანიზაციის ხელმძღვანელობას.

ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია

საინვენტარიზაციო კომისია ინვენტარიზაციის დაწყებამდე ამოწმებს საინვენტარო ბარათების არსებობას, ტექნიკური პასპორტების ან/და სხვა ტექნიკური დოკუმენტაციის არსებობას/მდგომარეობას.

ძირითადი აქტივების (შენობა-აგებობები, მიწა) ინვენტარიზაცია ხორციელდება აქტივების ფიზიკურად დათვალიერების გზით და საინვენტარიზაციო აღწერილობებში შეიტანება სრული დასახელებით, დანიშნულებით, საინვენტარო ნომრითა და ძირითადი ტექნიკური ან საექსპლუატაციო მაჩვენებლებით.

აღურიცხავი აქტივების გამოვლენის შემთხვევაში საინვენტარიზაციო კომისია ადგენს როდის ან ვისგან იქნა მიღებული აღურიცხავი ობიექტი, ამ ობიექტზე გაწეული დანახარჯები რა პერიოდში და როგორ არის ასახული ორგანიზაციის აღრიცხვა-ანგარიშგებაში და მოკვლევის შედეგებზე ინფორმაციას ასახავს ინვენტარიზაციის შედეგების აქტში.

ინვენტარიზაციით გამოვლენილი აღურიცხავი ობიექტები უნდა შეფასდეს მათ მიღებაზე (შეძენა, წარმოება და ა.შ.) გაწეული დანახარჯების ღირებულებით, ხოლო ცვეთა განისაზღვროს მიღების თარიღისა და ცვეთის დადგენილი ნორმების გათვალისწინებით. თუ არსებული დოკუმენტაციით შეუძლებელია აღურიცხავი ობიექტის ღირებულების განსაზღვრა, მისი განსაზღვრა ხდება საინვენტარიზაციო კომისიის მოთხოვნით, ორგანიზაციის მიერ მოწვეული კვალიფიციური სპეციალისტის საექსპერტო დასკვნის საფუძველზე.

იჯარით აღებულ და იჯარით გაცემულ (ან სარგებლობაში მიღების ან გადაცემის სხვა შემთხვევაში) ძირითად აქტივებთან დაკავშირებით, საინვენტარიზაციო კომისია ამოწმებს აქტივების შენახვისა და დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ დოკუმენტებს. აღნიშნული დოკუმენტების არარსებობის შემთხვევაში აკეთებს შესაბამის მითითებას ინვენტარიზაციის შედეგების აქტში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი მიღება ან გაფორმება.

ობიექტის შეფასებაზე და ცვეთაზე ფორმდება შესაბამისი აქტები. აქტის შედგენის მომენტისათვის უნდა მოხდეს ძირითადი აქტივების შემოსავალში აღება, მათი ღირებულებისა და ცვეთის საბუღალტრო ანგარიშებზე ასახვის გზით.

თუ განხორციელდა ძირითადი აქტივების არსებითი გაუმჯობესება, რომლითაც შეცვლილია მისი დანიშნულება, აღწერაში შეიტანება იმ დასახელებით, რომელიც შეესაბამება აქტივის ახალ დანიშნულებას.

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი (ავტომობილები, კომპიუტერული ტექნიკა საოფისე ინვენტარი) საინვენტარიზაციო აღწერილობებში შეიტანება ინდივიდუალურად, საინვენტარო ნომრის, მწარმოებლის გამოშვების წლის, დანიშნულების, სიმძლავრის ჩვენებით.

ნარჩენი ღირებულების მქონე ხმარებისათვის უვარგისი აქტივები, რომლებიც არ ექვემდებარება აღდგენას, საერთო საინვენტარიზაციო აღწერილობებში არ შეიტანება. ამ ობიექტებზე დგება ცალკე აღწერა, რომელშიც მიეთითება აქტივის შეძენის წელი და ხმარებისათვის უვარგისად ქცევის მიზეზები (გაფუჭება, სრული ამორტიზება და ა.შ.). ასეთი ობიექტების ჩამოწერა წარმოებს **ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის** წესის **შესაბამისად, რომელიც თვითმმართველობის საკრებულოს მიერ არის დადგენილი, რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შემუშვებული ტიპური წესის შესაბამისად**.

ცალკე აღწერა დგება იჯარით (ან სარგებლობაში მიღების სხვა შემთხვევაში) აღებულ ძირითად აქტივებზე იჯარის ცალკეული გამცემის მიხედვით, დასახელებისა და იჯარის ვადის აღნიშვნით.

საინვენტარიზაციო კომისიამ ასევე უნდა შეამოწმოს:

- ირიცხება თუ არა დაუმთავრებელი კაპიტალური მშენებლობის შემადგენლობაში მოწყობილობა, რომელიც გადაცემულია დასამონტაჟებლად, მაგრამ რომლის მონტაჟიც დაწყებული არ არის;
- დაკონსერვებული ობიექტების მდგომარეობა. კერძოდ, უნდა გაირკვეს მათი კონსერვაციის მიზეზები და საფუძველი.

დაუმთავრებელ სამშენებლო ობიექტებზე, რომლებიც ექსპლუატაციაშია შესული მთლიანად ან ნაწილობრივ, მაგრამ არ არის გაფორმებული სათანადო დოკუმენტებით, აგრეთვე დამთავრებულ, მაგრამ ექსპლუატაციაში შეუყვანელ ობიექტებზე დგება აქტები, მიზეზების მითითებით.

ობიექტებზე, რომელთა მშენებლობაც შეწყვეტილ იქნა, ასევე საპროექტო-საძიებო სამუშაოებზე, რომლებიც ექვემდებარება ბალანსიდან ჩამოწერას, დგება ცალკე აქტი, შესრულებული სამუშაოების ღირებულების და სამუშაოების შეწყვეტის მიზეზების მითითებით.

მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია

მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია უნდა განხორციელდეს შენახვისა და გამოყენების ადგილებზე, მატერიალურად პასუხისმგებელი პირების თანდასწრებით.

მატერიალური მარაგები აღწერილობებში შეიტანება დასახელების, სახის, რაოდენობისა და სხვა მახასიათებლების მიხედვით. საინვენტარიზაციო კომისიის წევრები მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან ერთად ახდენენ მატერიალური მარაგების გადათვლას, გადაწონვას და გაზომვას. მატერიალურად პასუხისმგებელი პირების სიტყვიერი ინფორმაციისა და აღრიცხვის მონაცემების აღწერილობაში შეტანა ფაქტობრივი შემოწმების გარეშე დაუშვებელია.

სათავსები, სადაც განლაგებულია მატერიალური მარაგები, აღწერის შემდეგ, ინვენტარიზაციის დასრულებამდე, ილუქება.

ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია ტარდება ადგილმდებარეობისა და პასუხისმგებელ პირთა მიხედვით. ინვენტარიზაციისას თითოეული მარაგი უნდა იქნეს დათვალიერებული და შეტანილი საინვენტარიზაციო აღწერილობებში დასახელებითა და პირვანდელი ღირებულებით.

გამოსაყენებლად უვარგის მატერიალურ მარაგებზე დგება აქტი, რომელშიც მიეთითება ექსპლუატაციაში ყოფნის დრო, გაცვეთის მიზეზი, სამეურნეო საჭიროებისათვის შემდგომში მათი გამოყენების შესაძლებლობები და სხვა.

მკაცრი აღრიცხვის ბლანკების ფაქტობრივი ნაშთების შემოწმება წარმოებს მათი სახეების მიხედვით, საწყისი და საბოლოო ნომრების მითითებით. ამ შემოწმების შედეგები ფორმდება ცალკე აღწერილობაში.

ფინანსური მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაცია

ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის დროს კომისია ადგენს შესაბამისი დოკუმენტების მიხედვით ნაშთების რეალურობას.

ხელფასების არსებული დავალიანებების ინვენტარიზაციის დროს უნდა გამოვლინდეს გაუცემელი ხელფასის თანხები, რომლებიც ექვემდებარება დეპონირებას, ასევე უნდა დადგინდეს ზედმეტად გაცემული თანხების ოდენობა და მიზეზები.

საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების ინვენტარიზაციისას უნდა შემოწმდეს ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნების ანგარიშებზე არსებული ნაშთების რეალურობა, გაცემული თანხების მიხედვით.

ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შედეგები ფორმდება ინვენტარიზაციის აქტით. აქტში ჩამოთვლილი უნდა იყოს ანგარიშები, რომლებსაც ჩაუტარდათ ინვენტარიზაცია, აგრეთვე უნდა აღინიშნოს იმ დავალიანებათა შესახებ, რომლებიც არის უიმედო, რომელთა ძიების ხანდაზმულობის ვადა გასულია და ა.შ.

დავალიანებათა ამ სახეების შესახებ ინვენტარიზაციის აქტთან ერთად დგება ცნობა, სადაც მიეთითება დებიტორებისა და კრედიტორების დასახელება და მისამართი, საიდენტიფიკაციო ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დავალიანების თანხა, თარიღი, რისთვისაც ირიცხება დავალიანება, შესაბამისი დოკუმენტები და ა. შ.

საინვენტარიზაციო კომისია მოთხოვნების საძიებო ვადის გადაცილების შემთხვევაში ადგენს იმ პირთა ვინაობას, ვისაც ბრალი მიუძღვის სათანადო ზომების მიუღებლობაში.

ინვენტარიზაციის შედეგები

ინვენტარიზაციის შედეგებს იხილავს ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, რაზეც ფორმდება სპეციალური ოქმი. ოქმში მოყვანილ უნდა იქნეს დაწვრილებითი ცნობები დანაკლისების, დანაკარგებისა და ზედმეტობების მიზეზებისა და დამნაშავე პირების შესახებ, ასევე, გასატარებელი ღონისძიებები.

აქტივების დანაკლისი, ასევე ნორმის ზემოთ მატერიალური მარაგების დანაკლისის ანაზღაურება დაეკისრებათ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს, თუ დანაკლისი მათი ბრალეული ქმედებით არის გამოწვეული. ამასთან, ინვენტარიზაციის დასრულებიდან 5 დღის ვადაში ორგანიზაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით შეკრებილი მასალები გადაეცემა სამართალდამცავ ორგანოებს.

მატერიალურ ფასეულობათა დანაკლისი და დანაკარგები ბუნებრივი ნორმების ზევით, როდესაც კონკრეტული დამნაშავეების დადგენა ვერ მოხერხდა ან დამნაშავე პირებს სასამართლომ არ დააკისრა დანაკლისის ანაზღაურება, ჩამოიწერება.

დებიტორული დავალიანებების მიხედვით, რომელთა ძიების ხანდაზმულობის ვადა გასულია, საინვენტარიზაციო კომისიამ შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისაგან უნდა მიიღოს წერილობითი განმარტებები, რომელთა საფუძველზეც უნდა დადგინდეს დანაკლისების, დანაკარგებისა და ზედმეტობების ხასიათი.

საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმი მტკიცდება ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ, ინვენტარიზაციის დასრულებიდან ორი კვირის განმავლობაში. ხელმძღვანელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გაატაროს ღონისძიებები ინვენტარიზაციით გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

ქონების ბალანსზე აყვანა და საბალანსო ღირებულების გამოთვლა

აქტივების ნაკადებისა და მარაგების ღირებულება განისაზღვრება პირვანდელი ან შეძენის ღირებულებით, რომელიც კორექტირებულია ყველა იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რასაც მათი შესყიდვის, უსასყიდლოდ მიღების ან წარმოების შემდეგ ჰქონდა ადგილი. ასეთი ცვლილებებია: ძირითადი კაპიტალის მოხმარება, მოგება ან ზარალი ფლობიდან, ამოწურვა, გამოფიტვა, ხარისხის გაუარესება, გაუთვალისწინებელი დაძველება და განსაკუთრებული დანაკარგები.

განახლება, რეკონსტრუქცია ან გაფართოება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საწარმოო სიმძლავრეს, ხარისხს ან ახანგრძლივებს არსებული ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფიზიკურად ფუნქციონირებენ როგორც არსებული აქტივის ნაწილები, განიხილება როგორც ძირითადი აქტივების მიღება. მიწის არსებითი გაუმჯობესება განიხილება როგორც მიწის მიღება;

ძირითადი კაპიტალის მოხმარება წარმოადგენს შიდა ოპერაციას, რომელიც ასახავს ძირითადი აქტივებისა და სხვა განსაზღვრული არაფინანსური აქტივების ღირებულების კლებას, რადგანაც ისინი წარმოებაში ან მომსახურებაში უწყვეტად ან მრავალჯერადად იქნა გამოყენებული;

ძირითადი კაპიტალის მოხმარება ორგანიზაციის ბალანსზე აისახება თითოეული საანგარიშო წლის ბოლო სამუშაო დღეს ან განსაზღვრული მომენტისათვის – საჭიროების შემთხვევაში.

ძირითადი აქტივების (ქონების) ბალანსზე აყვანა, ქონების ღირებულების გამოთვლა

ძირითადი აქტივების მიღება აისახება ღირებულებით, რომელიც გულისხმობს წარმოების ან შეძენისთვის გადახდილ ფულად სახსრებს ან მათ ეკვივალენტებს და მოიცავს შემდეგს: შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟს, უკან დაუბრუნებად გადასახადებს, ასევე აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო სხვა პირდაპირ ხარჯებს და საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

აქტივის შეძენასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯებია:

ა) აქტივისათვის ადგილმდებარეობის მომზადების ხარჯი;

ბ) აქტივის ადგილზე მიტანისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის ხარჯები;

გ) მონტაჟის და დემონტაჟის ხარჯი.

საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯებია:

ა) შემფასებლების, ინჟინრების, არქიტექტორების, იურისტებისა და უძრავი ქონების გაყიდვის აგენტების მომსახურების ანაზღაურება;

ბ) გადასახადები, რომლებიც გადაიხდება საკუთრების უფლების გადაცემისას.

ადმინისტრაციული და სხვა საერთო ზედნადები ხარჯები არ მიეკუთვნება ძირითადი აქტივების ღირებულებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ისინი პირდაპირაა დაკავშირებული აქტივის შეძენასთან ან სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

მანქანა-დანადგარების გამოცდასთან დაკავშირებული ხარჯები არ მიეკუთვნება მათ ღირებულებას, თუკი ეს არ არის აუცილებელი აქტივის სამუშაო მზადყოფნაში მოყვანისათვის.

აქტივის შეძენასთან, წარმოებასა ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული სესხით სარგებლობის დანახარჯების ხარჯების სახით აღიარება თვითმმართველი ერთეულების მიერ ხდება მათი გაწევისთანავე.

შესაძლებელია ორგანიზაციების მიერ აქტივის შეძენასთან, წარმოებასა ან მშენებლობასთან უშუალოდ დაკავშირებული სესხით სარგებლობის დანახარჯების კაპიტალიზაცია, სათანადო აუცილებელი პირობების არსებობის შემთხვევაში.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზაცია აქტივის ღირებულების ნაწილის სახით იწყება მაშინ, როდესაც:

ა) აქტივზე გაწეულია პირველადი დანახარჯები;

ბ) გაწეულია სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული პირველადი დანახარჯები;

გ) დაწყებულია მოცემული აქტივის გამოსაყენებლად ან გასაყიდ მდგომარეობაში მოსაყვანად პირველადი სამუშაოები.

ორგანიზაციის მიერ შექმნილი აქტივის ღირებულება განისაზღვრება შეძენილი აქტივის ანალოგიურად. ორგანიზაციის მიერ აქტივის წარმოების შემთხვევაში, ნედლეულისა და მასალების, შრომითი და სხვა რესურსების უჩვეულოდ მაღალი (ზენორმატიული) დანახარჯები არ ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას.

შენობა-ნაგებობების წარმოებისას, მისი ღირებულება მოიცავს სამშენებლო მოედნის გაწმენდისა და მომზადების ხარჯებს, ასევე, ყველა მოწყობილობის, აპარატურისა და ხელსაწყოს ღირებულებას, რომლებიც ამ შენობა-ნაგებობის განუყოფელ ნაწილებს წარმოადგენენ.

კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფის ღირებულების განსაზღვრის საფუძველია, პროგრამული უზრუნველყოფისათვის გადახდილი თანხა, თუ იგი შეძენილია სხვა საწარმოს ან ორგანიზაციისაგან, ან წარმოების ღირებულება, თუ იგი დამუშავდა საკუთარი სახსრებით.

ლიტერატურის, ხელოვნებისა და გასართობი ჟანრის ნაწარმოებთა ორიგინალური ნიმუშების (ორიგინალური ფილმები, ხმის ჩანაწერები, ხელნაწერები, მაგნიტური ლენტები და ნიმუშები, რომლებზეც ჩაწერილია ან განსახიერებულია დრამატული წარმოდგენები, რადიო და სატელევიზო პროგრამები, მუსიკალური წარმოდგენები, სპორტული მოვლენები, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები) ღირებულება განისაზღვრება შეძენის ფასებით, ან წარმოების ღირებულებით.

საძიებო სამუშაოების შედეგად მიღებული აქტივის ღირებულება არ განისაზღვრება მოძიების შედეგად ახლად აღმოჩენილი საბადოების ღირებულებით. იგი განისაზღვრება იმ რესურსების ღირებულებით, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში იქნა განთავსებული საძიებო სამუშაოებში.

ახალი გასართობი ჟანრის, ლიტერატურული და ხელოვნების ორიგინალური ნაწარმოებების შექმნა თუ საკუთარი ხარჯებით ხორციელდება და მათი გამოყენების შედეგად მომავალში მისაღები სარგებლის მიმდინარე ღირებულების დადგენა შეუძლებელია, სხვა ინფორმაციის არარსებობის პირობებში, შესაძლებელია ორიგინალის მიღება მისი წარმოების ღირებულებით შეფასდეს.

ძირითადი აქტივების (ქონების) ექსპლუატაციასთან დაკავშირებული დანახარჯები

ძირითადი აქტივების თავდაპირველი ღირებულებით აღიარების შემდგომ ექსპლუატაციასთან დაკავშირებული დანახარჯები, რაც იწვევს აქტივების არსებით გაუმჯობესებას, წარმოადგენს კაპიტალურ შეკეთებას, რომელიც ემატება აქტივების საბალანსო ღირებულებას და აღირიცხება როგორც ძირითადი აქტივების მიღება.

ძირითადი აქტივების მოვლა-შენახვისა და მიმდინარე შეკეთებისათვის მოხმარებული საქონელი და მომსახურება აღირიცხება, როგორც საქონლისა და მომსახურების გამოყენება. განსაზღვრებით, არსებითი გაუმჯობესება არ ნიშნავს ახალი აქტივების შექმნას და მათ ცალკე იდენტიფიცირებას. თითოეული ასეთი გაუმჯობესების ღირებულება ემატება მოცემული აქტივის არსებულ ღირებულებას.

კაპიტალური შეკეთება მოიცავს აქტივის განახლებას, რეკონსტრუქციას და გაფართოებას, რომელიც წარმოადგენს გაანალიზებულ საინვესტიციო გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება ნებისმიერ მომენტში განხორციელდეს და არ არის ნაკარნახევი აქტივის მდგომარეობიდან გამომდინარე, აუმჯობესებს აქტივის საექსპლუატაციო თვისებებს, ზრდის მოცულობას და მწარმოებლურობას ან მნიშვნელოვნად ახანგრძლივებს აქტივის წინასწარ განსაზღვრულ სასარგებლო მომსახურების ვადას.

კაპიტალურ შეკეთებაზე გაწეული დანახარჯები შესაძლებელია იყოს:

ა) შენობა-ნაგებობების ელემენტების მოდიფიკაცია მათი სასასრგებლო მომსახურების ვადის გახანგრძლივების მიზნით, ასევე მწარმოებლურობის ამაღლების მიზნით;

ბ) მანქანა-დანადგარების ნაწილების გაუმჯობესება წარმოებული პროდუქციის ხარისხის ამაღლების მიზნით;

გ) ახალი საწარმოო პროცესების დანერგვა ოპერაციული ხარჯების არსებითად შემცირების მიზნით.

ძირითადი აქტივების ექსპლუატაციასთან დაკავშირებული დანახარჯები, აქტივების სამუშაო მდგომარეობაში შენახვისა და მიმდინარე შეკეთებისთვის, რაც გავლენას არ ახდენს მათ საწარმოო სიმძლავრეზე, ხარისხზე, მომსახურების პოტენციალზე ან სასიცოცხლო ციკლზე, აღიარდება ხარჯებად.

არსებული ძირითადი აქტივების მოვლა-შენახვის და მიმდინარე შეკეთების დამახასიათებელი ნიშნებია:

ა) წარმოადგენენ ქმედებებს, რომელთა პერიოდული განხორციელებაც ევალებათ ძირითადი აქტივების მფლობელებს ან მომხმარებლებს, რათა შესაძლებელი იყოს ამგვარი აქტივების გამოყენება მათთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების პერიოდის განმავლობაში;

ბ) არ ცვლიან ძირითად აქტივებს ან მათ საექსპლუატაციო თვისებებს, ინახავენ მუშა მდგომარეობაში ან დაზიანების შემთხვევაში აღადგენენ მათ საწყის მდგომარეობას.

ძირითადი აქტივის პირველადი ასახვის შემდგომი შეფასება, ძირითადი კაპიტალის მოხმარება

აქტივად პირველადი ასახვის შემდგომ, ქონება აღირიცხება მისი ნარჩენი (საბალანსო) ღირებულებით, რომელიც მიიღება ყველა იმ ცვლილებების გათვალისწინებით, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონოდა მათი მიღების შემდეგ. ასეთი ცვლილებებია: ძირითადი კაპიტალის მოხმარება, მოგება ან ზარალი ფლობიდან, ამოწურვა/გამოფიტვა, ხარისხის გაუარესება, გაუთვალისწინებელი დაძველება და განსაკუთრებული დანაკარგები.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, ფიზიკური ცვეთის, ნორმირებული მორალური ცვეთისა და ნორ-

მირებული შემთხვევითი დაზიანების შედეგად, ერთეულის მფლობელობაში არსებული ძირითადი აქტივების ღირებულების შემცირებას, გარდა საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნის შემთხვევისა, როცა ძირითადი კაპიტალის მოხმარება, კაპიტალის წარმოების პროცესში გამოყენებულ ძირითად აქტივებთან არის დაკავშირებული.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება გაიანგარიშება ყველა სახის მატერიალურ და არამატერიალურ ძირითად აქტივებთან მიმართებაში.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება ითვალისწინებს ცხოველების და მცენარეების ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეულ შემთხვევით დანაკარგებს, აგრეთვე ცხოველების და მცენარეების ხანდაზმულობის გამო მათი ღირებულების შემცირებას. ამასთან, ძირითადი კაპიტალის მოხმარება არ მოიცავს ცხოველებისა თუ მცენარეების გაუთვალისწინებელ დანაკარგებს, რაც განპირობებულია ეპიდემიების გავრცელებით, დაბინძურებით, გვალვით, შიმშილობით თუ სხვა სახის სტიქიური უბედურებებით, ასევე, მოულოდნელი ტექნოლოგიური განვითარების შედეგად მიღებულ დანაკარგებს, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვნად შეამციროს არსებული ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა და არაწარმოებული აქტივების, როგორიცაა მიწა და ბუნებრივი ნედლეული, გამოფიტვისა თუ ხარისხობრივი გაუარესების პერიოდი. ეს მოვლენები აღირიცხება სხვა ეკონომიკურ ნაკადებში.

მატერიალური მარაგების ღირებულებითი შეფასება

მატერიალური მარაგების მიღება ხდება ღირებულებით, რომელიც მოიცავს: მათ შეძენასთან, წარმოებასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს: მათი შეძენის ფასს, საბაჟო გადასახდს იმპორტზე, დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, სატრანსპორტო, დამზადების ხარჯებს და ყველა იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ნედლეულის და მასალების, დაუმთავრებელი წარმოების, მზა პროდუქციის, შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონლის, ფულადი დოკუმენტების, სათადარიგო ნაწილების და სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სავაჭრო დანამატი არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

დაუმთავრებელი წარმოების ამოღების ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება წარმოების ღირებულების შესაბამისად, სადაც ყველა გამოყენებული რესურსი შეფასებულია საბალანსო ღირებულებით.

მატერიალური მარაგებიდან გასაყიდი მარაგების ამოღების შეფასება ხორციელდება საბალანსო ღირებულებით, აქტივების გასვლისას საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებით ერთეულების მიერ გაწეული ნებისმიერი ხარჯის გამოკლებით, ხოლო შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონლის ღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასებით, ტრანსპორტირების ხარჯის ჩათვლით.

თუ მატერიალური მარაგების ცალკეულ ოპერაციათა შეფასება შეუძლებელია, მატერიალურ მარაგებში განხორციელებული ცვლილებების განაშთვისას ორგანიზაცია იყენებს მატერიალური მარაგების შეფასების მეთოდებიდან ერთ-ერთს:

ა) ინდივიდუალურად გაწეული დანახარჯების მიხედვით შეფასების მეთოდი;

ბ) ფიფო (FIFO) მეთოდი – პირველი შემოსული პირველი გადის;

გ) საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება მატერიალურ მარაგებზე არ ვრცელდება.

ფასეულობების ღირებულებითი შეფასება

ფასეულობების მიღების შეფასება ხდება მის ღირებულებაზე აქტივების შეძენისას საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებით გაწეული ნებისმიერი ხარჯის დამატებით.

ფასეულობების გასვლის შეფასება ხდება გაყიდვის ფასიდან აქტივების გასვლისას საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებით გაწეული ნებისმიერი ხარჯის გამოკლებით.

ფასეულობების რეალური ღირებულება დროთა განმავლობაში შესაძლებელია გაიზარდოს, უკიდურეს შემთხვევაში, არ შემცირდეს, ხოლო ხარისხი, ნორმალურ პირობებში შენახვისას, არ გაუარესდეს.

ფასეულობების ორგანიზებული ბაზრის არსებობის პირობებში, მათი ღირებულებითი შეფასება შეიძლება მოხდეს მიმდინარე საბაზრო ფასებით, აგენტების ყოველგვარი გასამრჯელოების ან საკომისიო გადასახდელების ჩათვლით. სხვა შემთხვევებში, ფასეულობები შესაძლებელია შეფასდეს იმ თანხით, როლითაც ისინი დაზღვეულნი არიან ხანძრის, ქურდობის და სხვა რისკებისაგან.

არაწარმოებული აქტივების (მიწა) ღირებულებითი შეფასება

არაწარმოებული აქტივების შეძენის ღირებულებითი შეფასება ხდება გადახდილ ფასზე აქტივების საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებით გაწეული ნებისმიერი ხარჯის დამატებით.

არაწარმოებული აქტივების გასავლის შეფასება ხდება გაყიდვის ფასიდან სახელმწიფო მმართველობის ერთეულების მიერ აქტივების გასვლისას საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებით გაწეული ნებისმიერი ხარჯის გამოკლებით.

მიწა და შენობები, მათი ერთად შეძენის შემთხვევაშიც, აღირიცხება ცალ-ცალკე როგორც დამოუკიდებელი აქტივები. ღირებულებითი შეფასების საფუძვლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, შეფასების გზით დადგენილი მიწის ღირებულებასა და მასზე არსებული ნაგებობების ღირებულების თანაფარდობა.

მიწა არაამორტიზირებადი აქტივია, გააჩნია შეუზღუდავი მომსახურების ვადა და შესაბამისად არ ხდება მისი ცვეთა. მიწის ღირებულების ცვლილება არ ცვლის მასზე განლაგებული შენობების მომსახურების ვადის ხანგრძლივობას. მიწის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება იმ შემთხვევაში, როცა მისი გამოყოფა მიწისგან რეალურად შეუძლებელია, შედის მიწის ღირებულებაში.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ღირებულებითი შეფასება

არსებული ფინანსური აქტივების (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების მიღების ან გასვლის ღირებულებას წარმოადგენს მათი გაცვლის ღირებულება.

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში წარმოქმნილი ფინანსური აქტივების (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების ღირებულება კრედიტორის მიერ დებიტორისათვის ავანსად გადახდილი სახსრების ღირებულებით განისაზღვრება.

ოპერაციათა განხორციელებისას გაწეული მომსახურების საფასური, მოსაკრებლები, საკომისიოები და მსგავსი გადახდები, და ამ ოპერაციებზე გადასახდელი ნებისმიერი გადასახადი, გამოირიცხება ფინანსური აქტივების (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების ოპერაციებისგან და განიხილება როგორც ხარჯვითი ოპერაციები.

თუ ოპერაციები ფინანსური აქტივებით (ვალდებულებებით) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებები მოიცავს მომსახურებისთვის დარიცხულ არაპირდაპირ მოსაკრებლებს და შეუძლებელია ასეთი მომსახურების ელემენტის შეფასება, ოპერაციის მთლიანი ღირებულება განხილულ უნდა იქნეს როგორც ოპერაცია ფინანსური აქტივებით (ვალდებულებებით) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებებით. მოკორესპონდენტო ფინანსური აქტივები (სხვა დებიტორული დავალიანებები) და ფინანსური ვალდებულებები (სხვა კრედიტორული დავალიანებები) განეკუთვნება ერთი და იმავე ინსტრუმენტს და ერთნაირი ღირებულება უნდა გააჩნდეთ.

ფინანსურ აქტივებს, რომლებიც ცალსახად მონეტარული ფორმითაა დენომინირებული (ფულადი სახსრები და დეპოზიტები) – არ გააჩნიათ გაზომვის ფიზიკური ერთეულები, რომლებთანაც შესაძლებელი იქნებოდა ფასების დაკავშირება. ამ შემთხვევაში რაოდენობრივი გაზომვის შესაბამისი ერთეული თვითონ ფულადი ერთეულია, რის გამოც, ერთი ერთეულის ფასი ყოველთვის ერთის ტოლია. ეროვნულ ვალუტას გააჩნია ფიქსირებული ნომინალური ღირებულება. ბალანსში ასახვის დროს, უცხოურ ვალუტაში გამოსახული მარაგების ღირებულება, აღირიცხება ეროვნულ ვალუტაში, ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტით ასახული ოპერაციის ღირებულება აისახება ეროვნული ვალუტით, ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის გამოყენებით.

დეპოზიტის ღირებულებას ეროვნულ ვალუტაში, მისი ნომინალური ღირებულება წარმოადგენს (თანხა, რომელიც დეპოზიტის ლიკვიდაციისას, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, დებიტორმა უნდა გადაუხადოს კრედიტორს).

საქონლის ან მომსახურების შესყიდვის შედეგად წარმოქმნილი დებიტორული დავალიანების ღირებულებას წარმოადგენს მიღებული საქონლის ან მომსახურების ღირებულება.

ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერა

საინვენტარიზაციო კომისია ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი ქონების ჩამოწერის აუცილებლობაზე დასაბუთებულ მოსაზრებას ქონების ჩამოწერისათვის საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგებელს. გამგებელი/მერი თავის მხრივ, წარმოდგენილ დოკუმენტაციას გადაუგზავნის თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად. თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში რიცხული მოძრავი ქონების ჩამოწერაზე გადაწყვეტილებას იღებს თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს თავმჯდომარე, რომელიც ამ მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებლივ აქტს. თვითმმართველი ერთეულის უძრავი ქონების ჩამოწერაზე გადაწყვეტილებას იღებს თვითმმართველი ერთეულის საკრებულო.

ძირითადი აქტივები ჩამოწერილად ჩაითვლება საინვეტარიზაციო კომისიის დასკვნის შესაბამისად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონების (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვ.) განკარგვა/განადგურება

ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონება (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვ.) აისახება მარაგების სახით. ჩამოწერის შედეგად მიღებული და მარაგების სახით ბალანსზე აღრიცხული ქონების (ჯართი, სამშენებლო მასალა, ვარგისი ნაწილები და სხვ.) განკარგვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ძირითადი აქტივების ჩამოწერის შედეგად მიღებული ქონება, რომლის რაიმე დანიშნულებით გამოყენება შეუძლებელია, ექვემდებარება განადგურებას.

გამოუყენებელი ქონების განადგურებაზე, კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, გადაწყვეტილებას იღებს თვითმმართველი ერთეულის საკრებულოს თავმჯდომარე. ქონების განადგურების პროცესს ესწრება ქონების ჩამოწერის მიზნით შექმნილი კომისის სრული შემადგენლობის სულ ცოტა ნახევარზე მეტი, რაზედაც დგება ჩამოწერილი ქონების განადგურების აქტი. ქონების განადგურების მართლზომიერებასა და შედეგებზე პასუხისმგებელია საინვენტარიზაციო კომისია.

მუნიციპალური ქონების შეფასება და რეგისტრაცია

მუნიციპალური ქონების შეფასება

ქონების მართვის სფეროს ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას მისი შეფასება წარმოადგენს. ქონების შეფასება აუცილებელია პრაქტიკულად ნებისმიერი სახის ოპერაციის განხორციელებისას, როგორებიცაა:

- პრივატიზება;
- სარგებლობის უფლებით გაცემა;
- საწარმოს კაპიტალში შეტანა/ამოღება;
- საინვესტიციო პროექტების განხორციელება;
- საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები.

საერთაშორისო პრაქტიკით და შეფასების საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილია შეფასების განხორციელების და საბაზრო ღირებულების დადგენის სამი ძირითადი მიდგომა:

- საბაზრო (გაყიდვების შედარების) მიდგომა;
- შემოსავლების კაპიტალიზაციის მიხედვით მიდგომა;
- დანახჯების მიხედვით მიდგომა.

შეფასების საერთაშორისო სტანდარტებით განსაზღვულია აგრეთვე, ის ფუნდამენტური პრინციპები, რომლითაც მოქმედებს კვალიფიციური შემფასებელი. კერძოდ:

- კეთილსინდისიერება (Integrity);
- ობიექტურობა (Objectivity);
- კომპეტენტურობა (Competence);
- კონფიდენციალურობა (Confidentiality);
- პროფესიონალური ქცევა (Professional behavior).

შეფასების პროცესი მოიცავს კონკრეტულ ეტაპებს და ეტაპების რაოდენობა დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა შეფასების გამოყენების მიზნობრიობა, ქონების ხასიათი, შეფასებისათვის აუცილებელი სამუშაოების მასშტაბი, ასევე მონაცემთა ხელმისაწვდომობა.

შეფასების პროცესის ეტაპები

შეფასების პროცესის ეტაპებია:

- პრობლემის იდენტიფიკაცია;
- განსახორციელებელი სამუშაოების მასშტაბის განსაზღვრა;
- მონაცემთა მოპოვება და ქონების აღწერა;
- მონაცემთა ანალიზი;
- ქონების ღირებულების ანალიზი;
- შეფასების მეთოდების გამოყენება;
- შეფასების პარამეტრების შეჯერება და ღირებულების განსაზღვრა;
- შეფასების ანგარიშის მომზადება.

საქართველოში ქონების შეფასება არ განეკუთვნება კანონით რეგულირებად საქმიანობას და იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ, თვითრეგულირებად პროფესიას. 2008 წელს, სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში განხორციელდა საერთაშორისო შეფასების სტანდარტების საბჭო (IVSC)-ის სტანდარტების რეგისტრაცია. ამასთან, საქართველოს კანონში „სახელმწიფო ქონების შესახებ“ არსებობს ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც უძრავი ქონების ყოველწლიურ საბაზრო საიჯარო ფასს ადგენს საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული სერთიფიკაციის ორგანოს მიერ სერთიფიცირებული შემფასებელი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნა ქონების შეფასების სფეროში კვალიფიციურ მომსახურებასა და სერთიფიცირებულ სპეციალისტებზე. თუმცა უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ უახლოეს წარსულში საქართველოში ქონების შეფასება გაიგივებული იყო აუდიტორულ საქმიანობასთან და შეფასებას აუდიტორები ახორციელებდნენ. როგორც საერთაშორისო გამოცდილება და პრაქტიკა ცხადყოფს, ეს ორი სფერო აბსოლუტურად განსხვავებულია ერთმანეთისგან და აუდიტორი და შემფასებელი სხვადასხვა პროფესიის ადამიანები არიან; ამას ადასტურებს როგორც შეფასების საერთაშორისო სტანდარტები (IVS), ასევე ბუღალტრული და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IAS; IFRS).

დღეისათვის კი ქონების შეფასების აუცილებლობა და სერთიფიცირებული შემფასებლის მომსახურების აუცილებლობა ვლინდება როგორც სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე კერძო სექტორში. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სექტორში:

- ფისკალური პოლიტიკის გატარება;
- ექსპროპრიაციის განხორციელება;
- სასამართლო სისტემის საექსპერტო დასკვნით უზრუნველყოფა;
- პრივატიზაციის განხორციელება.

მუნიციპალური ქონების რეგისტრაცია

ქონებაზე იმ უფლების რეგისტრაციას, რომელთა რეგისტრაციაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სავალდებულოა შესაბამის რეესტში განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი როლი უკავია ქონების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისას, რადგან სწორედ ქონებაზე უფლების რეგისტრაციის შემდეგ ხდება ქონების, როგორც შესაბამისი უფლების ობიექტის ჩართვა სამოქალაქო სამართლებრივ ბრუნვაში.

საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, საქართველოს კანონი „საჯარო რეესტრის შესახებ“, საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, საქართველოს კანონი „საქართველოს საზღვაო კოდექსი“, საქართველოს კანონი „საქართველოს საზღვაო სივრცის შესახებ“, საქართველოს კანონი „საქართველოს საჰაერო კოდექსი“, საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება „საჯარო რეესტრის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება „მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების, მათი მისაბმელების და ნომრიანი აგრეგატების საგზაო პოლიციაში რეგისტრაციის წესების დამტკიცების შესახებ“ და სხვა) იმპერატიულად არის განსაზღვრული ქონებაზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული ის უფლებები და ვალდებულებები, რომელთა წარმოშობისათვის აუცილებელია მათი შესაბამის რეესტრში რეგისტრაცია.

იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად თვითმმართველი ერთეული/მუნიციპალიტეტი წარმოადგენს დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელსაც გააჩნია სპეციალური უფლებაუნარიანობა და აქვს საკუთარი ქონება, ბიუჯეტი და შემოსულობები, ამასთან საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ, მის ქონებაზე სრულად ვრცელდება ქონებაზე უფლების რეგისტრაციის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.

ქონებაზე შესაბამისი უფლების რეგისტრაციისას საქართველოს კანონმდებლობა ქონების კატეგორიის შესაბამისად, განსაზღვრავს მარეგისტრირებელ ორგანოთა სისტემას, მათ ორგანიზაციულ-სამართლებრივ საფუძვლებს და უფლება-მოვალეობებს. ასევე საჯარო რეესტრის წარმოების წესსა და პირობებს, სარეგისტრაციო წარმოების დაწყებისა და დასრულების ვადებს, სარეგისტრაციო წარმოების საფასურის ოდენობას, რეგისტრაციის საფუძვლებს, სარეგისრაციო წარმოებაში მონაწილე მხარეების უფლება-მოვალეობებს.

ქონებაზე უფლების რეგისტრაციის განმახორციელებელი ორგანოები:

შესაბამის უფლების რეგისტრაციას შესაბამისი კატეგორიის ქონებაზე ახორციელებენ შემდეგი სახელმწიფო ორგანოები:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო;
- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირები:
  1. საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო;
  2. სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო წარმოადგენს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელ მარეგისტრირებელი ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო რეესტრის წარმოებასა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო თავის უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს საჯარო რეესტრის წარმოებას, რომელიც წარმოადგენს უძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და სამისამართო რეესტრების ერთობლიობას.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

რეგისტრაციის შედეგად მარეგისტრირებელი ორგანო ამზადებს ამონაწერს, ხოლო უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში საკუთრების უფლებადაურეგისტრირებელ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების, ასევე საკადასტრო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციისას – დამატებით საკადასტრო გეგმას. ეს წესი არ ვრცელდება საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვისა და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის

რეგისტრაციის, აგრეთვე მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების რეგისტრაციის შემთხვევებზე.

საჯარო რეესტრის წარმოებისა და ხელმისაწვდომობის პრინციპებიდან გამომდინარე, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან გაიცემა ნებისმიერ პირზე და მზადდება რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებასთან ერთად, რეგისტრირებული მონაცემის არსებობის შემთხვევაში კი – შესაბამისი საფასურის გადახდისას.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მოქმედების ვადა განუსაზღვრელია.

უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრი

უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრი არის უძრავ ნივთებზე უფლების, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, ასევე უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება:

- საკუთრება;
- აღნაგობა, აღნაგობის უფლების იპოთეკით დატვირთვა;
- უზუფრუქტი;
- სერვიტუტი;
- იპოთეკა;
- ქირავნობა, ქვექირავნობა;
- იჯარა, ქვეიჯარა;
- თხოვება;
- ლიზინგი;
- საჯარო სამართლით გათვალისწინებული სარგებლობასა და მფლობელობასთან დაკავშირებული უფლებები;
- უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

კანონმდებელმა გაითვალისწინა რა სამოქალაქო სამართალში საკუთრების უფლების ტრადიციულად დამკვიდრებული განმარტება (როგორც ნივთის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებათა ერთიანობა), უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში სარგებლობისა და ვალდებულებების რეგისტრაცია დაუშვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება რეგისტრირებულია უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში.

უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, რეგისტრირებული უფლების შესახებ მონაცემების გარდა, ასევე შეიტანება უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემები, მათ შორის, უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემები (მესაკუთრის სახელი, გვარი, პირადი ნომერი. იურიდიული პირის შემთხვევაში - დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი, მისამართი, საკუთრების ტიპი, წილობრივი მონაცემი, საკადასტრო კოდი, ფართობი, ნაკვეთის ფუნქცია, უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის რეკვიზიტები).

უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, ასევე რეგისტრირდება უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვება. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაცია დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაციის მოთხოვნის მომენტისათვის უძრავ ნივთზე, საკუთრების უფლების გარდა, სხვა რაიმე უფლება არ არის რეგისტრირებული უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება მიტოვებულად ითვლება საკუთრების

უფლების მიტოვების უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების შემდეგ საკუთრების უფლება გადადის სახელმწიფოზე.

გარდა ზემოაღნიშნული უფლებების რეგისტრაციისა, უძრავ ნივთზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება მიწის ნაკვეთის დანიშნულებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის რეგისტრაცია და მათი შეცვლა. მიწის ნაკვეთი სასოფლო ან არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად, ხოლო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი შესაბამისი კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთად რეგისტრირდება უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შესაბამისად. თუ უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში არ არის დაკონკრეტებული ან მისი შინაარსიდან არ ირკვევა მიწის ნაკვეთის დანიშნულება ან/და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორია, რეგისტრაცია წარმოებს მიწის ნაკვეთის დანიშნულების ან/და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შესახებ დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე.

უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება:

- მიწის ნაკვეთის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით შეცვლა;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლა (დასაშვებია მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის, (საძოვარი, სათიბი, სახნავი (მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული, საბაღე, საბოსტნე) და საკარმიდამო მიწის ნაკვეთი) თანმიმდევრობით, დაბალი ინტენსივობის სავარგულის კატეგორიიდან მაღალი ინტენსივობის სავარგულის კატეგორიაში გადაყვანა).

ამონაწერი უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან უძრავ ნივთზე გარიგებისა და სხვა სამართლებრივი მოქმედების განხორციელებისას, გარდა მემკვიდრეობის უფლების დადგენისა, მასზე დაინტერესებული პირის უფლებამოსილება დგინდება მხოლოდ ამონაწერით საჯარო რეესტრიდან.

უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში საკუთრების, ან სარგებლობის უფლების რეგისტრაციის შედეგად მზადდება ამონაწერი უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან, ხოლო როგორც უკვე აღვნიშნეთ უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში საკუთრების უფლებადაურეგისტრირებელ უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების, ასევე საკადასტრო მონაცემების ცვლილების რეგისტრაციისას – დამატებით საკადასტრო გეგმა.

ამონაწერი უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრიდან მზადდება უძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრების მონაცემთა ერთიანი ბანკის საფუძველზე და ასახავს მისი მომზადების მომენტისათვის უძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის და საკუთრების უფლებათა მიტოვების შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს.

საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეესტრი

საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეესტრი არის ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე სასამართლო ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ კანონით დადგენილი წესით დადებული ყადაღის, უფლების განკარგვის შეზღუდვისა

და აკრძალვის, აგრეთვე რეგისტრაციის აკრძალვის წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის რეგისტრაცია გამორიცხავს ამ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე რაიმე სხვა უფლების ან საკუთრების უფლების მიტოვების რეგისტრაციას, თუ შესაბამისი სარეგისტრაციო დოკუმენტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

იმ შემთხვევაში, თუ საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ სამართლებრივ აქტში პირდაპირ არ არის მითითებული უფლების შეწყვეტის რეგისტრაციის აკრძალვის შესახებ ან/და ეს უფლება არ არის საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის ობიექტი, რეგისტრაციის აკრძალვის განსაზღვრული შეზღუდვა არ ვრცელდება:

- ყადაღადადებული და განკარგვა აკრძალული უძრავი ნივთის მართლზომიერი მფლობელის საკუთრების უფლების ან ყადაღადადებული ნივთისა და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებითი განკარგვის შედეგად წარმოშობილი უფლების რეგისტრაციაზე;
- უფლების სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემთა ცვლილების რეგისტრაციაზე;
- რეგისტრირებული უფლების (გარდა საკუთრების უფლებისა) შეწყვეტაზე.

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრი

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრი არის ნივთსა (გარდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალებისა) და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების წარმოშობის, მასში ცვლილების და მისი შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება რეგისტრირდება ნივთსა (გარდა მექანიკური სატრანსპორტო საშუალებისა) და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე, ამასთან საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის მსგავსად დაუშვებელია საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების რეგისტრაცია, თუ უძრავ ნივთზე საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეგისტრაციის მოთხოვნის რეგისტრაციის მომენტისათვის ეს ნივთი ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთე სხვა პირის საკუთრებაშია.

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრი

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრი არის მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეგისტრაციის, რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების და უფლების შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა რეესტრში რეგისტრირდება:

- გირავნობა (გარდა ფინანსური გირაოსი, რომლის რეგისტრაცია რეგულირდება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად);
- ლიზინგი;
- საბანკო გარანტია.

გირავნობის უფლების წარმოშობისათვის აუცილებელია ამ უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების წარმოშობის, უფლებაში ცვლილების ან/და უფლების შეწყვეტის რეგისტრაცია წარმოებს განმც-

ხადებლის მიერ წარმოდგენილი შეტყობინების ან/და დოკუმენტის საფუძველზე. ამასთან, მარეგისტრირებელი ორგანო პასუხს არ აგებს პირის უფლებამოსილებაზე, მოითხოვოს მოძრავ ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების, უფლებაში ცვლილების ან/და უფლების შეწყვეტის რეგისტრაცია ან/და მის მიერ წარმოდგენილი შეტყობინების და მონაცემების ნამდვილობაზე, ხოლო შეტყობინების საფუძველზე უფლების რეგისტრაციის, რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების ან რეგისტრირებული უფლების შეწყვეტის რეგისტრაციის მოთხოვნით განცხადების წარმომდგენი კრედიტორი ან მოვალე ვალდებულია რეგისტრაციის შესახებ ინფორმაცია რეგისტრაციიდან ერთი კვირის ვადაში შეატყობინოს მეორე მხარეს.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი არის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სავალდებულო სარეგისტრაციო მონაცემების, მათში ცვლილებისა და მათი შეწყვეტის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

სამისამართო რეესტრი

სამისამართო რეესტრი არის ქუჩის, პროსპექტის (გამზირის), ხეივნის, გზატკეცილის, შესახვევის, ჩიხის, მოედნის, სკვერის, ბულვარის სახელწოდებათა, აგრეთვე შენობა-ნაგებობის, ბინის, კომერციული ფართობის და მიწის ნაკვეთის ნუმერაციის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა.

თვითმმართველი ერთეულის/მუნიციპლიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე

ქონების ზოგადი დეფინიცია მოცემულია სამოქალაქო კოდექსში, რომლის შესაბამისადაც ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ქონების კატეგორიებს, შექმნის წესსა და ქონებრივ უფლებებს, მათი რეგულირება ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით, რომლის შესაბამისადაც მუნიციპალიტეტის ქონება არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ერთმნიშვნელოვნად განმარტავს იმ ქონების კატეგორიებს, რომლებიც განეკუთვნება მუნიციპალიტეტის ქონებას. კერძოდ, მუნიციპალიტეტის ქონებას განეკუთვნება:

- მუნიციპალიტეტისთვის კანონით მიკუთვნებული ქონება;
- სახელმწიფოს მიერ მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემული ქონება;
- ავტონომიური რესპუბლიკის მიერ შესაბამისი მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში გადაცემული ქონება;
- მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი, შეძენილი ან რეგისტრირებული ქონება.

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს უძრავ ნივთზე საკუთრების

უფლების რეგისტრაციის უპირობო ვალდებულებას, მაგრამ მიუხედავად იმისა რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსმა მუნიციპალიტეტებს მიანიჭა ქონებების ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილება, საქართველოს კანონმდებლობით, როგორც ნებისმიერი სუბიექტის, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობისა და განხორციელებისათვის სავალდებულოა საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

საჯარო რეესტრის მიზნებისათვის უძრავ ნივთებს მიეკუთვნება: მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობით ან მის გარეშე, შენობა-ნაგებობა (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული), შენობა-ნაგებობის ერთეული (მშენებარე, აშენებული ან დანგრეული) და ხაზობრივი ნაგებობა, ხოლო უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია ნიშნავს ამ უფლების წარმოშობის შესახებ მონაცემთა აღრიცხვას უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, რეგისტრაციის თაობაზე მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების მიღებით.

თვითმმართველი ერთეულის/მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების სარეგისტრაციო მომსახურება განკუთვნილია იმ თვითმმართველი ერთეულისათვის/მუნიციპალიტეტისათვის, რომელსაც სურს უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციით დაინტერესებულმა თვითმმართველმა ერთეულმა/მუნიციპალიტეტმა უფლების რეგისტრაციისათვის უნდა მიმართოს იუსტიციის სახლს ან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს, ასევე „საზოგადოებრივ ცენტრებს“ იმ მუნიციპალიტეტების სოფლებში, სადაც შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე „საზოგადოებრივი ცენტრები“, როგორც მუნიციპალური დაწესებულებები, ახორციელებენ განაცხადების მირებას უძრავ ვივტებზე უფლებების რეგისტრაციისათვის..

თვითმმართველი ერთეულის/მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციისას განმცხადებელი (დაინტერესებული პირი) მარეგისტრირებელ ორგანოში აღნიშნულ მომსახურებაზე შეიძლება იყოს უშუალოდ დაინტერესებული პირი (თვითმმართველი ერთეულის/მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - მერი/გამგებელი) ან დაინტერესებული პირის წარმომადგენელი.

თვითმმართველმა ერთეულმა/მუნიციპალიტეტმა იუსტიციის სახლის ან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში მიმართვისას თან უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- განცხადება (ელექტრონული განცხადება ივსება მარეგისტრირებელი ორგანოს დოკუმენტაციის მიმღები ოპერატორის მიერ);
- წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მერის/გამგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მომართვა ან სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ტექნიკური აღრიცხვის არქივის მიერ გაცემული ცნობა-დახასიათება;
- მიწის ნაკეთის გეგმა ან/და საკადასტრო აზომვითი ნახაზი და მისი ელექტრონული ვერსია (ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახური ვალდებულია დაეყრდნოს

ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიერ შესრულებულ საკადასტრო აზომვით ნახაზს, თუ იგი აკმაყოფილებს საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციითა და საქართველოს კანონმდებლობით საკადასტრო აზომვითი ნახაზისთვის დადგენილ აუცილებელ მოთხოვნებს. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკადასტრო აზომვითი ნახაზის სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეკისრება უძრავი ნივთის მესაკუთრეს).

იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს/მუნიციპალიტეტს მარეგისტრირებელ ორგანოში წარმოადგენს არა მერი/გამგებელი, არამედ მათი წარმომადგენელი (დაინტერესებული პირის წარმომადგენელი), მაშინ მარეგისტრირებელ ორგანოში დამატებით წარსადგენია სათანადო წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

გარდა ზემოაღნიშნული დოკუმენტაციისა, მარეგისტრირებელ ორგანოს კანონმდებლობა ანიჭებს დისკრეციულ უფლება-მოსილებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უფლების რეგისტრაციისას დამატებით მოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მარეგისტრირებელი ორგანოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად.

მარეგისტრირებელი ორგანო უძრავ ნივთზე თვითმმართველი ერთეულის საკუთრების უფლების რეგისტრაციას ახორციელებს 4 სამუშაო დღის ვადაში. სარეგისტრაციო ვადის ათვლა იწყება დაინტერესებული პირის მიერ განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და სრულდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. ხოლო თუ სარეგისტრაციო ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო ვადის ბოლო დღეს წარმოადგენს მომდევნო სამუშაო დღე.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის/მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში ხორციელდება სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე.

გარდა საკუთრების უფლების რეგისტრაციისა საჯარო რეესტრში სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდისგან ასევე განთავისუფლებულია ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე თვითმმართველი ერთეულის/მუნიციპალიტეტის უფლებების, უფლების შეზღუდვის და ვალდებულებების, ასევე მათ სასარგებლოდ დადებული საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის წარმოშობის, ცვლილების და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია.

მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების სავალდებულო რეგისტრაცია

საქართველოს კანონმდებლობით სავალდებულო რეგისტრაციას არის დაქვემდებარებული იმ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია, რომელთა ძრავის მუშა მოცულობა აღემატება 50 კუბურ სანტმეტრს (გარდა მოპედისა), აგრეთვე ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, მათი მისაბმელები, ნომრიანი აგრეგატები და დამხმარე ტექნიკური საშუალებები. რეგისტრაციას ექვემდებარებიან აგრეთვე ის სატრნსპორტო საშუალებები, რომლებიც რეგისტრირებულია სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე და საქართველოში შემოდიან 90 კალენდარულ დღეზე მეტი ვადით. აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაცია ვრცელდება ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მექანიკური სატრანსპორტო საშუალებებზე.

მექანიკური სატრანსპორტო საშუალებათა რეგისტრაციას აწარმოებენ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ერთიან სისტემაში შემავალი განყოფილებები - სარეგისტრაციო სამსახურები.

მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია ხორციელდება სატრანსპორტო საშუალებათა სარეგისტრაციო სამსახურებში, მიუხედავად ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილისა, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული მისამართისა.

სარეგისტრაციო სამსახურები მექანიკური სატრანსპორტო საშუალების თითოეული ერთეულის რეგისტრაციას (ან სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანას) ახორციელებენ ერთი სამუშაო დღის ვადაში.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის/მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია ხორციელდება სარეგისტრაციო მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის გადახდის გარეშე.

საჯარო ფინანსებისა და ეკონომიკის მარეგი
სახელმძღვანელო

მუნიციპალური ქონების პრივატიზების/სარგებლობის უფლებით გაცემის ფორმები და წესი

მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა, რაც ნიშნავს მუნიციპალიტეტის ქონების ფიზიკური, საჯარო ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემას კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და წესით.

მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის განხორციელების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. ასევე მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის წესები, ქონების პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, აგრეთვე ანგარიშსწორების წესები, რომლებსაც თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუნიციპალიტეტის ორგანოთა უფლებამოსილება მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის სფეროში

მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილება

მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის სფეროში განეკუთვნება:

- მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების, აგრეთვე 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს ქონების განკარგვის წესის დადგენა თვითმმართველობის კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესით;
- საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენა;
- თანხმობის მიცემა მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერისთვის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის შესახებ;
- თანხმობის მიცემა მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერისთვის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის შესახებ;
- თანხმობის მიცემა მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერისთვის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის/სარგებლობის უფლებით მიმღების/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების შესახებ;
- თანხმობის მიცემა მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერისთვის პრივატიზებული ან/და სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების შესახებ, გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობებისა.

მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის უფლებამოსილება

მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის უფლებამოსილებას მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის სფეროში განეკუთვნება:

- საკრებულოს თანხმობით გადაწყვეტილების მიღება მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის შესახებ;
- საკრებულოს თანხმობით გადაწყვეტილების მიღება მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით სასყიდლით ან უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, პირობით ან უპირობოდ გაცემის შესახებ;
- საკრებულოს თანხმობით გადაწყვეტილების მიღება მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის/სარგებლობის უფლებით მიმღების/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების შესახებ;
- საკრებულოს თანხმობით გადაწყვეტილების მიღება პრივატიზებული ან/და სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების შესახებ, გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობებისა;
- ახორციელებს მონიტორინგს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მათთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენებისა და ქონებით სარგებლობის წესების დაცვაზე;
- ხელს აწერს მუნიციპალიტეტის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ფორმები და წესი

მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი ფორმების გამოყენება:

- აღნაგობა;
- უზუფრუქტი;
- ქირავნობა;
- იჯარა;
- თხოვება;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმები.

მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება:

- აუქციონის ფორმით
- პირდაპირი განკარგვის წესით.

მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო იღებს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით.

პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ.

მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით, გარდა ქვემოთ გათვალისწინებული შემთხვევისა. კერძოდ, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე გადასცეს სახელმწიფოს და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს და მუნიციპალიტეტის 100-პროცენტიანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებს.

მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ ხელშეკრულება იდება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და დაინტერესებულ პირს შორის.

მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შედეგად შემოსული თანხები უფლებამოსილი ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სრულად მიიმართება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

მუნიციპალური ქონების პრივატიზების ფორმები და წესი

საქართველოს კანონმდებლობამ განამტკიცა მუნიციპალიტეტის ქონებაზე საკუთრების უფლება, ამავდროულად დაადგინა ამ უფლების განხორციელებისას მისი დამოუკიდებლობის გარანტიები. ამასთან, მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებად და უფლებამოსილების განხორციელების ერთ-ერთ ფორმად განსაზღვრა მათ საკუთრებაში არსებული ქონების მათ მიერ მართვა და განკარგვა.

მუნიციპალიტეტის ქონების განკარვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემის, მართვის უფლებით გადაცემის ან სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის გზით.

მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს პრივატიზება, რაც ნიშნავს მუნიციპალიტეტის ქონების ფიზიკური ან/და იურიდიული პირისთვის საკუთრებაში გადაცემას კანონმდებლობით დადგენილი ფორმითა და წესით.

მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების განხორციელების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი. ასევე მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის წესები, ქონების პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, აგრეთვე ანგარიშსწორების წესები რომლებსაც თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების განმახორციელებელი ორგანო

ქონების პრივატიზების არსის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსმა აღნიშნული საკითხი მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის ორმაგი მონაწილეობის პრინციპის დაცვით გადაწყვიტა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილება

მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის სფეროში განეკუთვნება:

- მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის წესების, აგრეთვე 50 პროცენტზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს ქონების განკარგვის წესის დადგენა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული წესით;
- საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის, მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენა;
- მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება;

- თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი წესით, მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტყისა და წყლის რესურსების მართვის წესის დადგენა;
- თანხმობის მიცემა მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერისთვის კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნებაში მონაწილეობისა და მათში გაწევრების შესახებ; მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს კაპიტალში ცვლილების შესახებ; სამეწარმეო იურიდიული პირის წილის/აქციების შეძენის შესახებ;
- თანხმობის მიცემა მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერისთვის მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის/სარგებლობის უფლებით მიმღების/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების შესახებ;
- თანხმობის მიცემა მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერისთვის პრივატიზებული ან/და სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების შესახებ, გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობებისა;
- თანხმობის მიცემა მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ.

მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის უფლებამოსილება

მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის უფლებამოსილებას მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის სფეროში განეკუთვნება:

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით და საკრებულოს მიერ დადგენილი წესით გადაწყვეტილების მიღება მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ;
- საკრებულოს თანხმობით შემდეგი გადაწყვეტილებების მიღება: კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნებაში მონაწილეობისა და მათში გაწევრების შესახებ; მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს კაპიტალში ცვლილების შესახებ; სამეწარმეო იურიდიული პირის წილის/აქციების შეძენის შესახებ;
- საკრებულოს თანხმობით უფლებამოსილია გადაწყვიტოს მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის/სარგებლობის უფლებით მიმღების/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი;
- საკრებულოს თანხმობით უფლებამოსილია გადაწყვიტოს პრივატიზებული ან/და სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების საკითხი, გარდა ფინანსური და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებული პირობებისა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ;
- უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ქონების მოვლა-პატრონობას, მშენებლობას, რეკონსტრუქციასა და აღდგენას;
- საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და პრივატიზაციის გეგმას;
- ახორციელებს მონიტორინგს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მათთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენებისა და ქონებით სარგებლობის წესების დაცვაზე;
- მუნიციპალიტეტის ქონების პირობებიანი აუქციონის ფორმით განკარგვის შემთხვევაში ახორციელებს მონიტორინგს ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შესაბამისი პირობების შესრულებაზე;
- ხელს აწერს მუნიციპალიტეტის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

პრივატიზებას ექვემდებარება მუნიციპალიტეტის დამატებითი ქონება, რომელიც არ არის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონება ან მისი ნაწილი. ამასთან ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების წესს. კერძოდ, მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისება შესაძლებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ქონებამ დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება. მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე დასაბუთებულ წინადადებას ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად შესაბამის საკრებულოს წარუდგენს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი. მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისებაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის/მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულებას იღებს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედით.

მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების ფორმები

მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზება ხორციელდება საჯარო ან ელექტრონული აუქციონის ფორმით, გარდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, როდესაც დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებით მოსარგებლე მოძრავ ნივთს საკუთრებაში გადასცემს მზღვეველს მის მიერ ამ ნივთის ღირებულების ანაზღაურების ან დაზიანებული ნივთის იდენტური, დაუზიანებელი ნივთის გადაცემის სანაცვლოდ, დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით.

აუქციონი არის ვაჭრობის პროცესი, რომლის დროსაც მონაწილე პირი კონკურენციის პირობებში მზად არის დააფიქსიროს ქონების შესაძენად საკუთარი ფასი. გამარჯვებულად ითვლება ის პირი, რომელიც ყველაზე მაღალ ფასს დააფიქსირებს.

საჯარო აუქციონი ნიშნავს პირობით ან მის გარეშე აუქციონის ჩატარებას საჯაროდ. საჯარო აუქციონზე დასწრების უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. საჯარო აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება აუქციონის განმახორციელებელი სუბიექტის — აუქციონატორის ვებგვერდზე და ადგილობრივ ან სხვა ბეჭდვით საინფორმაციო გამოცემაში ან/და ვებგვერდზე www.eauction.ge.

ელექტრონული აუქციონი ნიშნავს პირობით ან მის გარეშე აუქციონის ჩატარებას და გამარჯვებულად იმ პირის გამოვლენას, რომელიც ყველაზე მაღალ ფასს დააფიქსირებს აუქციონზე. ელქტრონული აუქციონი ტარდება ელექტრონულად შესაბამისი ვებ-გვერდის (www.eauction.ge) მეშვეობით. მონაწილე მხარეთა ვინაობა დაფარულია (მათ არ იციან კონკურენტის სახელი, გვარი ან დასახელება). ელექტრონული აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზების შემთხვევაში ინფორმაცია ქვეყნდება აუქციონატორის ვებგვერდზე ან/და ვებგვერდზე www.eauction.ge.

აუქციონის ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების მიზანია საკუთრების უფლების მინიჭება აუქციონში მონაწილე იმ პირისთვის, რომელიც ვაჭრობის პროცესში მუნიციპალიტეტის ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს, ხოლო თუ აუქციონი პირობებით გამოცხადდება – საკუთრების უფლების მინიჭება აუქციონში მონაწილე იმ პირისთვის, რომელიც აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები, და ვაჭრობის პროცესში მუნიციპალიტეტის ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებული პირი წარადგენს უფლებამოსილი ორგანოს მიერ წინასწარ განსაზღვრული ოდენობის უპირობო და გამოუხმობ საბანკო გარანტიას ან იხდის ბეს. ბეს გადახდას უთანაბრდება დაინტერესებული პირის საბანკო ანგარიშზე არსებული თანხის გაყინვა, რომელიც აუქციონატორს გადაერიცხება აუქციონის მონაწილის აუქციონში გამარჯვებისთანავე ან ამ კანონით დადგენილი აუქციონის წესისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში.

ბე არის აუქციონში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად სავალდებულო შენატანი პრივატიზების განმახორციელებელი ორგანოს მიერ მითითებულ ანგარიშზე.

საბანკო გარანტია არის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას წარსადგენი დოკუმენტი, რომელიც რეგისტრირებული უნდა იყოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ და რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს პრივატიზების განმახორციელებელ ორგანოში. საბანკო გარანტიის წარდგენისას ბე არ გადაიხდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველი აუქციონატორს წარუდგენს განაცხადს. განაცხადის წარდგენით განმცხადებელი ადასტურებს, რომ გაეცნო და ეთანხმება აუქციონის წესსა და პირობებს. განაცხადში აღინიშნება ინფორმაცია აუქციონის მონაწილის შესახებ, მუნიციპალიტეტის ქონების დასახელება, ლოტის ნომერი, საფასური და სხვა ინფორმაცია.

აუქციონის შედეგების გაუქმება

აუქციონის შედეგები უქმდება, თუ აუქციონში გამარჯვებულმა:

- კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში არ გადაიხადა საპრივატიზებო საფასური;
- უარი განაცხადა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე.

ზემოაღნიშნულ შემთხვევებში აუქციონში გამარჯვებულის მიერ წარდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის თანხა სრულად ირიცხება შესაბამის ანგარიშზე, ხოლო გადახდილი ბეს თანხა აუქციონის მონაწილეს არ უბრუნდება. გარდა, ამისა უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა აგრეთვე სრულად ირიცხება შესაბამის ბიუჯეტში, თუ აუქციონის მონაწილემ დაარღვია ნორმატიული აქტით განსაზღვრული აუქციონის წესი ან/და პირობები.

იმ შემთხვევაში თუ უფლებამოსილმა ორგანომ გააუქმა ქონების განკარგვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, გადახდილი ბეს თანხა აუქციონის მონაწილეს უკან უბრუნდება.

განმეორებითი და ვადაგაგრძელებული აუქციონი

იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება აუქციონის ფორმით გამოტანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ამ ქონების შეცვლილი საწყისი საფასურით ან/და პირობებით, აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ გადაწყვეტილება ითვლება განმეორებით აუქციონად.

განმეორებით აუქციონზე ქონების საწყისი საფასური შეიძლება 50 პროცენტამდე შემცირდეს, ხოლო თუ ქონება ამ საფასურად გამოტანის შემდეგაც არ გაიყიდა, საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება აუქციონის ფორმით გამოტანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ქონების განმკარგავი სუბიექტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ ქონების იმავე პირობებით, ვადაგაგრძელებული აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ.

მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების შესახებ გარიგების გაფორმება

მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას გაიცემა აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი, რომელიც არის ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება და იგი შეიცავს მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების ძირითად პირობებს და მხარეთა უფლება-მოვალეობებს. სწორედ ამ ოქმის საფუძველზე ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება.

მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული საპრივატიზებო საფასურის ანაზღაურების ან/და აუქციონის პირობების შესრულების შემდეგ ქონების შემძენს ეძლევა საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზებულ ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხის სასარჩელო ხანდაზმულობის ვადად განსაზღვრავს 3 წელს.

მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი

მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზებისას (გარდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზებისა) ქონების შემძენი შეიძლება იყოს ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ასეთ პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შემძენს ის შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირი.

მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების შედეგად შემოსული თანხები უფლებამოსილი ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად სრულად მიიმართება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

მუნიციპალური საწარმოების და არასამეწარმეო იურიდიული პირების დაფუძნება და მართვა

იურიდიული პირის ცნების ლეგალურ დეფინიციას იძლევა სქართველოს საქმოქალაქო კოდექსი, რომლის შესაბამისადაც „ იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექმნილი, საკუთარი ქონების მქონე, ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ“. მიუხედავად იმისა რომ აღნიშნულ დეფინიციას არ შეიძლება ქონდეს სრულყოფილების პრეტენზია (როგორც წესი არსებით ნიშნებს განამტკიცებს) ის სრულიად შეესაბამება ევროპის ქვეყნებში არსებულ შეხედულებას იურიდიული პირის სტატუსის შესახებ და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს კანონმდებლობა იურიდიულ პირთა კლასიფიცირებას ახდენს მათი შექმნისა და საქმიანობის მიზნის მიხედვით. კერძოდ,

- იურიდიული პირების ყველაზე უნივერსალური დაყოფა სამართლის სისტემას უკავშირდება და ასახავს ამ პირთა შექმნისა და ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების თავისებურებებს. ამ კრიტერიუმის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდება კერძო სამართლის იურიდიული პირები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები. კერძო სამართლის იურიდიული პირის შექმნას საფუძვლად უდევს დამფუძნებელთა თავისუფალი ნების გამოვლენა და მხარეთა ავტონომიურობა, მაშინ როდესაც საჯარო სამართლის იურიდიული პირების შექმნა და საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით, საქართველოს მტავრობის დადგენილებით, აგრეთვე კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს (გამონაკლისია ქ. თბილისის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან დააფუძნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირები) მიერ მგამოცემული ადმინისტრაციული აქტით.
- საქმიანობის მიზნის მიხედვით ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ იურიდიული პირები, რომლებიც არ მისდევენ სამეწარმეო საქმიანობას (არაკომერციული, იდეალური მიზნის მქონე იურიდიული პირები) - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები და იურიდიული პირები, რომელთა მიზანს შეადგენს სამეწარმეო საქმიანობა - კომერციული იურიდიული პირები.

კომერციული იურიდიული პირები

კომერციული იურიდიული პირების სტატუსი მოწესრიგებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონი ასევე განმარტავს სამეწარმეო საქმიანობას, რომლის შესაბამისადაც - სამეწარმეო საქმიანობად მიიჩნევა მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიზნით, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად.

კომერციული იურიდიული პირების განსაზღვრისას მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი მიმართავს მათი ამომწურავი ჩამონათვლის (numerus clausus) პრინციპს. კერძოდ, სამეწარმეო საქმიანობაში დასაშვებია მეწარმე სუბიექტების მხოლოდ ის ფორმები რომლებსაც კანონი ითვალისწინებს.

კომერციული იურიდიული პირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები:

- სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს),
- კომანდიტური საზოგადოება (კს),
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს),
- სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია),
- კოოპერატივი.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი (პარტნიორი) ერთობლივად, ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და საზოგადოების ვალდებულებებისათვის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს, როგორც სოლიდარული მოვალეები, – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.

კომანდიტური საზოგადოება (კს)

კომანდიტური საზოგადოება არის საზოგადოება, რომელშიც რამდენიმე პირი ერთიანი საფირმო სახელწოდებით ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, თუ საზოგადოების კრედიტორების წინაშე ერთი ან რამდენიმე პარტნიორის პასუხისმგებლობა განსაზღვრული საგარანტიო თანხის გადახდით შემოიფარგლება – შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები), ხოლო სხვა პარტნიორების პასუხისმგებლობა შეზღუდული არ არის – სრული პარტნიორები (კომპლემენტარები).

კომანდიტური საზოგადოება წარმოადგენს სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების მოდიფიცირებულ სახეობას და ჰყავს ორი კატეგორიის პარტნიორი:

- **სრული პარტნიორები** (კომპლემენტარები), რომლებიც საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ, როგორც სოლიდარული მოვალეები, – მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.
- **შეზღუდული პარტნიორები** (კომანდიტები), რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მხოლოდ მის მიერ შეტანილი განსაზღვრული საგარანტიო თანხით. შეზღუდული პარტნიორები (კომანდიტები) არ მონაწილეობენ საზოგადოების ხელმძღვანელობაში.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალი დაყოფილია წილებად, რომელიც არის მიმოქცევადი უფლება. აღნიშნული საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც და მისი კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.

სააქციო საზოგადოება (სს, კორპორაცია)

სააქციო საზოგადოება არის საზოგადოება, რომლის კაპიტალი დაყოფილია წესდებით განსაზღვრული კლასისა და რაოდენობის აქციებად.

აქცია არის არამატერიალიზებული სახელობითი ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებს პარტნიორის (აქციონერის) მიმართ და აქციონერის უფლებებს სააქციო საზოგადოებაში. სააქციო საზოგადოების წესდებით შეიძლება განისაზღვროს ის ღირებულება, რომელზე ნაკლები ღირებულებითაც დაუშვებელია ამ კლასის აქციების პირველადი განთავსება (აქციების ნომინალური ღირებულება).

აქციათა სახეები (კლასები)

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად (თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამე არ არის დადგენილი) განსაზღვრულია ორი კლასის აქციები: ჩვეულებრივი და პრივილეგირებული.

ჩვეულებრივი აქცია აქციონერს ანიჭებს საზოგადოების მართვაში მონაწილეობის შესაძლებლობას - ერთი ჩვეულებრივი აქცია უზრუნველყოფს ერთი ხმის უფლებას აქციონერთა საერთო კრებაზე.

პრივილეგირებული აქცია აქციონერს არ ანიჭებს საზოგადოების მართვაში მონაწილეობის შესაძლებლობას, თუმცა უზრუნველყოფს დივიდენდის მიღებას დადგენილი განაკვეთით.

მიუხედავად აქციათა აღნიშნული კატეგორიით დაყოფისა მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი უფლებას აძლევს პარტნიორებს წესდებით დადგინონ განსხვავებული წესი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების უფლებათა სხვაგვარად განსაზღვრას. ამასთან სააქციო საზოგადოებამ, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, არათუ შესაძლოა გაითვალისწინოს სხვა კლასის აქციების არსებობა, არამედ შეუძლია კანონით დადგენილი წესით გამოუშვას აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდებიც.

აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციათა რეესტრში ჩანაწერით ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერით. აქციონერს უნდა მიეცეს ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეესტრიდან ან ნომინალური მფლობელის ამონაწერი.

სააქციო საზოგადოება, რომლის აქციონერთა რაოდენობა 50-ზე მეტია, ვალდებულია აქციათა რეესტრი აწარმოოს დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. თუ აქციონერთა რაოდენობა 50 ან 50-ზე ნაკლებია, საზოგადოებას შეუძლია აწარმოოს აქციათა რეესტრი თვითონ ან დამოუკიდებელი რეგისტრატორის მეშვეობით, გარდა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ანგარიშვალდებული საწარმოსი, რომლის აქციათა რეესტრს უნდა აწარმოებდეს დამოუკიდებელი რეგისტრატორი.

სააქციო საზოგადოების პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. სააქციო საზოგადოების აქციონერი პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებებისათვის. სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას კაპიტალი შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერი ოდენობით.

კოოპერატივი არის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნით შექმნილი საზოგადოება, რომლის ამოცანაა წევრთა ინტერესების დაკმაყოფილება და იგი მიმართული არ არის უპირატესად მოგების მიღებაზე. კოოპერატივის წევრის მინიმალური პაის ოდენობას განსაზღვრავენ დამფუძნებლები. კოოპერატივის ერთ წევრს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე პაი. კოოპერატივი თავისი ვალდებულებების გამო კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მხოლოდ თავისი ქონებით.

კომერციული იურიდიული პირების რეგისტრაცია

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სავალდებულოა კომერციული იურიდიული პირების რეგისტრაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, რადგან კომერციული იურიდიული პირი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, ხოლო მისი, როგორც სუბიექტის, არსებობა დგინდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან. კომერციული იურიდიული პირის რეგისტრაცია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას.

კომერციული იურიდიული პირების რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

მუნიციპალური საწარმოს დაფუძნება და რეგისტრაცია

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების ფორმებისა და მექანიზმების განსაზღვრისას განამტკიცებს მუნიციპალიტეტის ორგანოთა უფლებამოსილებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დააფუძნონ და მართონ კერძო სამართლის იურიდიულ პირები.

მიუხედავად აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭებისა, კანონმდებელმა კომერციული იურიდიული პირების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების თავისებურებების გათვალისწინებით ერთგვარი თვით ბოჭვის ფარგლები დაადგინა მუნიციპალიტეტების მიერ საწარმოს დაფუძნებისას. კერძოდ, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია საკუთარი ქონების ბაზაზე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დააფუძნოს მხოლოდ სააქციო საზოგადოება და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

მუნიციპალიტეტზე, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ კომერციული იურიდიული პირის დამფუძნებელზე სრულად ვრცელდება, როგორც მეწარმეთა, ასევე საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონებით დადგენილი რეგულაციები.

მუნიციპალიტეტის მიერ კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ, ასევე სამეწარმეო იურიდიული პირების დაფუძნებაში მონაწილეობისა და მათში გაწევრების შესახებ გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში მოქმედი უფლებამოსილების ფარგლებში საკრებულოს თანხმობით იღებს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირების რეგისტრაციას ახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. საჯარო რეესტრის მიზნებისათვის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრი არის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა, ასევე უცხო ქვეყნის საწარმოს და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის რეგისტრაციის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. ხოლო რეგისტრაცია ნიშნავს სუბიექტის წარმოშობის, რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების და რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვას მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით.

კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაცით დაინტერესე-

ბულმა თვითმმართველმა ერთეულმა/მუნიციპალიტეტმა მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაციისთვის უნდა მიმართოს იუსტიციის სახლს ან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს.

თვითმმართველი ერთეულის/მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაციისას განმცხადებელი (დაინტერესებული პირი) მარეგისტრირებელ ორგანოში აღნიშნულ მომსახურებაზე შეიძლება იყოს უშუალოდ დაინტერესებული პირი (თვითმმართველი ერთეულის/მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - მერი/გამგებელი) ან დაინტერესებული პირის წარმომადგენელი.

თვითმმართველმა ერთეულმა/მუნიციპალიტეტმა იუსტიციის სახლის ან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში მიმართვისას უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- განცხადება (ელექტრონული განცხადება ივსება მარეგისტრირებელი ორგანოს დოკუმენტაციის მიმღები ოპერატორის მიერ);
- წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მერის/გამგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ყველა პარტნიორის/დამფუძნებლის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული შეთანხმება/წესდება. (იმის გათვალისწინებით რომ კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაციის ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს საზოგადოების შეთანხმება/წესდება, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს იმ სავალდებულო ინფორმაციის ჩამონათვალს რომელიც ასახული უნდა იყოს მასში. კერძოდ, შეთანხმება/წესდებაში უნდა მიეთითოს:
- საწარმოს სახელწოდება/საფირმო სახელწოდება (საფირმო სახელწოდების განსაზღვრა უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე. ამასთან შესაძლებელია სახვა სასურველ ენაზეც მოხდეს საფირმო სახელწოდების განსაზღვრა, მაგრამ აუცილებელი პირობას არის რომ საფირმო სახელწოდება შეიცავდეს ქართული ანბანით შედგენილ კომპონენტებს);
- საწარმოს სამართლებრივი ფორმა;
- საწარმოს იურიდიული მისამართი;
- საწარმოს პარტნიორის (პარტნიორების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო თუ პარტნიორი იურიდიული პირია – მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ;
- საწარმოს მმართველობის ორგანო, გადაწყვეტილების მიღების წესი, ხოლო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში – მონაცემები პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის შესახებ (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პარტნიორთა წილები გამოხატული უნდა იყოს პროცენტებში და მათი ჯამი უნდა შეადგენდეს 100 პროცენტს);
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა წილის მმართველის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი;
- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შემთხვევაში – პარტნიორთა წილებზე საკუთრების უფლების შეზღუდვასთან დაკავშირებული ვალდებულებები;

- საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ასევე უფლებამოსილების ვადა (თუ განსაზღვრული არ არის საწარმოს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების) უფლებამოსილების ვადა, იგი ითვლება შეუზღუდავად);
- პროკურისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი;
- თუ საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი ჰყავს – ისინი ერთად წარმოადგენენ საწარმოს თუ ცალ-ცალკე;
- სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი, ხოლო თუ სარეგისტრაციო განაცხადის ცვლილების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირი იურიდიული პირია, – მისი საფირმო სახელწოდება, სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის თარიღი, საიდენტიფიკაციო ნომერი და მონაცემები მისი წარმომადგენლების შესახებ;
- ელექტრონული ფოსტის მისამართი და საწარმოს იურიდიული მისამართისგან განსხვავებული მისამართი, რომლებზე მიღებული გზავნილიც ჩაბარებულად ჩაითვლება).

იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული პირი რეგისტრირდება პარტნიორის/დამფუძნებლის, ხელმძღვანელის/წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული მისამართისგან განსხვავებულ მისამართზე, რომელიც არ წარმოადგენს ზემოაღნიშნული პირების საკუთრებას, დამატებით წარსადგენია აღნიშნულ მისამართზე არსებული უძრავი ნივთის მესაკუთრის თანხმობა ან სათანადო წესით შედგენილი და დამოწმებული ხელშეკრულება ამ ნივთით სარგებლობის შესახებ (იჯარის, ქირავნობის, თხოვებისა ან სხვა);

იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული პირის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი იმავდროულად არ არის საზოგადოების დამფუძნებელი, დამატებით წარსადგენია მისი თანხმობა აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს/მუნიციპალიტეტს მარეგისტრირებელ ორგანოში წარმოადგენს არა მერი/გამგებელი, არამედ მათი წარმომადგენელი (დაინტერესებული პირის წარმომადგენელი), მაშინ მარეგისტრირებელ ორგანოში დამატებით წარსადგენია სათანადო წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

გარდა ზემოაღნიშნული დოკუმენტაციისა, მარეგისტრირებელ ორგანოს კანონმდებლობა ანიჭებს დისკრეციულ უფლება-მოსილებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უფლების რეგისტრაციისას დამატებით მოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მარეგისტრირებელი ორგანოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად.

მარეგისტრირებელი ორგანო კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაციას ახორციელებს ერთი სამუშაო დღის ვადაში. სარეგისტრაციო ვადის ათვლა იწყება დაინტერესებული პირის მიერ განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და სრულდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. ხოლო თუ სარეგისტრაციო ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო ვადის ბოლო დღეს წარმოადგენს მომდევნო სამუშაო დღე.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის/მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში ხორციელდება სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე.

მუნიციპალური საწარმოს მართვა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსმა მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოს პარტნიორის/აქციონერის უფლებამოსილება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს მიანიჭა. თუმცა მის მიერ მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოს კაპიტალში მუნიციპალიტეტის ქონების, მათ შორის, წილებისა და აქციების, აგრეთვე ფულადი შენატანის განხორციელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ლეგიტიმაციისათვის აუცილებელია მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობა.

საწარმოს პარტნიორის, აქციონერის უფლება-მოვალეობებს, საქმიანობის წესს და პასუხისმგებლობის ძირითადი პრინციპებს განსაზღვრავს მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი.

თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი საწარმოს პარტნიორები მმართველობით უფლებამოსილებას ახორციელებენ პარტნიორთა საერთო კრების მეშვეობით. პარტნიორთა კრების კომპეტენცია, კრების ჩატარების წესი და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა განისაზღვრება მეწარმეთა შესახებ კანონით ან/და საწარმოს წესდებით.

პარტნიორთა საერთო კრება საზოგადოების მართვის უმაღლესი ორგანოა და ყველა გადაწყვეტილება რომელიც საწარმოს ძირითად ინტერესებს შეეხება მიიღება საერთო კრების მიერ.

პარტნიორთა კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

- საზოგადოების წესდებაში ცვლილებების მიღება;
- ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
- საწარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
- დირექტორების დანიშვნა და გამოწვევა, მათთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე მათი ანგარიშების დამტკიცება;
- აუდიტორის არჩევა;
- სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება (გარდა იმ შემთხვევისა, როცა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა გათვალისწინებულია მეწარმეთა შესახებ კანონით);
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურება;
- ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- და სხვა

თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორთა კრება ტარდება წელიწადში ერთხელ მაინც, ხოლო სააქციო საზოგადოების შემთხვევაში ყოველწლიურად, წლიური ბალანსის შედგენიდან 2 თვის ვადაში.

სამეთვალყურეო საბჭო თუ სააქციო საზოგადოება „ფასიანი ქაღალდებია ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით არის ანგარიშვალდებული საწარმო, რომლის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ არის დაშვებული ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე, ან სააქციო საზოგადოება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ არის ლიცენზირებული, ან სააქციო საზოგადოების აქციონერთა რაოდენობა აღემატება 100-ს, სავალდებულოა სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არანაკლებ 3 და არა უმეტეს 21 წევრისაგან. ყველა სხვა შემთხვევაში სამეთვალყურეო საბჭოს შექმნა არ არის სავალდებულო. სამეთვალყურეო საბჭოს არარსებობის შემთხვევაში მეწარმეთა შესახებ კანონით დადგენილი მისი ფუნქციები და უფლებამოსილებები წესდებით გადანაწილდება საწარმოს მართვის სხვა ორგანოებზე.

ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა - თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამე არ არის განსაზღვრული მეწარმეთა კანონის შესაბამისად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასა და სააქციო საზოგადოებაში ხელმძღვანელობის უფლება აქვთ დირექტორებს.

ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც, თუ პარტნიორთა შეთანხმებით (წესდებით) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

დირექტორთა უფლებამოსილებები განისაზღვრება მათთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. დირექტორებმა კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ უნდა შეასრულონ მათზე დაკისრებული ამოცანები.

მუნიციპალიტეტის მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნება და რეგისტრაცია

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსმა განსაზღვრა მუნიციპალიტეტის უფლებამოსილება - თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი და გაწევრდეს ამ პირში. ამასთან, კოდექსმა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს მიანიჭა უფლება, ორგანიზება გაუწიოს ერთობლივ ღონისძიებებს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების სფეროში, მუნიციპალიტეტის სახელით მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული კანონპროექტების წინასწარ განხილვასა და კონსულტაციებში, ითანამშრომლოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, თვითმმართველი ერთეულების საერთაშორისო კავშირებთან (ასოციაციებთან), აგრეთვე დაამყაროს ურთიერთობა ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში შესაბამის უცხოურ კავშირებთან (ასოციაციებთან) და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. თვითმმართველობის კოდექსმა გარდა იმისა რომ ცალკეულ მუნიციპალიტეტს მიანიჭა უფლება დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირი, ასევე განამტკიცა მუნიციპალიტეტების უფლება მუნიციპალური უფლებამოსილებათა ეფექტიანი განხორციელებისა და მოსახლეობისთვის ხარისხიანი მომსახურების გაწევის მიზნით ხელშეკრულების საფუძველზე დააფუძნონ ერთობლივი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები. აღნიშნული იურიდიული პირების მართვის, დაფინანსებისა და კონტროლის წესები და პირობები უნდა განისაზღ-

ვროს მუნიციპალიტეტებს შორის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებით.

მუნიციპალიტეტზე, როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელზე სრულად ვრცელდება, როგორც სამოქალაქო კოდექსის, ასევე საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონებით დადგენილი რეგულაციები.

მუნიციპალიტეტის მიერ კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ, ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობისა და მათში გაწევრების შესახებ გადაწყვეტილებას, მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში მოქმედი უფლებამოსილების ფარგლებში, საკრებულოს თანხმობით იღებს მუნიციპალიტეტის გამგებელი/მერი.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციას ახორციელებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. საჯარო რეესტრის მიზნებისათვის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრი არის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა, ასევე უცხო ქვეყნის საწარმოს და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის რეგისტრაციის შესახებ მონაცემთა ერთობლიობა. ხოლო რეგისტრაცია ნიშნავს სუბიექტის წარმოშობის, რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების და რეგისტრაციის შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვას მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით.

კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცით დაინტერესებულმა თვითმმართველმა ერთეულმა/მუნიციპალიტეტმა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციისთვის უნდა მიმართოს იუსტიციის სახლს ან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სამსახურს.

თვითმმართველი ერთეულის/მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციისას განმცხადებელი (დაინტერესებული პირი) მარეგისტრირებელ ორგანოში აღნიშნულ მომსახურებაზე შეიძლება იყოს უშუალოდ დაინტერესებული პირი (თვითმმართველი ერთეულის/მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი - მერი/გამგებელი) ან დაინტერესებული პირის წარმომადგენელი.

თვითმმართველმა ერთეულმა/მუნიციპალიტეტმა იუსტიციის სახლის ან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში მიმართვისას უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- განცხადება (ელექტრონული განცხადება ივსება მარეგისტრირებელი ორგანოს დოკუმენტაციის მიმღები ოპერატორის მიერ);
- წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მერის/გამგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ყველა დამფუძნებელის/წევრთა მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული შეთანხმება/წესდება. (არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შეთანხმება/წესდება უნდა შეიცავდეს მეწარმე იურიდიული პირის

რეგისტრაციისათვის დადგენილ სავალდებულო მონაცემებს. ამასთან მასში დამატებით მითითებული უნდა იყოს:

- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის მიზანი;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრად მიღების, წევრობიდან გასვლისა და გარიცხვის წესი, თუ იგი წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირია;
- რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს (პირის) დასახელება, გადაწყვეტილების მიღების წესი და პროცედურა;
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანოს (ხელმძღვანელი პირის) შექმნის (არჩევის) წესი და უფლებამოსილების ვადა).
- იმ შემთხვევაში, თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი რეგისტრირდება დამფუძნებელის/წევრთა, ხელმძღვანელის/წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული მისამართისგან განსხვავებულ მისამართზე, რომელიც არ წარმოადგენს ზემოაღნიშნული პირების საკუთრებას, დამატებით წარსადგენია აღნიშნულ მისამართზე არსებული უძრავი ნივთის მესაკუთრის თანხმობა ან სათანადო წესით შედგენილი და დამოწმებული ხელშეკრულება ამ ნივთით სარგებლობის შესახებ (იჯარის, ქირავნობის, თხოვებისა ან სხვა);
- იმ შემთხვევაში, თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი იმავდროულად არ არის საზოგადოების დამფუძნებელი, დამატებით წარსადგენია მისი თანხმობა აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს/მუნიციპალიტეტს მარეგისტრირებელ ორგანოში წარმოადგენს არა მერი/გამგებელი, არამედ მათი წარმომადგენელი (დაინტერესებული პირის წარმომადგენელი), მაშინ მარეგისტრირებელ ორგანოში დამატებით წარსადგენია სათანადო წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

გარდა ზემოაღნიშნული დოკუმენტაციისა, მარეგისტრირებელ ორგანოს კანონმდებლობა ანიჭებს დისკრეციულ უფლება-მოსილებას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უფლების რეგისტრაციისას დამატებით მოითხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მარეგისტრირებელი ორგანოსთვის გადაწყვეტილების მისაღებად.

მარეგისტრირებელი ორგანო კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციას ახორციელებს ერთი სამუშაო დღის ვადაში. სარეგისტრაციო ვადის ათვლა იწყება დაინტერესებული პირის მიერ განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და სრულდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. ხოლო თუ სარეგისტრაციო ვადის ბოლო დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო ვადის ბოლო დღეს წარმოადგენს მომდევნო სამუშაო დღე.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად თვითმმართველი ერთეულის/მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში ხორციელდება სარეგისტრაციო მომსახურების საფასურის გადახდის გარეშე.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მართვა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის სესაბამისად მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი/წევრის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი/წევრი უფლებამოსილია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა მიანიჭოს ერთ პირს ან/და დააწესოს ორი ან ორზე მეტი პირის ერთობლივი ხელმძღვანელობა ან/და წარმომადგენლობა.

როგორც სამეწარმეო იურიდიული პირის ასევე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შემთხვევაშიც ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში. ამასთან თუ შეთანხმება/წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება გულისხმობს წარმომადგენლობით უფლებამოსილებასაც.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) საქმეს უნდა უძღვებოდეს კეთილსინდისიერად. ამ მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში იგი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წინაშე პასუხისმგებელია წარმოშობილი ზიანისათვის. ამასთან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმა ბათილია, თუ ეს აუცილებელია მესამე პირთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებაში სამოქალაქო კოდექსი ადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ურთიერთ დამოუკიდებლობის პრინციპს. კერძოდ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ, ასევე როგორც არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

ქონების გამოყენებასა და დაცვაზე ზედამხედველობა

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენებისა და დაცვის საკითხს არა თუ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, არამედ საკანონმდებლო დონეზე განამტკიცებს ქონების გამოყენებისა და დაცვის გარანტიებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი განსაზღვრავს რა მუნიციპალიტეტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებათა ჩამონათვალს, ცალსახად მიუთითებს მის მიერ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი რესურსების, მათ შორის, წყლისა და ტყის რესურსების და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების კანონმდებლობით დადგენილი წესით მართვის განხორციელებაზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ანიჭებს რა მუნიციპალიტეტს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და საკუთარი სახელით, კაპიტალური ინვესტიციის განსახორციელებლად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით სესხის/სასესხო ვალდებულების აღების უფლებამოსილებას კერძო სამართლის იურიდიული პირისაგან, აქვე განუსაზღვრავს ამ უფლებამოსილების განხორციელებისათვის საქართველოს მთავრობის ნებართვის ქონის აუცილებლობას, აღებული სესხის საერთო მოცულობის მაქსიმალურ ოდენობას და კრძალავს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების გამოყენებას მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად. ამასთან, მხოლოდ საქართველოს მთავრობის ნებართვით არის შესაძლებელი მუნიციპალიტეტის მიერ სხვა პირის სასარგებლოდ თავდებობა ან რაიმე სხვა გარანტიის გაცემა და საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად, კანონით დადგენილი წესით გრანტის მიღება.

მუნიციპალიტეტის ქონების მნიშვნელობიდან გამომდინარე ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მის გამოყენების, მოვლა-პატრონობის და დაცვის ზედამხედველობის უფლებამოსილებას უშუალოდ მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს ანიჭებს. ასევე მუნიციპალიტეტის გამგებელის/მერის უფლებამოსილებას მიეკუთვნება მონიტორინგის განხორციელება: ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მათთვის სარგებლობის უფლებით გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენებისა და ქონებით სარგებლობის წესების დაცვაზე და მუნიციპალიტეტის ქონების პირობებიანი აუქციონის ფორმით განკარგვის შემთხვევაში ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შესაბამისი პირობების შესრულებაზე.

მიუხედავად მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერისთვის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვაზე და გამოყენებაზე ზედამხედველობითი უფლებამოსილების მინიჭებისა, ადგილობრივმა თვითმმართველობის კოდექსმა მუნიციპალიტეტის ქონების შემძენის/სარგებლობის უფლებით მიმღების/მართვის უფლებით მიმღების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან განთავისუფლებისა და პრივატიზებული ან/და სარგებლობის უფლებით გაცემული ქონების მიმღების ამ ქონებასთან დაკავშირებული პირობის (პირობების) შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების საკითხები მაინც ორმაგი კონტროლის პრინციპის დაცვით გადაწყვიტა და მუნიციპალიტეტის გამგებელს/მერს აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობა მხოლოდ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიღების შესაბამისად მიანიჭა.

მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესი

მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესის შემუშვდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის საფუძველზე მუნიციპალიტეტების გაყოფის შედეგად შექმნილი ახალი მუნიციპალიტეტებისთვის გაუქმებული მუნიციპალიტეტის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების მიზნით.

განაწილების წესი ეხება

- უძრავი ნივთებს
- მოძრავი ნივთებს
- ვალდებულებებს
- არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებს
- სამეწარმეო იურიდიული პირებს
- სხვა ქონებას

დროებითი სამუშაო ჯგუფი

გასაუქმებელ მუნიციპალიტეტებში ქონების ახლადშექმნილ მუნიციპალიტეტებს შორის განაწილების მიზნით იქმნება დროებითი სამუშო ჯგუფი. დროებითი სამუშო ჯგუფი ყალიბდება საკრებულოს წევრებისაგან რომელსაც ტექნიკურ დახმარებას უწევენ გამგეობის თანამშრომლები (იურიდიული, საფინანსო და ეკონომიკური სამსახურის თანამშრომლები).

დროებითი სამუშაო ჯგუფი უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ქონების და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების ინვენტარიზაციას და შესაბამისად ადგენს ახალი მუნიციპალიტეტებისათვის ქონების და ვალდებულებების გადანაწილების ნუსხას.

ნუსხა ამომწურავად უნდა ახდენდეს გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის ქონების განაწილებას, შესაბამისი ქონების, ვალდებულების, ააიპ-ის დამფუძნებლის სამართალმემკვიდრის მითითებით

მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების ნუსხის დამტკიცება

დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული ნუსხის პროექტი წარედგინება საკრებულოს თავმჯდომარეს და მის მიერ გადაეცემა საკრებულოს დასამტკიცებლად, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების დღემდე, 2014 წლის 15 ივნისამდე.

მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების ნუსხის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შედის ახალი მუნიციპალიტეტების საკრებულოების უფლებამოსილების ცნობის დღიდან.

უძრავი ნივთის განაწილების წესი

გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ ნივთზე, გარდა ძირითადი ადმინისტრაციული შენობისა/შენობებისა და შესაბამისი მიწის ნაკვეთისა საკუთრების უფლება გადაეცემა იმ ახალ მუნიციპალიტეტს - თვითმმართველ თემს/თვითმმართველ ქალაქს, რომლის ადმინისტრაციულ საზღვრებშიც ექცევა შესაბამისი უძრავი ნივთი.

გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის ძირითადი ადმინისტრაციული შენობის/შენობების ნაწილი და შესაბამისი მიწის ნაკვეთი ახალ მუნიციპალიტეტებს გადაეცემა საკუთრების უფლებით, ზღვრული საშტატო რაოდენობის გათვალისწინებით.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში, სადაც შესაძლებელი არ არის ერთ შენობაში ახალი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების (გარდა ტერიტორიული ორგანოსი) შენობაში განთავსება, შესაბამისი ადმინისტრაციულ ცენტრის ტერიტორიაზე, გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის საკუთრების არსებული ქონებიდან ერთ-ერთი მუნიციპალიტეტისთვის საკუთრებაში უნდა გადაეცეს შესაბამისი შენობა ან მისი ნაწილი.

მოძრავი ნივთის განაწილების წესი

გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ მოძრავი ნივთებზე შესაბამისი უფლება გადაეცემა და მოძრავი ნივთები განაწილდება ახალ მუნიციპალიტეტებს შორის ზღვრული საშტატო რაოდენობის გათვალისწინებით.

გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოს სარგებლობაში არსებული მოძრავ ნივთებზე შესაბამისი უფლება გადაეცემა და მოძრავი ნივთები განაწილდება ახალ მუნიციპალიტეტებს შორის, ტერიტორიული ორგანოს ადგილსამყოფელის გათვალისწინებით.

გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის გაყოფის შემდეგ სხვა მოძრავ ნივთებზე შესაბამისი უფლება გადაეცემა და მოძრავი ნივთები განაწილდება ახალ მუნიციპალიტეტებს შორის ქონების ფიზიკური ადგილსამყოფელის მიხედვით.

ვალდებულებების განაწილების წესი

გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია უძრავ ნივთებთან, სამართალმემკვიდრეა ახალი მუნიციპალიტეტი, რომლის ადმინისტრაციულ საზღვრებშიც მოექცევა შესაბამისი უძრავი ქონება. გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულების, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივი მოსახლეობისთვის მომსახურების გაწევასთან, სამართალმემკვიდრეა ახალი მუნიციპალიტეტი, რომლის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრებ მოსახლეობასაც უკავშირდება მომსახურების გაწევა.

გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სხვა ვალდებულებების სამართალმემკვიდრეს წარმოადგენს ახლად შექმნილი მუნიციპალიტეტი - თვითმმართველი თემი.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართალმემკვიდრეობა

გასაუქმებელი მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს მის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის (შემდგომ - ააიპ) დაყოფა. ააიპ-ის დაყოფის შედეგად იქმნება იგივე მიზნების მქონე ორი ააიპ. ერთის სამოქმედო ტერიტო-

რია განისაზღვრება გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის ტერიტორიით, მეორის - გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის დარჩენილი ტერიტორიით.

გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართალმემკვიდრეა ახალი მუნიციპალიტეტი - თვითმმართველი ქალაქი, თუ ააიპ ადგილობრივი მოსახლეობისთვის მომსახურებას ახორციელებს მხოლოდ გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრის ან გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრისა და მუნიციპალიტეტის სხვა დასახლებების ფარგლებში, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა არსებითად ნაკლებია ადმინისტრაციული ცენტრის გარეთ მცხოვრები მოსახლეობის საერთო რაოდენობაზე.

გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის შესაბამისი ორგანოები ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ააიპ-ის დაყოფის შესახებ გადაწყვეტილებას იღებენ და ააიპ-ის დაყოფას უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.

გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის მიერ ააიპ-ის სარგებლობაში გადაცემული ქონების სამართალმემკვიდრეა ახალი მუნიციპალიტეტი, რომელიც ამ წესის შესაბამისად წარმოადგენს ააიპ-ის სამართალმემკვიდრეს.

სამეწარმეო იურიდიული პირის წილები

გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი სამეწარმეო იურიდული პირის (შემდგომ - სიპ) მთლიანი წილის სამართალმემკვიდრეა ახალი მუნიციპალიტეტი - თვითმმართველი თემა გარდა ქვემოთ მოცემული შემთხვევისა.

გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის წილობრივი მონაწილეობით შექმნილი სამეწარმეო იურიდული პირის მთლიანი წილის სამართალმემკვიდრეა ახლი მუნიციპალიტეტი - თვითმმართველი ქალაქი, თუ სიპ მომსახურებას ახორციელებს მხოლოდ გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრის ან გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრისა და მუნიციპალიტეტის სხვა დასახლებების ფარგლებში, რომელთა მოსახლეობის რაოდენობა არსებითად ნაკლებია ადმინისტრაციული ცენტრის გარეთ მცხოვრები მოსახლეობის საერთო რაოდენობაზე.

გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის მიერ სიპ-ის სარგებლობაში გადაცემული ქონების სამართალმემკვიდრეა ახალი მუნიციპალიტეტი, რომელიც ამ წესის შესაბამისად წარმოადგენს სიპ-ის სამართალმემკვიდრეს.

სხვა ქონების განაწილების წესი

სახანძრო უსაფრთხოებისა და სამაშველო ღონისძიებების ფუნქციის განხორციელებასთან დაკავშირებულ ქონებაზე შესაბამისი ქონება გადეცემა ახალ მუნიციპალიტეტს - თვითმმართველ ქალაქს.

გასაუქმებელი მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო მიერ სარგებლობაში გადაცემულ ქონებაზე შესაბამისი უფლების სამართალმემკვიდრედ განისაზღვრება ახალი მუნიციპალიტეტი ქონების ადგილსამყოფელის გათვალისწინებით.

გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული მსუბუქი ავტომანქანები/მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტომანქანები (ავტობუსები/მარშუტკები) ახალ მუნიციპალიტეტებს შორის ნაწილდება თანაბრად, მათი საბალანსო ღირებულების გათვალისწინებით. კერძოდ, საბალანსო ღირებულების შესაბამისად (ღირებულების კლებადობით) ცალ-ცალკე დგება მსუბუქი ავტომანქანებისა და მგზავრთა გადასაყვანად განკუთვნილი ავტომანქანების ნუსხა. ამასთან, ნუსხაში ცალკე გამოიყოფა და ნაწილდება საკუთრებაში და სარგებლობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებები. შესაბამის ნუსხაში პირველი ავტოსატრანსპორტო საშუალება გადაეცემა ახალ მუნიციპალიტეტს- თვითმმართველ ქალაქს, მეორე კი ახალ მუნიციპალიტეტს - თვითმმართველ თემს და ამგვარი თანმიმდევრობით ნაწილდება მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებების მთლიან ამოწურვამდე. გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ სხვა მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებზე (სატვირთო ავტომობილი, ჩასაბმელი ტექნიკური საშუალებები, სპეციალიზებული თვლიანი ან მუხლუხა მექანიკური სატრანსპორტო საშუალებები და სხვა) შესაბამისი უფლება გადაეცემა ახალ მუნიციპალიტეტს - თვითმმართველ თემს.

გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის არამატერიალური ქონებრივი სიკეთის, რომელიც დაკავშირებულია უძრავ ნივთებზე უფლებასთან, სამართალმემკვიდრეა ახალი მუნიციპალიტეტი, რომლის ადმინისტრაციულ საზღვრებშიც მოექცევა აღნიშნული უძრავი ქონება.

გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის არამატერიალური ქონებრივი სიკეთის, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივი მოსახლეობისთვის მომსახურების გაწევის მოთხოვნასთან, სამართალმემკვიდრეა ახალი მუნიციპალიტეტი, რომლის მოსახლეობასაც უკავშირდება შესაბამისი მომსახურება გაწევა.

გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის არამატერიალური ქონებრივი სიკეთის სამართალმემკვიდრე, თუ შეუძლებელია სამართალმემკვიდრის განსაზღვრა, წარმოადგენს ახლად შექმნილი მუნიციპალიტეტი - თვითმმართველი თემი.

გასაუქმებელი მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სხვა ნივთები ახალ მუნიციპალიტეტებს შორის ნაწილდება მათ ადგილსამყოფელის გათვალისწინებით.

დანართები

- დანართი #1 ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი (ნაწილი რომელიც ეხება თვითმმართველობის ეკონომიკურ საფუძვლებს)
- დანართი #2 - მუნიციპალიტეტებს შორის ქონებისა და ვალდებულებების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ
- დანართი #3 - ქონების პრივატიზებისას საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის, აგრეთვე ანგარიშსწორების წესი;
- დანართი #4 - საქართველოს მთავრობის დადგენილება - საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 152-ე მუხლის საფუძველზე შექმნილი ახალი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შედგენის, საბიუჯეტო შემოსულობებისა და გადასახდელების, 2014 წლის ბოლომდე პერიოდისთვის, გადანაწილების დროებითი წესი